პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ.) რედაქტორის 14—78
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

სამშაბათი, 19 ივნისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 140 (2183)

დ ღ ი უ რ ი

- საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი [illegible]-ში ამხ. ანიკეევი გამოემგზავრა მოსკოვში.
- ინგლისის კომპარტიის პასუხი ხიქსს.
- ჩეხიის კოოპერატორთა დემონსტრაცია პრაღაში.
- კამათი საერთო პოლიტიკის შესახებ საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.
- მღებავთა გაფიცვა ინგლისში.
- ტოლსტოის იუბილეს აღსანიშნავი კრება ტოკიოში.
- ფადიშაჰი ამანულა თეირანიდან გაემგზავრა მეშედში.

არა სიტყვა. არამედ საქმე

ჩვენ ვბეჭდავთ გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის ამხ. ჩიჩერინის ნოტას, რომელიც გადაეცა პოლონეთის ელჩს მოსკოვში პატეკს.

ეს ნოტა გამოხატავს ჩვენი მთავრობის თვალსაზრისს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ეხლანდელ მდგომარეობაზე, ის გვეუბნება, რომ ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობა არ არის უზრუნველყოფილი სათანადო გარანტიებით და, რომ პოლონეთის მთავრობა „ითმენს" თეთრგვარდიელ ბანდიტების ბოროტ საქმიანობას თავის ტერიტორიაზე და არ ღებულობს ზომებს მათ წინააღმდეგ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს აღვნიშნოთ, რომ პოლონეთის აქამდის არ მიუღია მინიმალური ფაქტიური ზომებიც კი თეთრგვარდიელ ტერორისტების წინააღმდეგ. ის „ზომები", რომლებზედაც მიგვითითებს თავის ნოტაში პატეკი, რასაკვირველია, უბრალო ფორმალურ ნაბიჯებს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენ გვაქვს სრული საფუძველი შემდგომი შესაძლო გართულებებისათვის პასუხისმგებლობა დავაკისროთ სწორედ პოლონეთის მთავრობას. მას ეკისრება პირდაპირი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის უშიშროებისათვის ვარშავაში.

ყოველგვარი დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებდნენ და აქამდის აფერხებენ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ნორმალურ ურთიერთობის განვითარებას, იმ თავითვე გამომდინარეობდნენ პოლონეთის მხრიდან. ყოველგვარი ანტი-საბჭოთა „ბლოკების", კავშირების და კოალიციების მოწყობა და მათში მონაწილეობა არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს „კარგი ტონის" გამოხატულებას და ამისთანა შეიძლება შეტანილ იქნეს პოლონეთის პასივში. ცუდ „სიმპტომს" წარმოადგენს აგრეთვე მთელი რიგი არათავაზიანი განცხადებები საბჭოთა კავშირის მიმართ, როგორიც, მაგალითად, ზალესკის გამოსვლა საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. დაბოლოს, პოლონეთის პრესის მნიშვნელოვანი ნაწილის თავაშვებული და უტიფარი ტონი, საზიზღარი ინსინუაციები და მტრული გამოსვლები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, არ შეიძლება აგრეთვე ჩაითვალოს კეთილმეზობლურ ურთიერთობის განმტკიცებისათვის ხელშემწყობ მომენტად.

უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის წყალობით აქამდის „პრობლემად" რჩება, — ეს არის საკითხი პოლონეთის ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებ თეთრგვარდიელთა მონარქისტულ ელემენტებთან, რომლებიც ნამდვილი ტერორის ქვეშ აყენებენ ჩვენი წარმომადგენელი დაწესებულებების მუშაობას პოლონეთში. პოლონეთის ტერიტორიაზე სრულიად დაუსჯელად ასრულებენ თავიანთ კეთილშობილურ ფუნქციებს ყოველგვარი „რაზმები", ორთავიანი არწივის მიმდევართა, „უმანკო ყრმების" და ბანდიტ კავერდა-ვოიცეხოვსკის მსგავს ბნელ პიროვნებათა ფარული და ლეგალური „კავშირები". პოლონეთის ხელისუფლება მათ მიმართ, მეტი რომ არა ვსთქვათ, საკმაო „თავაზიანობას" იჩენს. პოლონეთის რეაქციონური გაზეთები მათ თითქმის ადიდებენ. და თუ ამ ვაჟბატონებს ზოგჯერ ყურს აუწევენ, ამას სჩადიან ისევე, როგორც კეთილი მომვლელი ქალი უჯავრება ცელქ ბავშებს. ეს „ბავშები" იმით განსხვავდებიან ჩვეულებრივ ბავშებისაგან, რომ უყვართ ყუმბარებით და რევოლვერებით „თამაში".

ეს „თეთრგვარდიელთა პრობლემა" შექმნილ პირობებში უკვე გადაიქცა უაღრესად სერიოზულ „მესამე" ფაქტორად, რომელიც აყარისებს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას. თუ ამ ფაქტორს მივუმატებთ იმას, რომ პოლონეთის საგარეო პოლიტიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზოგიერთი სახელმწიფოები, და ყველაფერს ამას გადავამრავლებთ პოლონეთის პრესის, ყოველგვარ „კურიერ პორანნ"-ების და სხვ. მტრულ ტონზე საბჭოთა კავშირის მიმართ, მივიღებთ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნამდვილ სურათს ამ ურთიერთობის ეხლანდელ სტადიაში.

ატმოსფერის გაწმენდა და ურთიერთობის გაუმჯობესება ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ პოლონეთის მთავრობისაგან არის დამოკიდებული. თუ ის მართლა დაინტერესებულია ამაში — ეს ჩვენ არა ერთხელ მოგვისმენია მისგან — მას შეუძლია და ვალდებულიც არის ხელი მოჰკიდოს თავის ელემენტარულ ვალდებულებათა შესრულებას. აქამდის პოლონეთის „ზომები" გამოიხატებოდა ყოველგვარ ზომების უქონლობაში. სასაცილოა ლაპარაკი პოლონეთის გადაწყვეტილებაზე 1927 წლის 14 აგვისტოს თარიღით, რის შემდეგ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ ტერორისტულ აქტებს. ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ვოიცეხოვსკის თავდასხმასთან დაკავშირებით დაპატიმრებულ თეთრგვარდიელთა განთავისუფლება. განა შეიძლება თავდასხმის ორგანიზატორთა განთავისუფლება არ ჩაითვალოს სიგნალად: „იმოქმედეთ გაბედულად, ჩვენ ხელს არ გახლებთ"? ჩვენ, რასაკვირველია, ოდნავადაც ვერ დაგვაკმაყოფილებს პატეკის დაპირებები 3 ივნისის ნოტაში.

ამჟამად პოლონეთმა უნდა ჩააბაროს გამოცდა ელემენტარულ ლოიალობაზე. თუ მას ნამდვილად სურს ნორმალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა ჩვენთან, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოიტანოს სათანადო დასკვნები და მეტი გარკვეულობა შეიტანოს მის საგარეო პოლიტიკაში. ამაში ის მით უმეტეს უნდა იყვეს დაინტერესებული, რომ სწორედ ის ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლის საზღვრების ცნობას დიდ წინააღმდეგობას უწევდენ სხვადასხვა მხრიდან. ასეთ მდგომარეობაში საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის განვითარების წინასწარ პირობების დაივიწყება, მეტი რომ არა ვსთქვათ, არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

თავის თავად ცხადია, არაფერი არ გამოვა, თუ შემდეგში ამბები განვითარდა „ნოტის" პრინციპის მიხედვით თავის თავად, ხოლო თეთრი ტერორისტების მოქმედება განვითარდა „თავის თავად"; სწარმოებს ნოტების გაცვლა გამოცვლა, ხოლო საქმე გაყინულია ერთ წერტილზე. ჩვენთვის საკმარისია ვარშავის „შემთხვევითი" ამბები, გვეყოფა დაპირებები — ამან უკვე მოგვაბეზრა თავი. პოლონეთის მთავრობისაგან ჩვენ მოვითხოვთ და მოველით ნამდვილ ზომებს, სერიოზულ და სავსებით კონკრეტულ ღონისძიებებს.

„პრავდა" 17 ივნისი.

საბჭოების მუშაობა სოფლად

სახელმწიფო აპარატის გამარტივება და მშრომელთა ფართო მასებთან მისი დაახლოვება შეადგენს ერთ-ერთ ჩვენს მორიგ ამოცანას. ამაზე მოცემულია სრულიად გარკვეული სახელმძღვანელო დირექტივა პარტიის უმაღლეს ორგანოს მიერ. აი რას ამბობს ამის შესახებ პარტიის მე-15 ყრილობის რეზოლუცია: „სახელმწიფო აპარატის გარდაქმნის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს საბჭოების გამოცოცხლება და განმტკიცება. ამ დარგში მიღწეული წარმატება განსაზღვრავს დასაწყისს მთელი ისტორიული ხანისას, რომლის ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში მთელი მშრომელი მოსახლეობის ჩაბმა და მით ბიუროკრატიზმის სავსებით დაძლევა. ყრილობა სცნობს, რომ პროლეტარული დემოკრატიის განვითარება, საბჭოების გამოცოცხლება და განმტკიცება, ასი ათასობით ახალი მუშების და გლეხების და საერთოდ მშრომელი მასების კულტურული დონის ამაღლება ძირითადი პირობაა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის წარმოებისა და ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესებისათვის".

გარდა ამ უაღრესად მნიშვნელოვან ამოცანისა, საბჭოების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე სოფლის მეურნეობის განვითარების დარგში უშუალო მონაწილეობა და მტკიცე ხელმძღვანელობის განხორციელება. ამჟამად აღებულია მტკიცე კურსი სოფლის მეურნეობის წარმართვისაკენ სოციალისტური გზით. ჩვენმა საბჭოთა ძირითად ორგანოებმა უნდა შეითვისონ ეს ახალი კურსი და ხელი შეუწყონ სასოფლო მეურნეობის წარმართვას კოლექტივიზაციის გზით.

საბჭოების ძირითადი სადღეისო ყოველდღიური ამოცანების განხორციელების საშუალებას წარმოადგენს მათი მუშაობის გამოცოცხლება. ეს ლოზუნგი ახალი არ არის. 1925 წლიდან საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება ხდება ჩვენი პარტიის განსაკუთრებული ყურადღების და მსჯელობის საგნად. ამ საკითხის შესახებ აუარებელი მასალაც მოგვეპოვება. მე-15 ყრილობამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღიარა ხსენებულ ლოზუნგის მნიშვნელობა ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში.

ჩვენც ბევრს ვლაპარაკობთ საბჭოების მუშაობის გამოცოცხლების შესახებ. მაგრამ ზოგიერთ ამხანაგებს გონიათ, რომ საბჭოების მუშაობის გამოცოცხლება გამოიხატება იმაში, რომ მოუხშირონ სხდომების მოწყობას, მრავალ საკითხების განხილვას, ტრაფარეტულად დადგენილებების გამოტანას. იმავე დროს არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება იმას, რაც მთავარია: მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებას: ასეთი მიდგომა მუშაობისადმი ფორმალურია.

საბჭო არის რეგულატორი და ორგანიზატორი სოფლის ეკონომიურ და პოლიტიკური ცხოვრებისა. ის უნდა გახდეს ცენტრი პოლიტიკურ, კულტურულ და სამეურნეო საქმიანობისა სოფლად. საბჭომ თავის ყოველდღიურ მუშაობაში სწორი ხაზი უნდა აიღოს პარტიის პოლიტიკის სისწორით გატარებისათვის, მისი კლასობრივი შინაარსის დაუმახინჯებლად განხორციელებისათვის.

საბჭოების ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს: სოფლად გლეხურ მასების კეთილდღეობისათვის ზრუნვა, საწარმოო ძალების განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა და სოფლის ინდივიდუალურ, კერძო მეურნეობათა თანდათან შეცვლა კოლექტიური მეურნეობით. საბჭო ამა თუ იმ ღონისძიების გატარების დროს უნდა ხელმძღვანელობდეს მტკიცე კლასობრივი პოლიტიკით, რათა ამ გზით შეზღუდულ იქნეს კაპიტალისტურ ელემენტების მისწრაფებანი სოფლად.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? ჩვენი საბჭოები რამდენად ანხორციელებენ დასახულ ამოცანებს და როგორ ხელმძღვანელობენ სოფლის ცხოვრებას? წინანდელთან შედარებით საბჭოების მუშაობის შინაარსში ჩვენ გვაქვს ერთგვარი გარდატეხა გაუმჯობესებისაკენ. საბჭოთა ძირითად ორგანოებმა არსებითად შეითვისეს ის ამოცანები, რომელსაც მათ წინაშე აყენებენ პარტიისა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. ამასთან დაკავშირებით საბჭო თანდათანობით ხდება სოფლის ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრად. მაგ. ჩვენ მიერ გამოკვლეულ თემთა შორის ბაღდათის თემი (ქუთაისის მაზრა) შინდისის (გორის მაზრა) საგარეჯოს (თბილისის მაზრა) და სხვა სანიმუშო არიან იმ მხრივ, რომ ისინი სწორად უდგებიან და სწორადვე სწყვეტენ საკითხებს საბჭოთა მუშაობის სხვადასხვა დარგში. მაგრამ ასეთი საბჭოები ჯერ კიდევ ცოტაა. უმრავლეს საბჭოების მუშაობა ხასიათდება სუსტი შინაარსით და მიმდინარეობს ნელის ტემპით.

გლეხობა ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ჩაბმული საბჭოების მუშაობაში. მაგ., სამხრეთ ოსეთის ზოგიერთ თემებში გლეხები ვერ გრძნობენ ორგანიულ, მჭიდრო კავშირს საბჭოსთან. საბჭოს წევრები წინასწარ ვერ ეცნობიან იმ საკითხებს, რომელნიც საბჭოს სხდომის დღის წესრიგში ისმება. ეს ხდება იმიტომ, რომ საბჭოს წევრებს მხოლოდ ერთი დღით ადრე აცნობებენ საბჭოს სხდომების შესახებ. მხოლოდ ერთად-ერთი სადმელის თემი (რაჭის მაზრა) ხუთი დღით ადრე უგზავნის საბჭოს წევრებს უწყებას სხდომის შესახებ. დღის წესრიგი საბჭოს წევრებს წინასწარ ეგზავნება მხოლოდ შინდისის თემში და ოქონის თემში (ოსეთი). საბჭოს წევრთა კანდიდატებს იშვიათ შემთხვევაში იწვევენ საბჭოს სხდომებზე. ზოგიერთი ამხანაგები ამის გამო მოითხოვენ საბჭოს კანდიდატების ინსტიტუტის მოსპობას. დასწრება საბჭოს პლენუმზე არ არის ერთნაირი. არიან ისეთი საბჭოები (მაგ. ბაბუშერის, სოხუმის მაზრა), სადაც საბჭოს სხდომებს ესწრება 80 პროც. წევრებისა, გარდა ამისა—ძირულის თემში (შორაპნის მაზრაში) წევრების საშუალო დასწრება უდრის 75,5 პროც., კახათის თემში (ზუგდიდის მაზრა), 75,0 პროც., აწყურის—72,0 პროც. ყველაზე ნაკლებად სხდომებს ესწრებიან თელავის მაზრის ახალ სოფლის თემის საბჭოს წევრები—42,0 პროც., ბაზალეთის (დუშეთის მაზრა) საბჭოს ხუთ სხდომას საშუალოდ დაესწრო წევრების 43,3 პროც., ალახაძის (აფხაზეთი), საბჭოს და 2 სხდომას დაესწრო 45 პროც. და სხვა. ეს ცნობები მოწმობენ რომ ჩვენ ამ დარგში გვაქვს დიდი ნაკლი. საბჭოს წევრები ჯერ კიდევ საკმარისად არ არიან დაინტერესებული მცირეოდენის გამოკლებით. საბჭოების მუშაობით, ამის გამო საჭიროა მათი სხდომებზედ უფრო ფართოდ დასწრება მუშაობის შინაარსის გაუმჯობესების საშუალებით.

საბჭოს სხდომების მოწვევა არ ხდება რეგულიარულად, არიან ისეთი საბჭოები, რომელთა სხდომა იშვიათად ეწყობა. სენაკის, დუშეთის, ბაზალეთის და ცებელდის საბჭოს სხდომა მხოლოდ დროგამოშვებით, მოთხოვნილების და მიხედვით ეწყობა და არა რეგულიარულად. აჭარისტანში თემსაბჭოს პლენუმს, რომელსაც ეძახიან სათემო ყრილობას, იწვევენ სამ თვეში ერთხელ. აჭარისტანში მომუშავე ამხანაგების სიტყვით, საბჭოს სხდომების რეგულიარულად მოწვევას (ზამთრის პერიოდში) ხელს უშლის უამინდობა.

რა ხასიათის საკითხები ირჩევა საბჭოს პლენუმებზე? უნდა აღინიშნოს რომ არ არის განსაზღვრული თუ რომელი საკითხები უნდა იხილებოდეს საბჭოს პლენუმზედ და პრეზიდიუმებზედ. მაგალითისათვის ავიღოთ საკითხი თემის ბიუჯეტის შესახებ. ხშირად თემის ბიუჯეტს იხილავს საბჭოს პრეზიდიუმი და შემდეგ, საბჭოს დაუკითხავად გზავნის მაზრაღმასკომში. ეს რასაკვირველია, არ არის სწორი. თვითონ საბჭო უნდა იხილავდეს ბიუჯეტს და შემდეგ უნდა იგზავნებოდეს სამაზრო აღმასკომში. გარდა ამისა, არის ისეთი შემთხვევები (მაგ. ალახაძის საბჭო, აფხაზეთი, როდესაც საბჭოს დადგენილებები დასამტკიცებლად გადააქვთ ამომრჩეველთა საზ. კრებაზე. ეს ეწინააღმდეგება დებულებას თემების საბჭოს შესახებ. თემის ტერიტორიის ფარგლებში საბჭო არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და მისი დადგენილებას საზ. კრების მიერ დამტკიცება არ ესაჭიროება. პირიქით, საზოგადო კრების დადგენილებებს, საზ. კრების ოქმს უნდა იხილავდეს და ამტკიცებდეს თემსაბჭო თავის სხდომაზე.

საბჭოს მუშაობის პრაქტიკაში არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც საბჭოს თავმჯდომარე მარტოთ-მარტო, უშუალოდ, თავისი შეხედულებით იხილავს და სწყვეტს საკითხებს (მაგ. ცებელდა, აფხაზეთში). ეს მოგვაგონებს წარსულს, მამასახლისობის ხანას, როდესაც ყველა საკითხების გადაწყვეტის უფლება მინიჭებული ჰქონდა ერთ, მთავრობის მიერ დანიშნულ პირს. არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ მსგავს შემთხვევებს ადგილი არა აქვს სხვაგანაც.

როგორ არის დაყენებული საკითხების მომზადება პლენუმებისათვის? როგორც ვიცით საბჭოს პრეზიდიუმი წინასწარ უნდა ამუშავებდეს და იხილავდეს საბჭოს სხდომისათვის დღის წესრიგს, ამათანავე უნდა ამზადებდეს მოხსენებას თვითეულ საკითხზე. ეს თითქმის არსად არ არის შემოღებული პრაქტიკაში. უმეტეს შემთხვევაში (ქუთაისის, ლეჩხუმის და სხვა მაზრებში) საბჭოს თავმჯდომარე საკუთარ ინიციატივით სვამს გასარჩევ საკითხებს და მოხსენებასაც თვითონვე ადგენს. სექციებისათვის გასაცნობად, დასამუშავებლად და თავისი აზრის წარმოსადგენად, წინასწარ საკითხების გადაცემა თითქმის არ ხდება. აქედან ცხადია, რომ სექციები საბჭოს პლენუმის წესრიგში დასმულ საკითხების განხილვაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ.

საბჭოს პლენუმებზე ხშირად ისმებოდა საერთო პოლიტიკური ხასიათის საკითხები. სამაგიეროდ, ისეთი საკითხები, როგორიც არის ფასების დაკლება, მეურნეობის კოლექტივიზაცია, სასოფლო-სამეურნეო სესხის რეალიზაცია, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, აპარატის რაციონალიზაცია, ადმინისტრატიულ ხარჯების შემცირება და მსგავსი საკითხები საბჭოს სხდომაზე იშვიათად იხილება.

უფრო ხშირია საამშენებლო და კეთილმოწყობის საკითხების გარჩევა საბჭოს სხდომაზე.

აღსანიშნავია, რომ ლაილაშის თემში (ლეჩხუმის მაზრა), წესად შემოუღიათ საბჭოს სხდომაზე თემაღმასკომის სხდომის ოქმის განხილვა. ეს არ არის კანონის საწინააღმდეგო, მაგრამ ჩვენის აზრით, უფრო მიზანშეწონილია თუ საბჭო, იმ დროს, რომელსაც ის ანდომებს ოქმის დამტკიცებას, მოანდომებს სოფლის საჭირბოროტო საკითხების განხილვას.

არის შემთხვევა, როდესაც საბჭო იხილავს ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, მაგრამ გამოაქვს მეტად ზოგადი ხასიათის დადგენილება, რომელსაც არა აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგ. (აჭარისტანში) ქობულეთის თემის საბჭოს სათანადო საკითხების განხილვის შემდეგ გამოაქვს ასეთი დადგენილება: „მიღებულ იქნას ზომები კონტრაბანდით ვაჭრობის წინააღმდეგ". „მიღებული იქნას ზომები ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ" და სხვა. როგორც ხედავთ ასეთი დადგენილებები მეტად ზოგადია; არ არის მოცემული კონკრეტული ღონისძიება და უამისოდ კი, ისინი ვერ განხორციელდებიან.

არ არის აგრეთვე ინტერესს მოკლებული თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში საბჭოს დადგენილებები.

დადგენილებათა უმეტესი ნაწილი, 70—80 პროც. ხორციელდება, დანარჩენი კი—ვერ ტარდება ცხოვრებაში. უკანასკნელი გარემოების მთავარი მიზეზი არის უდეფიციტო ბიუჯეტის უქონლობა. ასეთ თემებში, საბჭოს ის დადგენილება, რომელიც მოითხოვს თანხების გაღებას. რჩება შეუსრულებელი, თუ ზემდგომი ორგანო არ დაეხმარა. მტკიცე ბიუჯეტის უქონლობის მხრივ, ცუდი მდგომარეობაა კერძოდ, სამხრეთ-ოსეთში, რისთვისაც თემის საბჭოებს ხშირად უხდებათ შემდეგი ხასიათის დადგენილებების გამოტანა: „ეთხოვოს განათლების სახ. კომისარიატს შეაკეთოს და მოიყვანოს წესრიგში სასკოლო შენობები", „ვინაიდან ნადგურდება ტყე, ეთხოვოს სამხრეთ-ოსეთის ცაკს გაიღოს თანხები დარაჯების და საქირავებლად" და სხვა.

სამაგიეროდ თემსაბჭოები, რომელთაც აქვთ უდეფიციტო ბიუჯეტი (შინდისის. ბაღდადის და სხვ. თემებში), თავის მუშაობას საგრძნობლად აუმჯობესებენ და საბჭოს დადგენილებებიც ტარდება ცხოვრებაში.

ორიოდე სიტყვა გეგმიანი მუშაობის შესახებ. სამწუხაროდ, თემის საბჭოებს არა აქვთ მტკიცედ შეთვისებული გეგმიანი მუშაობის მნიშვნელობა. გამოკვლეულ 27 თემიდან, მხოლოდ 7 თემსაბჭოს მოეპოვება გეგმა.

რანაირია ეს გეგმები? შინდისის და ბაღდადის თემის საბჭოს გეგმა შეიცავს კონკრეტიულ ღონისძიებათა აღნუსხვას, დანარჩენ თემის საბჭოს გეგმები კი მეტად ზოგადი ხასიათისაა. საბჭოს გეგმა უნდა წარმოადგენდეს კონკრეტიული ღონისძიებათა აღნუსხვას, იყოს თემის მატერიალურ შესაძლებლობაზე დაყრდნობილი, რეალური, და არა ზოგად სურვილზე აშენებული, აი ასეთი გეგმა აუცილებელია საბჭოს წარმატებით მუშაობისათვის.

დ. აფციაური.

ნანკინის მთავრობის დეკლარაცია საგარეო პოლიტიკის შესახებ

გერმანიის პრესის კომენტარიები ზალესსკის გამოსვლის გამო

გერმანიის რეიხსტაგის სხდომები შეწყდა ახალი მთავრობის შედგენამდე

ბრძოლა ჩინეთში

ნანკინის მთავრობის დეკლარაცია

შანხაი, 17 ივნისი. ნანკინის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია თავისი საგარეო პოლიტიკის შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია: „სამხედრო ბრძოლის პერიოდის დამთავრების შემდეგ ნაციონალური მთავრობა ეხლა იწყებს მუშაობას ჩინეთის გაჯანსაღებისა და აღდგენისათვის. ახალი სახელმწიფო ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს, როგორც სუნ-იატ-სენის მიერ წამოყენებული მმართველობის სამი პრინციპის განხორციელება, ჩვენი მიზანია მოვუპოვოთ ჩინეთს მშვიდობიანი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან თანასწორობის საფუძველზე. ნაციონალური მთავრობა უარყოფს მმართველ-გამგეობის ყოველგვარ მილიტარისტულ ფორმებს და აგრეთვე სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ყველა იმათ, ვინც, კომუნისტების მსგავსად, სცდილობს დაანგრიოს თანამედროვე სოციალური დაწესებულებები.

80 წლის განმავლობაში ჩინეთის საგარეო ურთიერთობა განისაზღვრებოდა სამარცხვინო, უთანასწორო ხელშეკრულებებით. ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლების პრინციპებს და ურთიერთ სუვერენიტეტის პატივისცემას და არცერთ სუვერენულ სახელმწიფოს ასეთი შეზღუდვა დასაშვებად არ მიაჩნია. ჩინეთის გაერთიანების დამთავრების შემდეგ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა დრო გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები და ეხლავე იქნას დაწყებული მოლაპარაკება ახალი ხელშეკრულებების შესახებ ორივე მხარის სრული თანასწორობისა და ურთიერთ სუვერენიტეტის პატივისცემის საფუძველზე".

„ნაციონალური მთავრობა—ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში,—მიმართავს ამ დეკლარაციით მთელი ჩინეთის მოსახლეობის სახელით მთელ მსოფლიოს და იმედოვნებს, რომ მეგობრულად განწყობილი ერები სრული თანაგრძნობით შეხვდებიან ახალ სახელმწიფოს პროგრამას". (ადს).

იაპონიის ჯარები მანჯურიაში

ტოკიო, 17 ივნისი. მუკდენიდან იაპონიის სარდლობამ ჯარები გაგზავნა ხარბინში, გირინში და სხვა ქალაქებში, ვინაიდან იქ, თითქოს, დაიწყო ექსცესები იაპონელების წინააღმდეგ (ადს).

გომინდანის დროშა ტოკიოში

ტოკიო, 17 ივნისი. ჩინეთის მისიამ ტოკიოში გამოაფინა გომინდანის დროშა. (ადს).

იაპონური ვერსია

პეკინი, 17 ივნისი. იმ შერეული ჩინურ-იაპონური კომისიისა, ჩინურმა ნაწილმა, რომელიც იკვლევდა ჩან-ძო-ლინის მატარებლის აფეთქების გარემოებებს, უარი განაცხადა მოეწერა ხელი იაპონური ნაწილის მიერ წარმოდგენილ ოქმზე. ოქმი იმეორებს იმ ცნობილ იაპონურ ვერსიას, რომ მატარებლის აფეთქება მოწყობილი იყო „სამხრეთელების აგენტების მიერ". (ადს).

„წითელი შუბები"

შანხაი, 17 ივნისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, შანდუნის პროვინციაში სიაცზინჩენში, ცზინანიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით, წითელი შუბები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ფინ-იუ-სიანის მიერ შემოღებული აუტანელი გადასახადებით, თავს დაესხნენ გადასახადთა შემკრებ ბიუროს, დაანგრიეს ის და მოჰკლეს 20 მოხელე. (ადს).

დედა-ქალაქი—პეკინი?

შანხაი, 17 ივნისი, კანტონში გაიმართა უმაღლეს სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის პირთა თათბირი, რომელმაც დაადგინა წინადადება მისცეს ნანკინის მთავრობას გამოაცხადოს დედა-ქალაქად პეკინი. (ადს).

ფინ-იუ-სიანმა გაიყვანა ჯარები პეკინის მიდამოებიდან

შანხაი, 17 ივნისი, ნანკინის მთავრობის განკარგულების თანახმად, ფინ-იუ-სიანის ჯარებმა დასტოვეს პეკინის მიდამოები.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ფინ-იუ-სიანმა იაპონიის გენერალური შტაბის ჩინეთის განყოფილების გამგე ბაცუმარი მიიწვია თავისი მრჩევლის თანამდებობაზე. (ადს).

იაპონიის მოთხოვნილება

ტოკიო, 17 ივნისი, „ტოკიო ასახი" იუწყება, რომ იაპონიის მთავრობა, როგორც გარანტიას ცზინანის მსგავს ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, მოითხოვს, რომ ცინდაო და ცზინანი გამოცხადებული იქნეს „თავისუფალ ქალაქებად" და ამ ქალაქებიდან გაყვანილ იქნეს ჩინეთის გარნიზონი. იაპონიამ უნდა მიიღოს შანდუნის რკინის გზის მმართველობა და კონტროლი გაუწიოს მის ფინანსებს. ჩინეთის ხელისუფლებამ უარი უნდა სთქვას გადასახადების შეგროვებაზე შანდუნში (ადს).

ინგლისის კომპარტიის პასუხი ხიქსს

ლონდონი, 17 ივნისი. ინგლისის კომპარტიამ თავის ორგანო „უორკერს ლაიფ"-ში გამოაქვეყნა განცხადება ხიქსის გამოსვლის გამო.

„ბრალდებები, რომლებიც წამოყენებულ იქნა საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ ლონდონში—ნათქვამია განცხადებაში—სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდა. ბრალდებები საბჭოთა დაწესებულებების წინააღმდეგ აშენებული იყო მხოლოდ და მხოლოდ პოლიციის აგენტების ცნობებზე. კონსერვატიულ მთავრობის ასეთი გამოსვლა აიხსნება ბოროტი განზრახვით, რომლის მიზანია საბჭოთა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის მოსპობა პირველ რიგში, და დაბოლოს საზოგადოებრივი აზრის მომზადება ომისთვის პირველ სოციალისტურ რესპუბლიკის წინააღმდეგ. ამაში მინისტრს ხელი შეუწყო ეგრედწოდებულ მუშათა ბელადების გამოსვლამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სინამდვილეში კი პირიქით, სწორედ საბჭოთა მთავრობას აქვს საფუძველი განაცხადოს, რომ ინგლისის მთავრობა ყოველმხრივ ხელს უწყობს პროპაგანდას, ჯაშუშობას და ტერორისტულ საქმიანობას, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

მოწოდებაში მოყვანილია მთელი რიგი შემთხვევები, როცა ინგლისის მთავრობა, რომელიც ოფიციალურად მშვიდობიან ურთიერთობაში იყო საბჭოთა კავშირთან, ხელს უწყობდა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობას.

„ამასთან დაკავშირებით,—ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში,—კომპარტია აფრთხილებს მუშებს და მიუთითებს მათ, რომ კონსერვატორების, ლიბერალების და ეგრეწოდებულ მუშათა ბელადების ყოველგვარი ლაყბობა „რუსეთის ჩარევის შესახებ" წარმოადგენს მხოლოდ ტრიუკს, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მახინაციების დაფარვა ფართე მასებისაგან.

ეხება რა შემდეგ ხიქსის და ტომასის „შეთანხმებულ ცდას" თემთა პალატაში გამოეყენებიათ ეს საქმე კომპარტიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიისათვის, მოწოდება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „კომპარტია სრულიადაც არ სთვლის სამარცხვინოდ იმას, რომ ის წარმოადგენს კომინტერნის, ე. ი. მშრომელთა ნამდვილი საერთაშორისო ასოციაციის, სექციას". კომპარტია სთვლის, რომ ეს სამარცხვინო კი არა, არამედ სამაყოა მისთვის. კომპარტია აცხადებს, რომ ის მომავალშიაც შეინარჩუნებს და განავითარებს ურთიერთობას კომუნისტურ ინტერნაციონალთან და უცხო ქვეყნების მოძმე პარტიებთან. (ადს).

გერმანიის პრესა ზალესკის გამოსვლის შესახებ

ბერლინი, 17 ივნისი. გერმანიის მთავრობასთან დაახლოებული „დეიტჩე დიპლომატიშე პოლიტიშე კორესპონდენც" სწერს:

„ჩვენ საჭიროდ ვსთვლით ყურადღება მივაქციოთ ზალესკის პროპაგანდისტულ კამპანიას, სავსებით შესაძლოა, რომ ეს კამპანია ფაქტიურად ნიშნავს მხოლოდ ვარშავის მიერ მატერიალურ მოთხოვნილებების წაყენებას იმასთან დაკავშირებით, რომ ბერლინსა და პარიზს შორის მოსალოდნელია მოლაპარაკების დაწყება კომპენსაციის შესახებ რეინის ოლქის ვადამდე ევაკუაციისათვის. უნდა ითქვას, რომ ეს კამპანია ეწინააღმდეგება გერმანიისა და მისი დასავლეთ მეზობლების დაახლოებას, ვინაიდან ერთგვარ ზეგავლენას ახდენს საფრანგეთის თვალსაზრისზე. ვერსალის ხელშეკრულების ის მუხლები, რომლებიც პოლონეთს უფლებას აძლევს წარუდგინოს გერმანიას ესა თუ ის პრეტენზიები, უკვე დიდი ხანია გავიდა. ლოკარნოს ხელშეკრულებამ ძალმოწონა მისცა ახალი გარანტიები და თვით პოლონეთისათვის უმჯობესი იქნება თუ ის თავიდან აიცილებს ამ ხელშეკრულების მნიშვნელობის შესუსტებას. პოლონეთის ცდა უზრუნველყოს საფრანგეთის და ბელგიის მთავრობათა დახმარება პოლონეთის განსაკუთრებულ პრეტენზიების დაკმაყოფილების საქმეში, არ ეთანხმება ამ ქვეყნების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია გერმანიასთან დაახლოებისაკენ. ყოველ შემთხვევაში პოლონეთის ასეთი ღონისძიებები ვერ შეუშლიან ხელს პოლონეთ-გერმანიის დაახლოებას, რომლის შესახებ ამდენს ლაპარაკობდენ ამ ბოლო დროს".

შენიშვნა: ეს კომენტარიები წარმოადგენს გამოძახილს ზალესკის შემდეგ განცხადებაზე, რომელიც მან გააკეთა პარიზში ჟურნალისტებთან საუბარში.

„საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან საუბარიდან მე გამოვიტანე დასკვნა, რომ რეინის ოლქის ევაკუაცია, რომელსაც პარიზში ისეთივე სიფრთხილით უდგებიან, როგორც ვარშავაში, დაკავშირებულია ისეთ ფინანსიურ შეთანხმებასთან, რომლებსაც შეუძლია ისეთივე თავშეკავებული გავლენის მოხდენა ბერლინის მთავრობაზე, როგორც სამხედრო ოკუპაციას". (ადს).

კოალიციური მთავრობის შედგენის გარშემო

ბერლინი, 17 ივნისი. ახალ მთავრობის შედგენამდე რეიხსტაგის სხდომები შეწყვეტილია.

მემარჯვენე პრესა აღნიშნავს, რომ თუ კიდევ გაჭიანურდა მთავრობის შედგენა, საქმეში ჩაერევა ჰინდენბურგი, რათა დააჩქაროს მთავრობის შედგენა.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთები „ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგ" და „ბრესლაუერ ფოლკსვახტ"-ი აკრიტიკებენ გერმან მიულერის ტაქტიკას, რომელმაც იქამდე მიიყვანა საქმე, რომ ბურჟუაზიული პარტიები კი არ ელაპარაკებიან „გამარჯვებულ" სოციალ-დემოკრატიას მისი მოთხოვნილებების შესახებ, არამედ სოციალ-დემოკრატები ელაპარაკებიან მათ კაპიტალისტური პარტიების რეაქციონური მოთხოვნილებების შესახებ. (ადს).

თათბირი კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ

ბერლინი, 17 ივნისი. „როტე ფანე"-ს ცნობით, შტრეზემანის ბინაზე გაიმართა მიულერის, შტრეზემანისა და სტატს-სეკრეტარ მეისნერის თათბირი. მეისნერმა თათბირში მონაწილეობა მიიღო ჰინდენბურგის დავალებით, რათა დაეჩქარებია მოლაპარაკება კოალიციური მთავრობის შედგენის შესახებ. თათბირზე მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება საგარეო პოლიტიკის საკითხებში და კერძოდ რეინის ოლქის ვადამდე დაცლის საკითხში (ადს).

საბერძნეთ-საბჭ. კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

საბერძნეთის გაზეთების ცნობა

ათინა, 17 ივნისი. ათინის გაზეთები აქვეყნებენ შემდეგ ოფიციალურ ცნობებს:

„მახლობელ დღეებში მთავრობის ოფიციალური ორგანო გამოაქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას. პარლამენტის მიერ საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის წინანდელ სავაჭრო შეთანხმების უარყოფის შესახებ, რის შემდეგ გაუქმებული იქნება საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება და ამ შეთანხმების დამატება დიპლომატიური ხელშეუხებლობის დაწესების შესახებ. საბჭოთა სავაჭრო სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომელთ შეუძლიათ საბერძნეთში დარჩენა, მაგრამ ისინი არ ისარგებლებენ დიპლომატიური ხელშეუხებლობით. საბერძნეთში მოელიან საბჭოთა მთავრობის პასუხს საბერძნეთის წინადადებაზე ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ". (ადს).

ვისი კარნახით

მოსკოვი, 18 ივნისი. ათინიდან მიღებული ცნობით, საბერძნეთის პალატამ უარჰყო საბჭოთა კავშირის და საბერძნეთის შორის არსებული სავაჭრო ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

ამ სავაჭრო შეთანხმების უარყოფა, რომელიც წარმოადგენდა უფლებრივ ბაზას ვაჭრობის ნორმალურ განვითარებისათვის ორივე ქვეყანას შორის, დიდ დაბრკოლებებს შეუქმნის საბერძნეთის გემების გამოყენებას ტვირთზიდვისათვის. საბერძნეთის გემების მეპატრონეების მიერ მათი გემების დაქირავებისათვის აღებული ქირა აძლევდა საბერძნეთს დიდძალ ვალიუტას, რითაც მას შეეძლო შემოზიდულ საქონლის ღირებულების გადახდა. ამავე დროს საბერძნეთისათვის აუცილებლად საჭირო საქონლის შეტანა არ შეიძლება შესწყდეს; მაშასადამე, საბერძნეთმა უნდა გამონახოს ახალი წყაროები ვალიუტის მისაღებად, რომელიც მას ესაჭიროება საიმპორტო საქონლის ღირებულების გასასტუმრებლად.

აქედან აშკარაა, თუ რით ხელმძღვანელობდა საბერძნეთის მთავრობა, როცა საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას აუქმებდა: წმინდა ეკონომიური მოსაზრებებით, თუ პალატის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ზოგიერთმა გარეშე-პოლიტიკურმა ფაქტებმა (ადს).

საუბარი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სატრანსპორტო სამმართველოს უფროსთან

მოსკოვი, 18 ივნისი. საბერძნეთის პარლამენტის მიერ საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმების რატიფიკაციის უარყოფასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სატრანსპორტო სამმართველოს უფროსმა ამხ. იმენიტოვმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ შექმნილი პირობების გამო საბერძნეთის გემების დაქირავებას დაეკარგა უფლებრივი ბაზა. საბჭოთა კავშირთან ნორმალური საგარეო სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტა გამოიწვევს საბერძნეთის გემების დიდ უმუშევრობას, ვინაიდან საბერძნეთის ფლოტი თავიდანვე მუშაობდა შავ ზღვაზე და ეზიდებოდა ჩვენს ტვირთებს, ხოლო სხვა გზებზე და სხვა ტვირთებით მუშაობა მას არ ძალუძს. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის ორიენტაცია ინგლისზე

პრაღა, 17 ივნისი. პოლიტიკურ წრეების აზრით, ბენეშის ლონდონში გამგზავრების შემდეგ ჩეხო-სლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ორიენტაცია ინგლისზე თანდათან უფრო აშკარა ხდება. ამას მოწმობს ბენეშთან დაახლოვებული გაზეთების პოზიცია პოლონეთ-ლიტვის ურთიერთობის საკითხში. ეს გაზეთები აშკარად დადგნენ პოლონეთის მხარეზე.

კომპარტიის დეპუტატმა ბოლენმა პარლამენტის სხდომაზე ასე დაახასიათა ბენეშის პოლიტიკა: ბენეშმა თავის მოხსენებაში განაცხადა, რომ ჩეხო-სლოვაკიის საგარეო პოლიტიკა ისეთივეა, როგორც ინგლისის პოლიტიკა, ე. ი. პოლიტიკა რომელიც მიზნად ისახავს ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნების გაერთიანებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. იმ დროს, როცა ინგლისის იმპერია ეკონომიურად და პოლიტიკურად იხრწნება, ჩეხო-სლოვაკია თავისი საგარეო პოლიტიკის გადათვალიერების მაგიერ აშკარად გადადის ანტი-საბჭოთა ბანაკში" (ადს).

საფრანგეთის მენშევიკები მხარს უჭერენ პუანკარეს მთავრობას

პარიზი, 17 მაისი. თემთა პალატაში დაიწყო კამათი მთავრობის საერთო პოლიტიკის გარშემო.

განსაზღვრა რა სოციალისტური პარტიის პოზიცია, ვენსან ორიოლმა განაცხადა: „ვისგანაც არ უნდა შესდგებოდეს მთავრობის უმრავლესობა, ჩვენ ხმას მივცემთ მთავრობის ყველა ღონისძიებებს, რომლებიც შეეფერება ქვეყნის ინტერესებს და მშვიდობიანობის დაცვის მომხრეებს". (ადს).

კელოგის წინადადება

ვაშინგტონი, 17 ივნისი. სამხრეთ აფრიკის კავშირმა გამოგზავნა პასუხი კელოგის წინადადებაზე ომის, როგორც ნაციონალური პოლიტიკის საშუალების, აკრძალვის შესახებ. კავშირი ეთანხმება კელოგის წინადადებას, მაგრამ საჭიროდ სთვლის შენიშვნებს „კანონიერ თავდაცვის" და ერთა ლიგისადმი ვალდებულების შესახებ.

სამხრეთ-აფრიკისაგან პასუხის მიღების შემდეგ ვაშინგტონის მთავრობას აქვს პასუხი ყველა 11 სახელმწიფოსაგან, რომელთაც მან მიმართა წინადადებით ხელი მოაწერონ შეთანხმებას ომის აკრძალვის შესახებ. ამავე დროს კელოგი ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს ბელგიის, პოლონეთის და ჩეხო-სლოვაკიის ელჩებთან, რითაც სურს ხელშეკრულების მონაწილეთა რიცხვი გააფართოვოს 14 სახელმწიფომდე. (ადს).

ჟენევის შრომის ბიუროში

პარიზი, 17 ივნისი, ჟენევიდან იუწყებიან, რომ ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს კონფერენციაზე დამთავრდა კამათი ალბერ ტომას მოხსენების გარშემო ბიუროს შესახებ. ტომამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც უმთავრესად შეჩერდა ინგლისის მთავრობის ცდაზე, რათა სახელმწიფოებს გადაეთვალიერებიათ კონვენცია 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. სიტყვის ამ ნაწილში ტომამ მოუწოდა ინგლისის მთავრობას გააქარწყლოს მუშების შიში და დაეხმაროს საერთაშორისო ბიუროს კონვენციის რატიფიკაციის საქმეში.

სხვათა შორის, ტომამ განაცხადა, რომ შრომის საერთაშორისო ბიურო არ უნდა გადაიქცეს „სხვადასხვა სოციალურ დოქტრინების" ბრძოლის ასპარეზად. როგორც სჩანს, მას მხედველობაში ქონდა ის, რომ ზოგიერთი დელეგატების აზრით როსონს (ფაშისტურ კორპორაციების წარმომადგენელი არ ჰქონდა უფლება გამოსულიყო იტალიის მუშების სახელით (ადს).

სამხრეთ-სლავიის პარლამენტში

ვენა, 17 ივნისი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, პარლამენტის სხდომაზე გლეხურ-დემოკრატიულმა კოალიციამ შეიტანა წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისგებაში მიცემის შესახებ ბელგრადის პოლიციასა და სტუდენტებს შორის მომხდარ შეტაკებასთან დაკავშირებით.

სკუპშტინის თავმჯდომარე პერიჩმა შეიტანა წინადადება ოპოზიციის 8 დეპუტატის გამორიცხვის შესახებ სამ სხდომიდან წინანდელ სხდომაზე მოწყობილ ობსტრუქციისათვის.

პერიჩის წინადადებამ დიდი პროტესტი გამოიწვია ოპოზიციის მხრიდან. მიუხედავად ამისა, სკუპშტინამ მიიღო პერიჩის წინადადება.

მუშათა ბრძოლა

სალებავების მრეწველობის მუშათა გაფიცვა

ლონდონი, 17 ივნისი. ლანკაშირში და იორკშირში გაიფიცა სალებავების მრეწველობის 5.000 მუშა. გაფიცულები მოითხოვენ დღიურ მუშათა ხელფასის გადიდებას. (ადს).

რეპრესიები გაფიცულ მუშათა წინააღმდეგ

ვენა, 17 ივნისი. ათინიდან მიღებულ ცნობით, 14 ივნისს სალონიკში თამბაქოს ფაბრიკების მუშათა კრებას თავს დაესხა ცხენოსანი პოლიცია; დაჭრილია ბევრი მუშა.

სალონიკში და სხვა ქალაქებში, სადაც გაფიცულია თამბაქოს ფაბრიკების მუშები, ყველა საზოგადოებრივი შენობები და ქუჩები დაკავებულია ჯარების მიერ; დემონსტრაციები აკრძალულია. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

თურქეთ-სპარსეთის ხელშეკრულების ოქმი

თეირანი, 17 ივნისი. ხელი მოაწერეს თურქეთ-სპარსეთის ოქმს, რომელიც თურქეთ-სპარსეთის ხელშეკრულების დამატებას წარმოადგენს.

ოქმი შესდგება ორი მუხლისაგან. პირველი მუხლი წარმოადგენს თურქეთ-ავღანისტანს შორის დადებული ხელშეკრულების მეორე მუხლის განმეორებას. მეორე მუხლში ლაპარაკია ეკონომიურ თანამშრომლობაზე ორივე ქვეყანას შორის.

ამავე დროს ხელი მოაწერეს სპარსეთ-ავღანისტანის ანალოგიურ ოქმს და კონვენციას ბოროტმოქმედთა გადაცემის შესახებ. ავღანისტანის მისიას თეირანში საელჩოს უფლებები ენიჭება.

ერთდროულად ხელის მოწერას ორივე ოქმზე, რომლებიც წარმოადგენს უკვე არსებული ხელშეკრულებების შემდგომ განვითარებას, თეირანის პოლიტიკურ წრეებში განმარტავენ, როგორც აღმოსავლეთის სამი ქვეყნის დაახლოვებას საბჭოთა კავშირის მეგობრული გავლენით.

ამხ. დავთიანმა სპარსეთის მთავრობას ოფიციალურად მიულოცა თურქეთთან და ავღანისტანთან მეგობრობის ოქმებზე ხელის მოწერა.

სოციალისტები გაფიცვის წინააღმდეგი არიან

პარიზი, 17 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„ანტვერპენში დოკერების პროფკავშირმა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, გამოაცხადა დოკერების საყოველთაო გაფიცვა სამუშაო ხელფასის გადიდების მიზნით. პროფკავშირმა, რომელსაც სოციალისტები ხელმძღვანელობენ, თავის წევრებს მოუწოდა არ შესწყვიტონ მუშაობა" (ადს).

კომუნისტების დევნა

შანხაი, 18 ივნისი. ნანჩანში (მთავარი ქალაქი ცზიანსის პროვინციაში) და სვატოუში ვითომც აღმოაჩინეს კომპარტიის არალეგალური ორგანიზაციები. ორივე ქალაქში დაპატიმრეს მრავალი ხალხი, რომელთაც ბრალს სდებენ ჩინეთის კომპარტიის წევრობაში. ნანჩანში ორი კომუნისტი დახვრიტეს.

მიწისძვრა მექსიკაში

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. 16 ივნისს მექსიკაში მოხდა მიწისძვრა, რომელიც ხანგამოშვებით 13 წუთს გაგრძელდა. ქალაქი მოიცვა საშინელმა პანიკამ, რომელიც გაძლიერდა ამ გარემოებამ, რომ პირველი ბიძგის შემდეგ მთელ ქალაქში სინათლე ჩაქრა (ადს).

სად იმყოფება ნობილე?

მოსკოვი, 18 ივნისი, იტალიის მთავრობამ ნობილეს დამხმარე კომიტეტს შეატყობინა უკანასკნელი ცნობები იმის შესახებ, თუ სად იმყოფება ნობილე. ამ ცნობების მიხედვით ნობილე იმყოფება ჩრდილო განედის 80 გრადუსზე და 28 წუთზე.

ყინულის მჭრელი გემი „მალიგინი"

მოსკოვი, 18 ივნისი. ნობილეს დამხმარე კომიტეტმა მიიღო რადიო-დეპეშა, რომ ყინულის მჭრელი გემი „მალიგინი" 18 ივნისს დილით მივა იმედის კუნძულზე (ადს).

ტოლსტოის იუბილე ტოკიოში

ტოკიო, 17 ივნისი, გაზეთ „კოკუმინ"-ის რედაქციის ინიციატივით გაიმართა საზეიმო სხდომა ლევ ტოლსტოის დაბადების ასი წლის თავის აღსანიშნავად. სიტყვები წარმოსთქვეს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში ამხ. ტროიანოვსკიმ და ცნობილმა ჟურნალისტმა ტოკუტომიმ (ადს).

კ. მარქსის სახელობის მოედანი კლატავაში

პრაღა, 17 ივნისი. ქალაქ კლატავის მუნიციპალურ საბჭოს კომუნ. და სოციალისტური უმრავლესობამ დაადგინა ქალაქის ერთ-ერთ დიდ მოედანს უწოდოს კარლ მარქსის სახელობის მოედანი (ადს).

კამპანია კუკის წინააღმდეგ

ლონდონი, 17 ივნისი. „სანდეი უორკერ"-ის (პროფკავშირების მემარცხენე ფრთის ორგანო) ცნობით, ტრედიუნიონთა გენსაბჭომ გადასდგა ნაბიჯები, რომ მომავალ წელს სამთამადნო მუშათა ალმასკომმა უარი სთქვას არტურ კუკის დანიშვნაზე თავის წარმომადგენლად გენერალურ საბჭოში (ადს).

ლეტროკერის კომისია

ბერლინი, 17 ივნისი. შტრეზემანის ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ" აქვეყნებს თავის პარიზელ კორესპონდენტის ცნობას იმის შესახებ, რომ ლეტროკერის თავმჯდომარეობით შესდგა საფრანგეთის საპარლამენტო კომისია, რომელიც საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთ-დამოკიდებულების საკითხებს შეისწავლის. ლეტროკერს განზრახული აქვს კომისიაში განსახილველად დასვას საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის ყველა მიმდინარე საკითხები, პირველ რიგში, რეინის პრობლემა.

ჩან-კაი-ში დაბრუნება

შანხაი, 18 ივნისი. ჩან-კაი-ში ტიანძინში დაბრუნდა; მან უკან წაიღო თავის განცხადება გადადგომის შესახებ და შეუდგა თავის მოვალეობათა შესრულებას (ადს).

ჩეხიის კოოპერატორების დემონსტრაცია

პრაღა, 17 ივნისი. ჩეხიის კოოპერატივების კავშირის 20 წლის თავის აღსანიშნავად პრაღაში გაიმართა კოოპერატიული მოძრაობის მონაწილეთა დემონსტრაცია.

დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 30.000 კაცმა. კომუნისტების მონაწილეობის მეოხებით, დემონსტრაციამ ორგანიზაციული კლასობრივი გამოსვლის ხასიათი მიიღო. პრაღის მთავარ ქუჩებზე დემონსტრაციის გავლის დროს გაისმოდა ძახილი: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს წითელ დღეს"!

16 ივნისს იუბილეს აღსანიშნავად გაიხსნა კოოპერატივების ყრილობა. გამოვიდენ „ცენტროსოიუზ"-ის დელეგაციის წარმომადგენლები, რომელთაც მხოლოდ უკანასკნელ მომენტში დართო შესვლის ნება ჩეხო-სლოვაკიის მთავრობამ. დელეგაციას აღფრთოვანებით მიესალმენ. (ადს)

ამანულა ხანის გამგზავრება თეირანიდან

თეირანი, 17 ივნისი. ავღანისტანის ფადიშაჰი ოჯახით და ამალით გაემგზავრა მეშედში, საიდანაც ჰერატის გზით გაემგზავრება ქაბულში.

გამგზავრების დღეს ფადიშაჰმა მიიღო გამოსათხოვარ აუდიენციაზე საბჭოთა მთავრობის მიერ მასთან მივლინებული გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფლორინსკი და დივიზიის უფროსი რინკი.

ავღანისტანის ფადიშაჰმა და მისმა ამალამ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან (სპარსეთში) დავთიანთან, გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფლორინსკისთან და დივიზიის უფროს რინკთან საუბარში რამოდენიმეჯერ ხაზგასმით აღნიშნეს ფადიშაჰის მეგობრული მიღება საბჭოთა კავშირში და გულითადი მადლობა გამოსთქვეს ამისათვის.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

შრომის ნაყოფიერება საქართველოს მრეწველობაში

მოსკოვი, 18 ივნისი. ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს სრულიად საკავშირო ყრილობა შრომის ეკონომიკის საკითხების შესახებ. აღნიშნულ თათბირზე გაშუქებულ იქნა შრომის ნაყოფიერების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში შემავალ თითქმის ყველა რესპუბლიკებში.

საქართველოში, ადგილობრივ დელეგატის მოხსენების თანახმად, შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ მდგომარეობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ არა ერთხელ იყო გადადგმული ნაბიჯები ამ მიმართულებით, შრომის ნაყოფიერება საქართველოში, მაინც ნელი ტემპით იზრდება. ჯერჯერობით მან მოიმატა მხოლოდ 8 პროცენტით. რაც შეეხება სამეურნეო წლის მეორე კვარტალს, ამ ხნის განმავლობაში საქართველოს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერებამ კიდევ დაიკლო.

შუშის მრეწველობის ტრესტი ამიერ-კავკასიაში

მოსკოვი, 18 ივნისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ დაამტკიცა პროექტი შუშის მრეწველობის რეორგანიზაციის შესახებ. დღემდე ეს წარმოება მოკლებულია სათანადო ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას. ამის გამო, სუსტადაა დაყენებული შუშის ქარხნების, როგორც ნედლეული მასალით მომარაგება, ისე, მათი მექანიზაციისა და პროდუქციის გაიაფების საქმე.

პროექტის თანახმად, რომელიც დაამტკიცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭომ, მოსკოვში უნდა მოეწყოს შუშის მრეწველობის კომიტეტი. გაერთიანება უნდა შეეხოს ამიერ-კავკასიის შუშის მრეწველობასაც. ამ მიზნით, ამიერ-კავკასიაში მოეწყობა შუშის მრეწველობის ერთი ტრესტი.

„საიდან მოგველის საფრთხე"

მოსკოვი, 18 ივნისი. მოსკოვის პრესაში გამოქვეყნებულია ამხ. ემ. იაროსლავსკის წერილი შემდეგი სათაურით: „საიდან მოგველის საფრთხე".

ავტორი ეხება პარტიულ და საბჭოთა აპარატის ორგანიზმის ცალკე უჯრედების გადაგვარების საკითხს და მაგალითისათვის მიუთითებს არტემოვსკის, სმოლენსკის და სხვა ორგანიზაციაში მომხდარ უმსგავსოებებზე. ასეთ არანორმალობათა აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუშაკთა შერჩევის საკითხს. ბევრი მუშაკი უკვე ათეული წლის განმავლობაში უძღვება ერთსა და იმავე საქმეს. ის საქმე, რომელიც ამ მუშაკებთ აბარიათ საუკეთესო შემოწმებათ შეიძლება ჩაითვალოს მათთვის. ამასთან ერთად ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მუშათა დაწინაურების საქმეში შემჩნეულ დეფექტების დასაძლევად.

დაუშვებელია აგრეთვე ისეთი მდგომარეობა, როცა დაწესებულება-წარმოებებში არ არის სწორად დანაწილებული ფუნქციები, რაიც ამსუბუქებს პირადი პასუხისმგებლობის გრძნობას.

ჩვენი აპარატის საშიშარი მტერია აგრეთვე ლოთობა, რომელიც ხშირად იწვევს არა მარტო სისხლის ხასიათის, არამედ პოლიტიკურ დანაშაულსაც, რომელიც წარმოადგენს უბედურ შემთხვევათა მიზეზს და დიდ მატერიალურ ზარალსაც აყენებს წარმოებას.

თავის წერილის დასასრულში, ამხ. ე. იაროსლავსკი მოუწოდებს საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს ენერგიული ბრძოლა აწარმოონ ამ დეფექტების წინააღმდეგ.

„მავნებლობა კულტურულ ფრონტზე"

მოსკოვი, 18 ივნისი. ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმის გამო, გამოტანილ განაჩენის შესახებ მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სახლში გაიმართა დიდი საჯარო დისპუტი, რომელსაც დაესწრო პრესისა და მხატვრული ლიტერატურის წარმომადგენლები, მუშკორები და სხვანი.

მოხსენებით გამოვიდა ამხ. სტელმახოვიჩი. დისპუტზე დაისვა ახალ ყოფა-ცხოვრების განმტკიცების პრობლემა. რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არაა, ამას მოწმობს შემდეგი ციფრები: წარსული ერთი წლის განმავლობაში მოსკოვის საგუბერნიო სასამართლომ გაარჩია შვიდასი საქმე გაუპატიურების შესახებ და 70.000 საქმე ალიმენტების შესახებ.

დისპუტზე გამოვიდნენ ისლამოვის ქალის თვითმკვლელობის საქმის „გმირების": ალტშულერის, ანოხინის და ავრუშჩენკოს თანამოაზრენი, რომელთაც განაცხადეს, რომ ტალანტის პატრონ ხალხისათვის არაფერი არ არის აკრძალული თვით ქალის გაუპატიურებამდეც კი. აუდიტორიაში ამგვარ თავხედურ გამოსვლამ დიდი აღშფოთება გამოიწვია.

კამათში ვრცელი სიტყვით გამოვიდა ამხ. სოლცი, რომელმაც ალტშულეროვშჩინის დამცველების გამოსვლა დაახასიათა, როგორც „ღორული დამოკიდებულება" ქალისადმი. ამხ. სოლცის სიტყვით, საჭიროა ულმობელი ბრძოლა გამოეცხადოს მავნებელ მუშაობას კულტურულ რევოლუციის ფრონტზე.

შახტის კონტრ-რევოლუციონერების გასამართლება

16 ივნისის დილის სხდომა

შადლუნის დაკითხვა

მოსკოვი, 16 ივნისი. 16 ივნისის დილის სხდომაზე დამთავრდა მეშკოვის დაკითხვა და დაიწყო შადლუნის დაკითხვა.

შადლუნი მსახურობდა დონბასში, უმთავრესად, საფრანგეთის კომპანიების მაღაროებში. თეთრგვარდიელების წასვლის წინ ის იყო მაღაროს გამგე. უკანასკნელ წლებამდე დაპატიმრების წინ იყო ქვანახშირის ცენტრალური რაიონის ინჟინერად.

1925 წ. შადლუნი შეხვდა სუშჩევსკის, რომელმაც მას გადასცა 200 მან. და ბარათი.

— „რა არის ეს? ჰკითხა შადლუნმა.—„წადით მატოვთან, ის ყველაფერს აგიხსნით", უპასუხა სუშჩევსკიმ.

შადლუნის სიტყვით, ის 1918—19 წ. წ., როცა მაღაროების ძველი პატრონები—ფრანგები ჯერ კიდევ რუსეთში იყვნენ, შეხვდა მათ. ესენი იყვნენ: დეკსი, შარპი და რემო. 1919 წ. ამათგან მხოლოდ რემო დარჩა, რომელიც შადლუნს შეხვდა ხარკოვში და გადასცა მას ჩეკი მაღაროს ხარჯებისათვის. შადლუნის, მისი სიტყვით, ფული არ მიუღია, რადგან ასეთი არ აღმოჩნდა ხაზინაში. ამ შეხვედრის დროს რემომ უთხრა შადლუნს, რომ „ბოლშევიკები დიდ ხანს ვერ გაძლებენ" და ამიტომ საჭიროა მაღაროების დაცვა, სანამ კვლავ თეთრები არ დაბრუნდებიან. შადლუნი გაემგზავრა მაღაროებში და რემოს დირექტივები გადასცა ინჟინერ ნეკრასოვს.

წინანდელ ჩვენებაში შადლუნი ამბობდა, რომ ფული რემოსაგან მიიღო, როგორც „დახმარება სიღარიბის გამო", ეხლა კი აცხადებს, რომ რემომ მას დაუბრუნა ვალი 100 დოლარი და 10 გირ. სტერლინგი. 1923 წ. შადლუნმა რემოსაგან მიიღო კიდევ წერილი და ფული—ამ შემთხვევაში 1,000 მან. ის ამ ფულს აგზავნიდა მოსამსახურეების დასახმარებლად.

„მაშინ შიმშილობა იყო,—ამბობს შადლუნი, ხოლო წერილში, რამდენადაც მახსოვს, ასეთი ფრაზა იყო: „თუ № 14 მაღარო წყალითაა ამოვსებული, არა აქვს აზრი წყლის ამოქაჩვას".

შეკითხვების საშუალებით ამხ. კრილენკო არკვევს, რომ 1919 წელში დეკსმა განკარგულება გასცა წყლით ამოევსოთ მაღარო.

„1918 წელში განკარგულება გასცეს წყლით ამოევსოთ მაღარო, 1923 წელში კი წყალი არ ამოქაჩოთ?—ამბობს ამხ. კრილენკო, მათი ხაზი ლოღიკური იყო".

— დიახ, ლოღიკური იყო, უპასუხებს შადლუნი. მაგრამ შადლუნი აცხადებს, რომ მან არც პირველი და არც მეორე განკარგულება არ შეუსრულებია.

ამხ. კრილენკოს თხოვნით, სასამართლო აქვეყნებს შადლუნის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებას, რომელშიაც ნათქვამია: „მე მივეცი ნეკრასოვს დავალება წყლით ამოევსო მაღარო". რემოსაგან მიღებულ 1,000 მანეთიდან შადლუნმა 600 მან. მისცა ნეკრასოვს, 400 მან. კი თვითონ დაიტოვა.

1922 წ. შადლუნი ბახმუტში შეხვდა გორლეცკის, რომელსაც გაეგო, რომ შადლუნი შახტის რაიონში მიდიოდა, გადასცა მას ბერეზოვსკისათვის წერილი და 200 მან. ოქროთი. თვენახევრის შემდეგ გორლეცკიმ კიდევ გადასცა შადლუნს წერილი და ფული ბერეზოვსკისათვის.

კრილენკოს შეკითხვაზე—ხომ არ ყოფილა ლაპარაკი ბერეზოვსკისთან შადლუნისაგან ფულის მიღების შესაძლებლობის შესახებ,—შადლუნი უარყოფით პასუხს იძლევა.

შადლუნთან დასაპირისპირებლად სასამართლომ გამოიწვია ბერეზოვსკი, რომელიც არ უარყოფს, რომ შადლუნისაგან მიიღო ფული, მაგრამ ამბობს, რომ ეს ფული მან ოქროთი კი არ მიიღო, არამედ ქაღალდის ნიშნებით. ბერეზოვსკი ამბობს, რომ წერილის შინაარსი შადლუნმა იცოდა, ამასთანავე ბერეზოვსკი იმასაც ამბობს, რომ მას წერილის გადაცემამდე ჰქონდა შადლუნთან ლაპარაკი ძველი მეპატრონეების შესახებ.

სასამართლომ გამოუძახა გორლეცკის, რომელიც უარყოფს ფულის გადაცემას შადლუნისათვის ბერეზოვსკისათვის. ამხ. კრილენკოს შეკითხვაზე, თუ რატომ უარყოფდა შადლუნი წინასწარი გამოძიების დროს ფულის გადაცემის ფაქტს, და შემდეგ კი ერთბაშად გამოტყდა, შადლუნი უპასუხებს:

„მე მაშინებდა ღირსეული სასჯელიო".

— რატომ „ღირსეული სასჯელი" ეკითხება ამხ. კრილენკო, თუ კი თქვენ თავს უდანაშაულოთ სთვლით?

— შემდეგში მე გავიგე, თუ რა ფულს ვაძლევდი მას, უპასუხებს შადლუნი.

„სამი უცნობი"

მოსკოვი, 18 ივნისი. თავის ჩვენებაში **შადლუნიც** ისე, როგორც **ბუდნი**, იხსენიებს „სამ უცნობს" რომელთა საშუალებით მას კავშირი ჰქონდა რემოსთან, ესენი არიან **მროზი, რუჟიცკი** და **ბიხოვსკი**, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბიხოვსკი სუშჩევსკიმაც მოიხსენია თავის ჩვენებაში. ეს ის ინჟინერია, რომლის საშუალებითაც დამნაშავეებს კავშირი ჰქონდათ გაქცეულ დვორჟანჩიკთან.

რემოს პირველი წერილი შადლუნმა მიიღო 1922 წ. მროზისგან. წერილი მას გადასცა რუჟიცკიმ. წერილში იყო 1.000 მანეთი ოქროთი. წერილში რემო მოითხოვდა ცნობებს გოლუბოვკის და ბერესტოვკის მაღაროების შესახებ. შადლუნმა დასწერა მოთხოვნილი ცნობები და გადასცა მროზს.

1923 წ. რემოს წერილი მას უკვე ბიხოვსკიმ გადასცა. ამ წერილში რემო ისევ თხოულობს შეტყობინებას მისთვის, თუ რომელი მაღაროები მუშაობდნენ ბერესტოვკაში, გოლუბოვკაში და გორლოვკაში. შადლუნმა ამ წერილზედაც გასცა პასუხი.

„მეოთხე უცნობი"

შემდეგ შადლუნის ჩვენებაში მოხსენიებულია „მეოთხე უცნობი" ვინმე **ლენარი**. ეს გვარი შადლუნმა დაასახელა წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებაში, ვითომ მასთან მივიდა ეს ლენარი-ფრანგი, რომელიც მაღაროებში მსახურობდა რევოლუციამდე. ლენარმა თითქოს გადასცა შადლუნს რემოსაგან გამოგზავნილი წერილი. ეს იყო 1924 წელში. ეხლა შადლუნი სხვანაირ ჩვენებას იძლევა: „ლენარი არ ყოფილა, მე ის გამოვიგონე, წერილი მატოვმა გადმომცა, მაგრამ არ მინდოდა მისი გვარის დასახელებაო".

სასამართლომ გამოიძახა მატოვი, რომელიც ამბობს, რომ არავითარ ლენარს არ ვიცნობ და არავითარი წერილი შადლუნისათვის არ გადამიციაო.

შემდეგ შადლუნი აღიარებს, რომ რემოსაგან მიიღო ხუთი წერილი. აქედან რამდენიმე წერილი მას გადასცა სუშჩევსკიმ, ხოლო დანარჩენი ბუდნიმ იმავე სუშჩევსკის საშუალებით.

1925 წ. შადლუნი კაბინეტში მიიწვიეს „სასაუბროდ". შეიკრიბნენ ბახტიაროვი, ბრატანოვსკი, ბოიარშინოვი, მეშკოვი, ველიკოვსკი და დეტერი.

მატოვი ამბობდა, რომ არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ ბევრ ინჟინრებს კავშირი აქვთ გაქცეულ ყოფილ მეპატრონეებთანო, ამიტომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, რომ თვითეული ცალკ-ცალკე არ გზავნიდეს ცნობებს. მატოვი სთხოვდა ინჟინრებს, რომ ყველა ის ცნობები, რომლებიც ესაჭიროება ყრილობათა ბიუროს, გაეგზავნათ მისთვის, და ის კი დანიშნულებისამებრ გადააგზავნიდა მათ. მატოვმა დასძინა, რომ გასამრჯელოს ამისათვის „ინდივიდუალურად" მოგვცემენო. კერძოდ შადლუნს უნდა მიეღო თვიურად 200 მანეთი.

შემდეგ შადლუნი აჩვენებს, რომ მატოვის საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ გამართა თათბირი. მატოვი ამბობდა, რომ ჩამოვიტანე მთელი რიგი დირექტივები ზოგიერთი მაღაროების მოწყობილობის გამოცვლის შესახებო.

საერთოდ შადლუნი დამნაშავედ სცნობს თავს არა მარტო იმაში, რომ მიწერ-მოწერა ჰქონდა რემოსთან, არამედ აგრეთვე იმაშიაც, რომ საზღვარგარეთ გადაგზავნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცნობები ქვანახშირის ამოღებისა და მაღაროების მდგომარეობის შესახებ.

ინჟინერ რუჟეცკის დაკითხვა

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებული ინჟინერი რუჟეცკი, რომელიც მუშაობდა „დონუგოლის" მაღაროებში. 1924 წ. რუჟეცკიმ მიიღო წერილი დვორჟანჩიკისაგან მატოვის ხელით. წერილში დვორჟანჩიკი იძლეოდა დირექტივას „რაც შეიძლება კარგად აწარმოეთ მუშაობა მაღაროებში, რათა მოაახლოვოთ მათი კონცესიით გაცემის აუცილებლობაო". დვორჟანჩიკი სწერდა, რომ საჭიროა ქვანახშირის ამოღების შემცირება, თვითღირებულების აწევა და მოწყობილობის გადიდებაო. შემდეგ დვორჟანჩიკის წერილებს რუჟეცკი ღებულობდა ოდროვის, სუშჩევსკის და ბუდნის ხელით. რუჟეცკი აღიარებს, რომ სამჯერ გადაუგზავნა დვორჟანჩიკს უკანასკნელისათვის საინტერესო ცნობები.

ინჟინერ ფაიერმანის დაკითხვა

შემდეგი ბრალდებულია ინჟინერი ფაიერმანი, რომელიც მუშაობდა „დონუგოლში" ახალმშენებათა სამართველოს უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე. ბრალდებული განაგებდა ახალ სამუშაოებს სოროკინის და დოლჟანსკის მაღაროებში. ფაიერმანი საბოტაჟს ეწეოდა სამსახურში, რის გამოც დოლჟანსკის მაღარო, რომ გაჩერებული იყო და იქ მკვდარი კაპიტალის სახით დაბანდებული იყო დაახლოებით 250,000 მანეთი, ის აგრეთვე არასწორად აწარმოებდა მუშაობას სკალინსკის და სოროკინის მაღაროებში, რის გამოც ზარალი შეადგენს 2—3 მილიონ მანეთს. ბრალდებული სცდილობს დაამტკიცოს, რომ არ აწარმოებდა დამაზიანებელ მუშაობას.

მაგრამ ამ ჩვენებას არღვევს მატოვი, რომელიც ამბობს, რომ მას ფაიერმანთან ლაპარაკი ჰქონდა ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ამას გარდა მატოვი აცხადებს—დარწმუნებული ვიყავი, რომ ფაიერმანი ახალ მშენებლობის სამმართველოს ინჟინრის თანამდებობაზე ხელს არ შეუშლიდა დამაზიანებელი მუშაობის წარმოებასო.

ინჟ. ვლადიმირსკის დაკითხვა

შემდეგი ბრალდებულია ვლადიმირსკი—რუტჩენკოვის მაღაროების სამმართველოს მთავარი ინჟინერი. ვლადიმირსკი უარჰყოფს, რომ დამაზიანებელ მუშაობას აწარმოებდა, მით უმეტეს უარჰყოფს დამაზიანებელთა ორგანიზაციაში მონაწილეობას. ის ამბობს, რომ არავითარი ბრალი არ მიუძღვის რუტჩენკოვის მაღაროების სამმართველოს მაღაროებს, კერძოდ დიდ მაღარო № 17-ის და მაღარო № 29-ის, დამუშავების შეფერხებაში.

დვორჟანჩიკთან—აცხადებს ბრალდებული ვლადიმირსკი—ურთიერთობა არ მქონია. ამ ფაქტის დასამტკიცებლად, რომ ვლადიმირსკიმ მიიღო წერილი დვორჟანჩიკისაგან, სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებული **ბუდნი**, რომელმაც წინასწარი გამოძიების დროს აჩვენა, რომ ასეთი წერილი მან გადასცა ვლადიმირსკის. ბუდნი ამბობს, რომ მან გადასცა წერილი ვლადიმირსკის, მაგრამ უკანასკნელს წერილი მასთან არ გაუხსნია, და ამიტომ მას არ შეუძლია დანამდვილებით სთქვას, რომ წერილი დვორჟანჩიკისაგან იყო. ბრალდებული ბრატანოვსკი აჩვენებს, რომ მან იცის, რომ ვლადიმირსკიმ მიიღო ფული ორგანიზაციისაგან, ვინაიდან ვლადიმირსკის გვარი იყო იმ პირთა სიაში, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ ფული; ეს სია ჰქონდა ბრატანოვსკის. ამას გარდა ბრატანოვსკის ვლადიმირსკი ორგანიზაციის წევრად მიაჩნია იმის გამო, რომ რუტჩენკოვის მაღარო № 17-ის პროექტი შეფერხებულ იქნა ბრალდებულ ვლადიმირსკის მონაწილეობით.

ამით მთავრდება დილის სხდომა.

16 ივნისის საღამოს სხდომა

ინჟ. პოტიომკინის დაკითხვა

მოსკოვი, 18 ივნისი. 16 ივნისის საღამოს სხდომაზე დაკითხულ იქნა ინჟინერი პოტიომკინი, რომელიც ქვანახშირის მრეწველობაში მუშაობდა 1916 წლიდან. 1924 წელში პოტიომკინი გადაიყვანეს ხარკოვში. ამ პერიოდში პოტიომკინი მონაწილეობას იღებდა დამაზიანებელთა მუშაობაში, მაგრამ პოტიომკინი არ სცნობს თავს დამნაშავედ და აცხადებს, რომ ბრალი მიუძღვის მხოლოდ უყურადღებობასა და შეცდომებში, რომელსაც შედეგად მოჰყვა მთელი რიგი უბედური შემთხვევები. მაგრამ ბრალდებულის დაკითხვა არკვევს მთელ რიგ უფრო გარკვეულ და ბრალდებისათვის მნიშვნელოვან ფაქტებს.

დიდი შენიშვნებით ბოლოს და ბოლოს ბრალდებული აღიარებს თავის მონაწილეობას დამაზიანებელთა მუშაობაში.

—ამბობს—ჩემი მთავარი დანაშაული ის არის, რომ ვიცოდი, რომ მზადდებოდა მთელი რიგი საზიანო აქტები, მაგრამ ხელი არ შემიშლია მათი განხორციელებისათვის, მაგალითად ხელი არ შემიშლია მაღაროს წყლით ამოვსებისათვის.

— ყოველ შემთხვევაში—აღნიშნავს ამხ. **კრილენკო**.—ჩვენ შეგვიძლია დამტკიცებულად ჩავთვალოთ, რომ 1921 წელში, თეთრების წასვლის წინ თქვენ მიიღეთ დირექტივა მაღაროს „დაცვის" შესახებ, შემდეგ კი 1921 წლიდან 1924 წლამდე შეგნებულად იღებდით მონაწილეობას ბოიარშინოვის ჯგუფში და ხელს უწყობდით იმ გარკვეულ საზიანო მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა ეს ჯგუფი. ამ მუშაობაში თქვენ ნაწილობრივ ხელს არ უშლიდით, ხოლო ნაწილობრივ მონაწილეობას იღებდით მასში.

პოტიომკინი ყოველივე ამას ადასტურებს.

ინჟ. შტელბრინგის დაკითხვა

სასამართლო გადადის ბრალდებულ ინჟინერ შტელბრინგის დაკითხვაზე. შტელბრინგი არაფერში არ სცნობს თავს დამნაშავედ.

შტელბრინგის სიტყვებით, ის მატოვს შეხვდა 1923 წლის აგვისტოში. შეხვედრის დროს მატოვმა გამოსთქვა აზრი, რომ მაღაროები წესიერად უნდა იქნეს დაცული იმ შემთხვევისათვის, როდესაც ყოფილი მეპატრონეები დაბრუნდებიანო.

ამხ. კრილენკო ეკითხება ბრალდებულს—ხომ არ მიუცია მატოვს შტელბრინგისათვის პირდაპირი წინადადება საზიანო მუშაობაში მონაწილეობის შესახებ. შტელბრინგი ამაზე უარყოფით პასუხს იძლევა.

მატოვის დაკითხვით ირკვევა, რომ მან ბრალდებული შტელბრინგი სუშჩევსკისა და ბახტიაროვთან ერთად ჩასწერა იმ ჯგუფში, რომელიც შეადგენდა ორგანიზაციის ძირითად ბირთვს. თავის საუბარს შტელბრინგთან მატოვი ხსნის, როგორც ყოველ შემთხვევაში იმის ცდას, რომ ჩაება შტელბრინგი დამაზიანებელთა ორგანიზაციაში, ხოლო შტელბრინგს მატოვის ამ ცდისათვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ამით მთავრდება საღამოს სხდომა. (ადს).

საზიანო მუშაობის შედეგების ლიკვიდაცია დონბასში

ხარკოვი, 18 ივნისი. უკრაინის მემაღაროეთა კავშირის საწარმოო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ იქნა ქვა-ნახშირის მრეწველობის საჭირბოროტო საკითხების განსახილველად, დონბასის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ლომოვმა გააკეთა მოხსენება მუშაობის მდგომარეობის შესახებ დონბასის ქვანახშირის მრეწველობაში. მომხსენებელმა სხვათა შორის სთქვა:

„შახტის საქმე ჩვენთვის კარგი გაკვეთილია, რომელიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყოველთვის, რათა მომავალში თავიდან ავიშოროთ საზიანო მუშაობა და აგრეთვე უნებლიე შეცდომები. როგორც ვიცით, მავნებლებმა დონბასის ახალი მშენებლობის დროს მთელი თავისი ყურადღება მიაქციეს ახალი მაღაროების გათხრას. ამიტომ ჩვენ ეხლა ვაწარმოებთ ახალი მაღაროების ყველა იმ პროექტების გადასინჯვას, რომლებიც წინედ იყო დამტკიცებული. შემდეგ ეს პროექტები გატარდება მუშათა მასების კრიტიკის ქარცეცხლში, ვინაიდან მხოლოდ ამით შეიძლება იქნას თავიდან აცილებული შეცდომები. მეორეს მხრით, შახტის პროცესის ცნობების მიხედვით ჩვენ შევუდექით ყველა იმ მაღაროების გამოკვლევას, რომლებშიაც წყალი შეუშვეს ზიანის მიყენების მიზნით".

დასასრულ, ამხ. ლომოვმა მოუწოდა მუშებს დაეხმარონ ტრესტს, რათა რაც შეიძლება სასწრაფოდ მოხდეს საზიანო მუშაობის შედეგების ლიკვიდაცია დონბასში (ადს).

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმის რეზოლიუციები

პარტიის ზრდის შესახებ

მოისმინა რა ამხ. სვანიძის მოხსენება ორგანიზაციის ზრდისა და შემადგენლობის მოწესრიგების შესახებ, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი იწონებს ცეკას პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას ა.-წ. 23 თებერვლის თარიღით და აღნიშნავს, რომ პარტკომები და უჯრედები ჯერ კიდევ საკმაო მუშაობას არ აწარმოებენ ორგანიზაციის შემადგენლობის მოსაწესრიგებლად არსებული პარტიული დირექტივების საფუძველზე.

1. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს წარმოების მუშათა მნიშვნელოვანი კადრები, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქვედა საფეხურის პროფკავშირთა, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობაში, უჯრედებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს სისტემატიური მუშაობის გაშლა მუშების ჩასაბმელად პარტიაში აღნიშნული რეზერვებიდან. მუშების რიცხვის ზრდა პარტიაში მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სოციალური ჯგუფების ზრდის ტემპს (1925 წ. 1 აგვისტოდან 1928 წლის 1 იანვრამდე მუშების რიცხვის ზრდა შეადგენს 43,2 პროც., გლეხების 100,9 პროც., მოსამსახურეთა—45,6 პროც.), რაიც შედეგია იმისა, რომ სუსტად სწარმოებს მასიური მუშაობა და პარტკომები, განსაკუთრებით უჯრედები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ პარტიაში მუშათა მიღების საკითხს.

იღებს რა მხედველობაში პარტიის მე-13 ყრილობის დირექტივას იმის შესახებ, რომ „მუშები აქტიურად მივიზიდოთ პარტიაში და უნდა შევეცადოთ მუშების საუკეთესო ნაწილის ჩაბმას პარტიის რიგებში", პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს უზრუნველჰყონ თავის მუშაობაში სისტემატიურ ღონისძიებათა ჩატარება მუშების აქტიურად ჩაბმისათვის.

2. იღებს რა მხედველობაში საკავშირო კომპარტიის მე-13 ყრილობის ძირითად დირექტივას იმის შესახებ, რომ უახლოესი წლის განმავლობაში პარტიის შემადგენლობაში ნახევარზე მეტი უნდა იყოს დაზგის მუშები", პლენუმი საჭიროდ სცნობს საქართველოს პარტორგანიზაციების წინაშე დაისვას დაზგის მუშების შემადგენლობის გადიდების ამოცანა, რათა ეს შემადგენლობა საქართველოს კომპარტიაში ორი წლის განმავლობაში შეადგენდეს არა ნაკლებ 42 პროცენტისა.

3. სცნობს რა, რომ წარმოების მუშა-ქალნი შედარებით არასაკმაოდ არიან ჩაბმული პარტიაში (თბილისის თამბაქოს და კოლოფების ფაბრიკებში პარტიაში ირიცხება მუშა-ქალთა მთელი რაოდენობის 16,9 პროცენტი, და მუშათა მთელი რიცხვის 39,3 პროცენტი), პლენუმი წინადადებას იძლევა გაძლიერებულ იქნას მუშაობა მუშა-ქალთა ჩასაბმელად პარტიაში და სათანადო სიმაღლეზე იქნას დაყენებული მასიური მუშაობა მათ შორის.

4. პლენუმი აღნიშნავს, რომ წარსულში ადგილებზე არასავსებით სწორად იყო გატარებული მე-14 პარტკონფერენციის დირექტივები სოფლის პარტორგანიზაციების შევსებისა და განახლების შესახებ, რის გამოც პარტიის შემადგენლობა ერთგვარად გაიზარდა გლეხების ხარჯზე, ამასთანავე პარტიაში შევიდა მოსამსახურეთა ერთი ნაწილი გლეხობის სახით; პლენუმი ამის გამო წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს სისტემატიურად შეამოწმონ სოფლის უჯრედები, მათ მიერ იმ ძირითადი ღონისძიებების ჩატარების საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ კაპიტალისტურ ელემენტების დაძლევის საქმეს და კლასიური ხაზის გარკვეულობას ყველა ორგანიზაციების მუშაობაში, იმ მიზნით, რომ პარტია გაწმენდილ იქნას მისთვის უცხო და გახრწნილი ელემენტებისაგან. სოფლის პარტორგანიზაციების უახლოეს ამოცანას წარმოადგენს მუშაობა პარტიის გლეხური ნაწილის და განსაკუთრებით 1925—26 წელში მიღებულთა იდეურ პოლიტიკური დონის ასაწევად. პარტიის შემდგომი ზრდა ორი წლის განმავლობაში უნდა ხდებოდეს უმთავრესად ღარიბ გლეხობის, მოჯამაგირეთა და სასოფლო-სამეურნეო მუშათა ხარჯზე. პლენუმი აუცილებლად სთვლის მოჯამაგირეთა შემადგენლობის გადიდებას საქართველოს კომპარტიაში (ბ) 3 პროცენტამდე.

5. მოსამსახურეთა მნიშვნელოვანი პროცენტი საქართველოს კომპარტიის (ბ) შემადგენლობაში გვიჩვენებს, რომ სუსტად იყო ცხოვრებაში გატარებული მე-13 ყრილობის სათანადო დირექტივა; ამიტომ პლენუმი წინადადებას იძლევა მომავალში ორგანიზაციებმა სასწორით იხელმძღვანელონ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებით 1927 წლის 13 ოქტომბრის თარიღით, იმ დადგენილებით, რომელიც წინადადებას იძლევა „მტკიცედ იქნას გატარებული მე-13 ყრილობის მიერ დაწესებული შეზღუდვა მოსამსახურეთა მიღებისათვის და ყოველი ახალი წევრის მიღებამდე შემოწმებულ იქნას მისი საზოგადოებრივი მუშაობა მუშებს შორის, მომზადებულობა და უნარი იმისა, თუ როგორი არსებითი დახმარება შეუძლია მას გაუწიოს პარტიას და პროლეტარულ დიქტატურას.

სანამ მოსამსახურე კანდიდატად ან წევრად იქნება მიღებული პარტიაში, პარტკომები ვალდებული არიან პირადად გაეცნონ მას, და დაჰკითხონ აგრეთვე ის პირები, რომლებიც იძლევიან თავის რეკომენდაციას".

პლენუმი სცნობს, რომ ძირითად რეზერვს მოსამსახურეთა მიღების დროს წარმოადგენს საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომკავშირი, ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაუშვებელია მე-13 ყრილობის პირობების შემსუბუქება კომკავშირელ მოსამსახურეთა პარტიაში მიღების დროს. პარტორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ უმაღლეს სასწავლებლების, ტეხნიკურ და სპეციალურ ფაკულტეტების მოსწავლეთა (ინჟინერების და აგრონომების) რევოლიუციონურად—მტკიცე ელემენტების ჩაბმას პარტიაში, უმთავრესად საქართველოს ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირიდან.

6. ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ორგანიზაციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში არის მუშაობა კანდიდატებს შორის და კერძოდ კანდიდატთა შემადგენლობის შემოწმება და შესწავლა. პლენუმი აღნიშნავს, რომ საკანდიდატო სტაჟი დღემდე თითქმის არ წარმოადგენდა დამატებით შემოწმებას მოსამსახურეთა მიმართ; ამიტომ პლენუმი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს მიაღწიონ იმას, რომ საკანდიდატო სტაჟი გადაიქცეს ნამდვილ დამატებით შემოწმებად ახალ მიღებულთათვის. პარტორგანიზაციების უახლოეს ამოცანას წარმოადგენს უჯრედების აქტიური მონაწილეობის მიღება უმაღლეს სასწავლებლების და საბჭოთა უჯრედების საკანდიდატო შემადგენლობის შემოწმებაში იმ მიზნით, რომ პარტია განიწმინდოს ისეთ მოსამსახურეთაგან, რომელთაც არ გამოიჩინეს უნარი „გაეწიათ პარტიისა და პროლეტარულ დიქტატურისათვის ნამდვილი და არსებითი დახმარება".

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას პლენუმი გამოდის რა იქედან, რომ პარტიის ზრდა უნდა იწვევდეს კომუნისტური ავანგარდის ხელმძღვანელობითი როლის გაძლიერებას, აუცილებლად სცნობს მუშების სისტემატიურად ჩაბმას პარტიაში იმ აქტივიდან, რომელიც იზრდება საბჭოთა, პროფკავშირთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. პარტიამ უნდა მიაღწიოს მასიური მუშაობის ისეთ გაძლიერებას წარმოებებში, მოჯამაგირეთა შორის და საბჭოებში, რომელიც უზრუნველყოფს ორგანიზაციის ჯანსაღ და სწრაფ ზრდას წარმოების აქტიურ მუშათა ხარჯზე.

„იტალია"-ს დასახმარებლად

მფრინავი ბაბუშკინი

მოსკოვი, 18 ივნისი. 16 ივნისს მურმანსკში ჩავიდა მფრინავი ბაბუშკინი, რომელიც გაფრინდა ალექსანდროვსკში, სადაც სდგას „მალიგინი". „მალიგინის" ამოცანას შეადგენს დაამყაროს რადიო-კავშირი ნობილესთან, შემდეგ კი რაც შეიძლება ახლოს მივიდეს ნობილეს ბანაკთან. როდესაც ყინულები გემს აღარ მისცემს წინსვლის საშუალებას, ყინულზე გადაიტანენ აეროპლანს და ბაბუშკინი გაფრინდება ნობილეს საძებნელად. უკიდურეს შემთხვევაში „მალიგინი" მიუახლოვდება ნობილეს 400 კილომეტრით, ამიტომ იუკერს მოუხდება დაუშვებლად ფრენა 7-8 საათი. (ადს).

ყინულისმჭრელი „მალიგინი"

მოსკოვი, 18 ივნისი. ყინულის მჭრელმა „მალიგინმა" დასტოვა ალექსანდროვსკი და გაცურდა იმედის კუნძულისაკენ, სადაც მივა 18 ივნისს.

საფრანგეთის ექსპედიცია

ოსლო, 17 ივნისი. საფრანგეთის მთავრობის მიერ ნობილეს დასახმარებლად გაგზავნილი აეროპლანი 17 ივნისს ბერგენიდან გაფრინდა ტრომსეში. აეროპლანს მართავს ფრანგი მფრინავი გილბო. თვითმფრინავზე იმყოფება ამუნდსენი და ლეიტენანტი დიტრიხსენი. 18 ივნისს აეროპლანი მიფრინდა ტრომსეში (ადს).

ფინეთის ექსპედიცია

ოსლო, 17 ივნისი. ფინეთის მთავრობის მიერ ნობილეს დასახმარებლად გაგზავნილი აეროპლანი, რომელსაც მართავს ტურკა, მიფრინდა ტრომსეში. აეროპლანი გაფრინდება შპიცბერგენზე, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდება მეტეოროლოგიურ პირობების მიხედვით. (ადს).

„ხობბი"

ოსლო, 17 ივნისი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ხვალ კინგსბეიში ბრუნდება „ხობბი", რომელიც შემდეგ ნორვეგიაში დაბრუნდება.

მომავალში ნობილეს ძებნას აწარმოებს გემი „ბრაგანცა" და ნორვეგიის ორი აეროპლანი.

უცხოეთის პრესის ცნობა, თითქოს „ხობბი"-მ გადაარჩინა ნობილეს ექსპედიციის სამი მონაწილე, სიმართლეს არ შეეფერება. (ადს).

სანსონეტის განცხადება

რომი, 17 ივნისი. იტალიის საზღვაო სამინისტროს მეშვეობით სიტყვის გამგე სანსონეტიმ მიიწვია უცხოელი ჟურნალისტები და გადასცა მათ ცნობა „იტალია"-ს კატასტროფის და მის დასახმარებლად მიღებული ზომების შესახებ. სანსონეტი ამტკიცებდა, რომ იტალიის სამინისტროს არაფერი არ დაუმალავს ექსპედიციის ბედის შესახებ. მან მხოლოდ ერთი დღით შეაჩერა დირიჟაბლის ავარიის დროს დაჭრილთა გვარების გამოქვეყნება და არ გადასცა პრესას „ჩიტა დი მილანო"-ს მიერ ნობილესგან მიღებული ცნობა, რომ ექსპედიციის სადგომთან გამოჩნდნენ თეთრი დათვები. სამინისტრომ აგრეთვე არ გადასცა პრესას ცნობა, თითქოს „ხობბი"-მ გადაარჩინა ექსპედიციის სამი მონაწილე, რომლებიც წავიდნენ შპიცბერგენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრისაკენ.

შემდეგ სანსონეტიმ აღნიშნა, რომ ნობილეს დახმარების აღმოსაჩენად გაფრენილი ორი მფრინავი — მადეო და ფინელი — ნისლმა შეაჩერა ნორვეგიის ჩრდილოეთ ნაპირზე. იტალიელი მფრინავი მადალენა ორჯერ შეეცადა გაფრენილიყო ვადსედან კინგსბეიში, მაგრამ ორჯერვე იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვა სანსონეტს: „რა დახმარების აღმოჩენა შეუძლიათ ნობილეს ექსპედიციისათვის საბჭოთა ყინულისმჭრელ გემებს?"

სანსონეტიმ უპასუხა, რომ ყინულის მჭრელი გემები ნელა მიდიან. „კრასინ"-ი ჯერ-ჯერობით ბალტის ზღვაშია და, სანამ კინგსბეიკენ გავა, ნორვეგიის ნავთსადგურში უნდა შეივსოს ქვანახშირის მარაგი.

მეორე ჟურნალისტის შეკითხვაზე „მალიგინ"-ის შესახებ, სანსონეტიმ უპასუხა, რომ „მალიგინ"-მაც კინგსბეიში უნდა შეიაროს ქვანახშირისთვის.

მაშინ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა განაცხადა, რომ „მალიგინ"-ს აქვს 20 დღის საკმარისი ქვანახშირის მარაგი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტმა აღნიშნა, რომ „მუდმივი ყინულების კიდესთან მისვლის შემდეგ „მალიგინ"-ს ექნება 18 დღის საკმაო ქვანახშირი. „მალიგინ"-ი შევა ყინულებში, რამდენადაც ამის საშუალებას მისცემს ყინულის სისქე, შემდეგ კი გაჩერდება და იქნება სპეციალური საჰაერო ბაზად (ადს).

ფინეთის ექსპედიცია

ჰელსინგფორსი, 17 ივნისი. ფინეთის მთავრობის მიერ ნობილეს დასახმარებლად გაგზავნილი აეროპლანი, რომელსაც მართავს ტურკა, გაფრინდა ჰელსინგფორსიდან ვაზაში, საიდანაც მიემართება შპიცბერგენისაკენ. (ადს)

ნობილემ დაინახა აეროპლანი

რომი, 17 ივნისი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „ნორვეგიის მფრინავებმა რიისერ-ლარსენმა და ლუტცოვ-ხოლმა მოახდინეს დაზვერვა აეროპლანებით, მაგრამ ვერ დაინახეს ნობილე.

ნობილემ კი აცნობა რადიოთი "ჩიტა დი მილანოს", რომ დაინახა აეროპლანი. შემდეგ ნობილე ცნობაში ზედმიწევნით აღნიშნავს იმ ადგილს, სადაც ის იმყოფება (ადს).

ყინულის მჭრელი „მალიგინ"

მოსკოვი, 18 ივნისი. 17 ივნისს, შუადღისას ყინულის მჭრელმა გემმა „მალიგინმა", რომელსაც იმედის კუნძულისაკენ აქვს აღებული გზა, გაიარა ჩრდილოეთ განედის მე-74 გრადუსი. დაიწყო მკაცრი სიცივე. ღამით „მალიგინმა" წინ გაუსწრო „პერსეის", რომელიც მე-30 მერიდიანზე იმყოფება (ადს).

ყინულის მჭრელი გემი „კრასინისათვის"

მოსკოვი, 18 ივნისი. იტალიის მთავრობამ აცნობა ნობილეს დამხმარე კომიტეტს, რომ კინგსბეის რაიონში ნახშირი არ არის და სთხოვს ნახშირი სთხოვს აცნობოს მას, არის თუ არა საჭირო გემ „კრასინისათვის" ნახშირის სპეციალურად გაგზავნა.

ამავე დროს იტალიის მთავრობა იუწყება, რომ ბერგენში „კრასინისათვის" მომზადებულია 2.000 ტონა კარდიფის ნახშირი (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. ციურუპას სახელობის სტიპენდიები

მოსკოვი, 18 ივნისი. ამხ. ციურუპას ხსოვნის უკვდავსაყოფად „სელმაშკონსენცის" რწმუნებულთა კრებამ დაადგინა გადადოს 7.000 მან. განსვენებულ ციურუპას სახელობის ორი სტიპენდიის დასაარსებლად ტიმირიაზევის აკადემიაში და ბერლინის პოლიტეხნიკუმში, სადაც ამხ. ციურუპა სწავლობდა. (ადს).

კატასტროფა მეტალურგიულ ქარხანაში

დნეპროპეტროვსკი, 18 ივნისი. 14 ივნისს ამხ. ძერჟინსკის სახელობის დნეპროპეტროვსკის მეტალურგიულ ქარხანაში მოხდა დიდი კატასტროფა, რომელსაც გამოიწვია ქარხნის შეჩერება. გამოურკვეველი მიზეზების გამო, ქარხნის წყლის საქაჩის სამანქანო განყოფილებაში წყალმა დაფარა მოტორები.

დღითი შესაძლებელი გახდა ორი დომენის ღუმელის ამუშავება.

კატასტროფის მიზეზები ჯერჯერობით არ არის გამორკვეული (ადს).

გემო-კვების მუშათა ყრილობა

მოსკოვი, 18 ივნისი. 17 ივნისს დაიხურა გემო-კვების მუშათა ყრილობა.

უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუციები ყველა მოხსენებათა გამო, რის შემდეგაც აირჩიეს კავშირის ცენტრ. გამგეობა. არჩეულია 49 წევრი და 19 კანდიდატი.

გემო-კვების მუშათა კავშირის ცენტრ. გამგეობის პირველმა პლენუმმა, რომელიც 18 ივნისს შესდგა, ცენტრ. გამგეობის მდივნად აირჩია ამხ. ვეისბერგი. (ადს).

ავღანისტანის აეროპლანები

მოსკოვი, 18 ივნისი. ბერლინიდან მოფრინდა ავღანისტანის იუნკერსის სისტემის სამი სამგზავრო აეროპლანი და დაიშვა ფრუნზეს სახელობის ცენტრალურ აეროდრომზე.

აეროპლანები მოსკოვიდან გაფრინდებიან ხარკოვში, აქედან—ბაქოში და თეირანში და შემდეგ ქაბულში (ადს).

ბოროტმოქმედება კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის ოდესის განყოფილებაში

ოდესა, 16 ივნისი. შესდგა საოლქო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირში აღმოჩენილ ბოროტმოქმედების გამო. საოლქო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ გაზეთებში მოთავსებული ყველა ცნობები ბოროტმოქმედებათა შესახებ დადასტურდა. გადაწყდა კავშირის გამგეობის დაშლა. არა უგვიანეს 1 აგვისტოსი უნდა მოწვეულ იქნას სასწრაფო ყრილობა ახალი გამგეობის ასარჩევად. (ადს).



ორჩერვონციანი საბანკო ბილეთი
რომლის გამოშვება დაიწყო სახელმწიფო ბანკმა 15 ივნისიდან

სასოფლო მეურნეობის ტრაქტორიზაცია

მოსკოვი, 18 ივნისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღების მიწოდების მომწესრიგებელ კომიტეტის მოხსენება ტრაქტორების გამოყენებისა და ტეხნიკური დახმარების მდგომარეობის შესახებ საბჭოთა კავშირში. შრომისა და თავდაცვის საბჭოს წევრები და უწყებათა წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდნენ სოფლო-მეურნეობის ტრაქტორიზაციის არასაკმაო ტემპს და მის შესუსტებას ამ უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში. სასოფლო მეურნეობის მექანიზაციის ტემპის მაქსიმალური გაძლიერების მიზნით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ სასოფლო-მეურნეობის მანქანებით მომარაგების მომწესრიგებელ კომიტეტს წინადადება მისცა ტრაქტორების მიწოდების გეგმაში 1928—29 წლისათვის გათვალისწინოს სასოფ.-სამეურნეო მომარაგება არა ნაკლებ 15.000 ახალი ტრაქტორით სათადარიგო ნაწილებისა და დამხმარე ინვენტარის შესაფერი რაოდენობით.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს წინადადება მისცა, რათა 1928—29 წელში გაზაფხულის კამპანიისათვის საჭირო ტრაქტორების შემოტანა განხორციელებულ იქნეს არა უგვიანეს მეორე კვარტალის შუა რიცხვებისა, ხოლო შემოდგომის კამპანიისათვის საჭირო ტრაქტორების შემოტანა—არა უგვიანეს მესამე კვარტალის შუა რიცხვებისა.

საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სატრაქტორო ამხანაგობებისა და ღარიბ გლეხების სხვა გაერთიანებათა ტრაქტორებით მომარაგების უზრუნველსაყოფად და ტრაქტორების უკეთ გამოყენების მიზნით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებს პირველ რიგში ტრაქტორები მიაწოდონ მსხვილ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს და გამქირავებელ პუნქტებს. სარემონტო სახელოსნოების ქსელის გაფართოების მიზნით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ აუცილებლად სცნო გრძელვადიანი კრედიტის მიცემა ტრაქტორების მიმწოდებელ ორგანიზაციებისათვის, ახალი სარემონტო სახელოსნოების მოწყობა და ძველების შევსება (ადს).

ჰაეროპლანების გადაფრენა

მოსკოვი, 18 ივნისი. 17 ივნისს მოსკოვში სხვადასხვა მხრიდან გადმოფრინდნენ ის აეროპლანები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1928 წ. გადაფრენაში.

19 აეროპლანიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის 9 პუნქტიდან გაფრინდნენ მოსკოვისაკენ, თავის დროზე მოფრინდა 16 აეროპლანი.

პირველად აეროდრომზე მოფრინდა აეროპლანი ტროიცკიდან, მეორედ—სმოლენსკიდან, მესამედ—ბობრუისკიდან.

აეროდრომზე გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. უნშლიხტი, ბარანოვი, ვარზარი და სხ. საპასუხო სიტყვა წარმოსთქვა გადაფრენის მონაწილემ მფრინავმა მაისელოვმა.

საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრმა, წითელ არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა უფროსმა, ამხ. ბარანოვმა, საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ გადაფრენამ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს 1927 და 28 წ. წ. გამოშვებულმა ახალგაზრდა მფრინავებმა, საუცხოოდ ჩაიარა.

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის და გაზეთებისაგან გადაფრენის მონაწილეთ დაურიგდებათ ჯილდოები (ადს).

მოტოციკლეტების გადარბენა მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი

მოსკოვი, 18 ივნისი. 10 ივლისს იწყება მოტოციკლეტების გადარბენა მარშრუტით—მოსკოვი—თბილისი—მოსკოვი. გადარბენა ერთ თვეს გაგრძელდება.

გადარბენის მიზანია მანქანების გამძლეობისა და ეკონომიურობის გამოცდა. გადარბენაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა ფირმების 20 მანქანა. (ადს).

„ავტოდორ"-ის ლატარია

მოსკოვი, 18 ივნისი. „ავტოდორ"-ი აწყობს ლატარიას. მთავარი მოგებაა მსუბუქი ავტომობილი იმ თანხის დამატებით, რომელიც საჭირო იქნება მანქანის შესანახად 3 წლის განმავლობაში. მთავარი მოგების ღირებულება განსაზღვრულია 10.000 მანეთით. (ადს).

პარტიული ცხოვრება

ქალთა განყოფილებების მუშაკთა ა.-კ. თათბირი

17 ივნისს დასრულდა ქალთა განყოფილებების მუშაკთა ამიერ-კავკასიის თათბირი, რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხები: ქალთა შემადგენლობის ზრდა პარტიაში, საბჭოების წევრ ქალების პრაქტიკული მუშაობა, სადელეგატო კრებების საქმიანობა, ძველ ყოფა-ცხოვრებასთან ბრძოლა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ვოსკანოვმა**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ქალთა ნაწილის ზრდა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციებში ვერ მიდის სათანადო ტემპით. ქალების რიცხვი აბსოლიუტურად იზრდება, მაგრამ მათი შედარებითი პროცენტი მაინც უცვლელი რჩება. (1926 წლის 1-ლ იანვრისათვის ამიერ-კავკ. ორგანიზაციებში ქალები შეადგენდენ 5,3 პროც., ეხლა შეადგენენ—5,9 პროც.).

ამხ. ვოსკანოვმა ხაზი გაუსვა პარტიაში მუშა და გლეხ ქალების უფრო ფართოდ ჩაბმის აუცილებლობას, რისთვისაც საჭიროა მასიური მუშაობის გაძლიერება ქალთა შორის.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. **მელნიკოვა**.

ხელისუფლების ორგანოებში—სთქვა მან, სოფლის საბჭოების ჩათვლით ჩვენ გვყავს 9861 ქალი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ბევრი მათგანი პასიურია და არ ღებულობს მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში. ამის მიზეზია ის, რომ ქალთა განყოფილებები და სხვა ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ საბჭოს წევრ ქალთა საქმიანობას. თათბირმა უნდა შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

„გასული წლის თათბირმა აღნიშნა, რომ სადელეგატო კრებებს ახასიათებს გადახრა „თეორეტიულ სწავლისაკენ",—ასე დაიწყო ამხ. **შავერდოვამ** თავისი მოხსენება სად. კრებების მუშაობის შესახებ.—მიმდინარე წელს ეს მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა, დელეგატ ქალთა შემადგენლობა უკანასკნელი გადარჩევის დროს განახლდა: საქართველოში—89 პროც., აზერბეიჯანში—71,2 პროც., სომხეთში—52 პროც.

აღსანიშნავია, რომ მუშა დელეგატ ქალთა რიცხვი გადიდდა მხოლოდ 0,1 პროცენტით, რაც არაა დამაკმაყოფილებელი.

მიუხედავად მრავალ დეფექტებისა, სადელეგატო კრებები ამ წელში უფრო დაუახლოვდენ ცხოვრებას, ზოგიერთი მათგანი უკვე ისახავს პრაქტიკულ ამოცანებს და ცდილობს მათ გადაწყვეტას.

საჭიროა ეს ამოცანები მკაფიოდ იქნეს განსაზღვრული. სადელეგატო კრებებმა მეტი მონაწილეობა უნდა მიიღონ ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისა და სოფლის კოლექტივიზაციის საქმეში.

მიმდინარე ზაფხულისათვის ჩვენ არ დავშალეთ სად. კრებები. ჩვენ ვფიქრობთ, ვინაიდან პროგრამა დასრულებულია, მათი მუშაობა მოვახმაროთ სას. მეურნეობის კოლექტივიზაციის საკითხებს, თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მუშაობას და წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას.

აუცილებლად უნდა შეიცვალოს დელეგატების გამოშვების ფორმა, გამოშვება არ უნდა ატარებდეს საზეიმო ხასიათს.

საჭიროა გაუმჯობესდეს პარტხელმძღვანელობა სადელეგატო კრებების მუშაობისადმი, დღემდე ამ საქმეში განსაკუთრებით სუსტია ქვედა საფეხურის პარტორგანიზაცია.

დასასრულ ამხ. შავერდოვა შეეხო დელეგატ ქალთა არჩევის საკითხებს. მოწვევის ვადა—სთქვა მან,—სჯობს დარჩეს ერთ-წლიანი, რადგან ორწლიანმა მოწვევამ ვერ მოგვცა კარგი შედეგი.

ყოფა-ცხოვრების ძველ ნაშთებთან ბრძოლის საკითხის განხილვა დაიწყო ამხ. შავერდოვას შესავალი სიტყვით. ორატორმა სთქვა, რომ თათბირის ამოცანაა გამოამჟღავნოს ყოფა-ცხოვრების მახინჯი მოვლენები და შეიმუშაოს მათთან ბრძოლის საშუალება. ყოფა-ცხოვრების შესასწავლად რესპუბლიკებში შექმნილია სპეციალური კომისიები, რომლებიც უკვე შეუდგენ მუშაობას. ჩვენ ვსთხოვეთ პარტიულ ორგანიზაციებს გამოეთქვათ თავისი აზრი ყოფა-ცხოვრების მახინჯ მოვლენებთან მებრძოლი საზოგადოების დაარსების შესახებ, ამჟამად მიღებულია ბევრი საინტერესო პასუხი.

ამხ. შავერდოვას სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს რესპუბლიკების წარმომადგენლებმა. ამხ. **იშკოვამ** (აზერბეიჯანი) აღნიშნა, რომ ძველ ყოფა-ცხოვრებას განსაკუთრებით მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული თურქულ სოფლებში. უკანასკნელ ხანებში ჩვენ გადავწყვიტეთ კანონმდებლობის წესით აგვეკრძალა ჩადრის ტარება. თვით ქალები ძალიან თანაუგრძნობენ ამ აზრს, მაგრამ რომ ეს ღონისძიება გატარდეს საჭიროა წინასწარი ეკონომიური პირობების შექმნა იმ ქალების უზრუნველსაყოფად, რომლებიც შეიძლება იძულებული გახდნენ დატოვონ ოჯახი.

ამხ. **ტრახჩიანი** (სომხეთი) წინააღმდეგია ძველ ყოფა-ცხოვრებასთან მებრძოლი საზოგადოების დაარსების, რადგან მისი აზრით ეს შეაფერხებს ნებაყოფლობით ორგანიზაციების მუშაობას ამ მიმართულებით.

ამხ. **ესაიანი** (საქართველო) აღნიშნავს, რომ ცეკას ქ. გან-ბასთან მოწვეულმა თათბირმა გამოჰყო კომისია, რომელმაც გამოიკვლია ყოფა-ცხოვრება ახალქალაქის, ბორჩალოს, სიღნაღის, თელავის მაზრებში, აფხაზეთში, აჭარისტანში, სვანეთში და ხევსურეთში.

გამოკვლევის შედეგები მოწმობენ, რომ ძველი ყოფა-ცხოვრება კიდევ ძლიერია. ჩვენ უახლოეს ამოცანად დავისახეთ გავაძლიეროთ ანტირელიგიური პროპაგანდა, რადგან ძველი ჩვეულებების მთავარი საფუძველი არის რელიგია. ამასთანავე საჭიროა ექიმბაშობასთან ბრძოლის გაძლიერება.

თათბირმა ყველა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო რეზოლიუციები.

ნ—ა.

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიმართვის დამუშავება თბილისის ორგანიზაციაში

უმსგავსოებათა თაიგული

(რკ. გზ. დეპო)

ჯერ კიდევ 6 საათია და სავაგონო პარკის აუდიტორია უკვე გავსილია მუშებით.

დეპოს პარტკოლექტივის ღია კრებაზე თავი მოიყარა 500-ზე მეტმა კაცმა.

მოხსენება მოკლე იყო. ამხანაგმა სუხიშვილმა უბრალო გასაგები ენით მოუთხრო კრებას, თუ რა მნიშვნელობა აქვს თვითკრიტიკას და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მოწოდებას.

განუწყვეტლივ იზრდება იმ ამხანაგების სია, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კამათში.

ჯერ იყო 10. შემდეგ—23, ცოტა ხნის შემდეგ უკვე—35, მოხსენების დასასრულ კი—40.

კამათი გაიხსნა; დასაწყისში თითქოს ერთგვარი შიში აქვთ..

— თვითკრიტიკა კარგი საქმეა, მაგრამ უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ის ამხანაგები, რომლებიც საქმიანი კრიტიკით გამოდიან, დავიცვათ ადმინისტრაციის დევნისაგან. ადმინისტრაციას ზოგჯერ არაფრად ეჭაშნიკება მისი მოქმედების კრიტიკა.

— მართალია!—გუგუნებს დარბაზი.

აი აუდიტორიის წინაშე გამოდის ამხ. კამუშინი.

ის სცდილობს დამშვიდებით ეჭიროს თავი, მაგრამ რამდენიმედ ღელავს.

— ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოსთან ახალი შენობის აგება და ამაზე დიდძალი ფულის დახარჯვა ადმინისტრაციას არ დაზარებია, მაგრამ ერთი ფარდულის მოწყობა სავაგონო საამქროსათვის კი დაავიწყდათ.

— ბევრი უმსგავსოება ხდება რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილებაში. უმსგავსოება კი არა, პირდაპირ ბოროტმოქმედება.

დეპოს ერთერთი მუშა, რომელიც ძლიერ დაიწვა ხანძრის დროს, მოათავსეს რკინისგზის საავადმყოფოში. რამოდენიმე დღე ეგდო სამკურნალო დახმარების აღმოუჩენლად (თუმცა ექიმები ზოგჯერ შეიხედავდნენ ხოლმე მასთან) შემდეგ კი ადამიანი ცოცხლად დალპა.

მოხუცმა ცოლმა, რომელიც ის უვლიდა ავადმყოფს, მიმართა ამის გამო ექიმებს, მაგრამ მიიღო საკმაოდ ლაკონიური პასუხი: „რას იზამ, „მალამო" არა გვაქვსო".

და აი მოხუცი ქალი მიდის „დეზერტირკაზე" საჭირო „მედიკამენტების" შესაძენად.

აი მეორე შემთხვევაც. ერთი გზის ოსტატისათვის მაზოლი უნდა მოეჭრათ და „ნახევარი ფეხი კი მოსჭრეს; თანაც ზრდილობიანად უთხრეს: „ბოდიშს ვიხდით, ეს შეცდომა იყო—შეუცდომლად ხომ არაფერი არ კეთდება".

აი კიდევ ერთი შემთხვევა.

ერთმა ნერვებით ავადმყოფმა ქალმა არ ისურვა სხვა ავადმყოფებთან ერთად წოლა. ის სხვა განყოფილებაში გადაიყვანეს მას მომვლელი ქალები ოთხ წყებად ემსახურებოდნენ. გარდა ამისა მას.. რადიო-მიმღები აპარატიც კი დაუდგეს.

როგორც ჩანს, ამ ბედნიერ ავადმყოფს „ბებია" ჰყავდა და ამასთან კარგა „დიდი" ბებიაც.

საინტერესოა ამხ. ხაჩიევის ისტორია. ის ბაქოში მიდიოდა სპეციალური ვაგონით, მაგრამ მას მოეჩვენა, რომ ვაგონი ძლიერ ანჯღრევდა და აი, ბაქოში ჩასვლის შემდეგ ბრძანა: „მატარებელზე უფრო „რბილად მავალი ვაგონი მიმაბითო".

— ის უმსგავსო ფაქტები, რომლებზედაც ლაპარაკობდნენ კამათში გამოსული ამხანაგები, ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ საჭიროა ყურადღებით მოვისმინოთ ყოველივე ის, რასაც ისინი ამბობენ.

ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს მოვკვეთოთ კიდევ ერთი ხორცმეტი.

ს—ჩი.

„ზაკგოსტორგის" „სპეცი", თვითკრიტიკა, კედლის გაზეთი

(სახ. ბანკის და ა.-კ. სახ. ვაჭრ. უჯრედი)

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობისა და ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კომუჯრედის სხდომაზე დამუშავებულ იქნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა. მომხსენებელმა დაწვრილებით გაარჩია მიმართვის ყველა პუნქტები და ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლის საკითხები დაუკავშირა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის აპარატში არსებულ დეფექტებს.

მოხსენების გარშემო კამათში ორატორები მიუთითებდნენ აპარატის მთელ რიგ ნაკლზე. აი ზოგიერთი კონკრეტული ფაქტები:

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ერთ-ერთმა მუშაკმა განაცხადა, რომ სადგურზე ვიღაც უცნობი პირი დაწესებულების სახელით ღებულობს კვერცხს. გამოირკვა, რომ გამგემ ერთი თავისი ნაცნობი გაგზავნა კვერცხის მიღების საქმის შესასწავლად. გაიცა ბრძანება მოეხსნათ ეს „მოწაფე", როგორც კაცი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობასთან. გავიდა ერთი თვე. თბილისში ჩამოდის ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის ლენინაკანის განყოფილების გამგე და აცხადებს საყვედურს:

— „რას გავს ეს ამხანაგებო, მიგზავნით ისეთ ხალხს, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არა აქვს ჩვენს საქმეზე". გამოირკვა, რომ ეს „სპეცი კვერცხის მიღების საქმეში" სწორედ ის პირი ყოფილა, რომელიც თბილისში მოხსნეს სამუშაოდან. აი რას ნიშნავს „ქალბატონ პროტექციის" ძლიერი ხელი, თბილისიდან ლენინაკანამდეც კი მიწვდება.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობიდან გაგზავნილი სასწრაფო ქაღალდები ვაჭრობის სახალხო კომისარიატამდე მხოლოდ მე-6—7 დღეს აღწევს, პასუხი—დაახლოებით მე-12 დღეზე ბრუნდება. ეს იმ დროს, როცა ორივე ეს დაწესებულება ერთ შენობაშია მოთავსებული.

არის სხვა შემთხვევებიც, რომლებიც ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას მოწმობენ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატიდან გაიგზავნა ქაღალდი ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის ერთ-ერთ განყოფილებაში. ამ განყოფილების გამგემ ასეთი რეზოლიუცია წააწერა ქაღალდზე: „უყოყმანოდ შესასრულებლად", შესასრულებელი საქმეში აკერებს მას. შემდეგ ირკვევა, რომ ეს ქაღალდი არ ყოფილა ამ განყოფილებაში გადასაცემი. აი საქმის „უყოყმანოდ შესრულება".

კიდევ ბევრი რამ ილაპარაკეს ორატორებმა.

— ჩვენი კედლის გაზეთი,—ამბობს ერთი ამხანაგი,—სრულიად არ აქცევს ყურადღებას აპარატის ავადმყოფურ მოვლენებს და არ ამხელს დამნაშავეთ. გაზეთი სავსეა იუმორისტული მოთხრობებით, ვრცელი წერილებით და სხვადასხვა კამპანიებით.

კრებამ გადასწყვიტა გამოაცოცხლოს კედლის გაზეთი და აქციოს ის ყველა ბიუროკრატების მამხილებლად, მოაწყოს ბიუროკრატის საჩვენებელი გასამართლება და განიხილოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას მიმართვა მოსამსახურეთა საერთო კრებაზე.

მუშკორი.

ჯერ ასწავლეთ — შემდეგ მოსთხოვეთ

(ფეხსაცმელების ფაბრიკის უჯრედი)

ამხ. ალავაზოვმა მტკიცედ გადასწყვიტა სიტყვა სთქვას ამხ. ბექზადიანის მოხსენების შემდეგ. მას არა მარტო დღეს გაუგია ის ამბავი, რომ სპეცებს აქვს ადგილი სხვადასხვა წარმოებაში, ის ამის შესახებ ყოველდღე კითხულობს გაზეთებში და არა ერთხელ დაუსახავს მიზნად გამოსულიყო და ეთქვა ზოგიერთი რამ.

— ზოგიერთი სპეცები,—ამბობს ის,—ღებულობენ დიდ ჯამაგირს და მაინც არ მუშაობენ ისე, როგორც ეს საჭიროა, ერთი სიტყვით, არაკეთილსინდისიერად მუშაობენ. ავიღოთ მუშა. ის ნაკლებს ღებულობს, მაგრამ ყოველივე ნაკლი, უყაირათოდ დახარჯული ყოველი კაპეიკი, მას დიდათ აწუხებს. მუშაობითაც ის უკეთ მუშაობს, შეაქვს საქმიანი წინადადებები, რომლებიც მიმართულია წარმოების გაუმჯობესებისაკენ, მაგრამ ხშირად მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ.

— როგორც ჩანს აქა-იქ საჭიროა ზოგიერთების შეხურება. ჩვენ ვაფასებთ სპეცებს, მაგრამ მათ ვუყენებთ ერთ პირობას: იმუშავეთ არა შიშით, არამედ სინდისიერად და ჩვენს წინადადებებს ნუ დატოვებთ უყურადღებოდ. კრება ეთანხმება ორატორს.

ამხ. ჯანჯულაზოვმა იცის რამდენიმე შემთხვევა, რომ დაწინაურებულ მუშას აძლევენ უაღრესად სპეციალურ სამუშაოს, მაგრამ შემდეგ თავს ესხმიან მას და უსაყვედურებენ,—„ცოტა იცი, არაფერს არ აკეთებო".

დაწინაურებულს ხვდებიან ამხანაგები ფაბრიკიდან, მეგობრულად დაჰკრავენ ხოლმე ხელს მხარზე და ღიმილით ეუბნებიან: „ძმაო, ხომ ხედავ დაგაწინაურეთ, მაგრამ მუშაობას ვერ ასრულებ დამაკმაყოფილებლად. ასე არ ვარგა". ამავე დროს მას არავინ არ ეკითხება: ბევრი რამ აჩვენეს მას ამ ხნის განმავლობაში თუ არა, შეეცადნენ თუ არა გამოესწორებიათ მისი ნაკლი მასთან ერთად და სხვა. მუშაობას კი სთხოვენ. სხვები რამდენიმე წლიწადი სწავლობდნენ ამა თუ იმ საქმეს, მაგრამ რატომღაც დაწინაურებულისაგან მოითხოვენ, რომ ის ერთ თვეში გახდეს სპეცი.

საჭიროა, რომ დაწესებულების ხელმძღვანელი კომუნისტები დაეხმარონ დაწინაურებულს და შეუქმნან მას ამხანაგური ატმოსფერა. მაშინ ჩვენ მივაღწევთ წარმატებას, ჩვენ გვეყოლება სპეცები მუშათა წრიდან, რომლებიც პატიოსნად შეასრულებენ მუშაობას.

ჩვენ მცირე ყურადღებას ვაქცევთ გამომგონებლებს,—აღნიშნავდენ მუშები. ამხ. პეტროსიანმა გამოიგონა ტყავის დამზადების ახალი საშუალება, რომელიც დიდათ ამცირებს ხარჯებს, ადმინისტრაციამ უყურადღებოდ დასტოვა ეს ფაქტი.

ზოგიერთ ადმინისტრატორებს ყური ბამბით აქვთ გამოტენილი, მათ უნდა გამოიღონ ბამბა ყურიდან. საჭიროა ანგარიში გაეწიოს ყოველივე იმას, რასაც მუშები ამბობენ.

ეს მტკიცედ გადასწყვიტა ფეხსაცმელების ფაბრიკის კომუჯრედის ღია კრებამ.

ა. ა.

—:—

დელეგატ ქალთა თათბირი

(ხონი)

14 ივნისს ხონის პარტკომთან შესდგა დელეგატ ქალთა თათბირი კომუჯრედების მდივნებისა და ქალაქის კომიტეტის მდივნის თანდასწრებით. თათბირმა მოისმინა ადგილებიდან მოხსენებები, საიდანაც გამოირკვა, რომ სადელეგატო პუნქტების მუშაობისადმი ხშირად გულგრილობას იჩენენ მასწავლებელი ქალები, პუნქტები, დაგვიანებით ღებულობენ მითითებებს და სხვ. კამათისა და საინსტრუქტორო მოხსენების შემდეგ, მიღებულ იქნა სათანადო პრაქტიკული მითითებები.

დაწინაურებულ მუშათა რესპუბლიკანური თათბირი

გუშინ, საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა დაწინაურებულ მუშათა რესპუბლიკანური თათბირი. თათბირი გახსნა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. ყურულაშვილმა.

ამხ. ყურულაშვილის სიტყვა

— მუშების დაწინაურება სახელმწიფოებრივ მმართველობის სხვადასხვა პოსტებზე და აღმშენებლობაში არ არის ახალი საქმე. ჯერ კიდევ ოქტომბრის დიდი გადატრიალებისას მუშათა კლასის წინაშე დადგა საკითხი მთელი სახელმწიფო აპარატის დაპყრობის შესახებ და თქვენთვის უკვე ცნობილია თუ რა დიდ სიძნელეებს წააწყდა მაშინ მუშათა კლასი, განსაკუთრებით ძველი ჩინოვნიკებისა და ბიუროკრატების მხრიდან. ინტელიგენციამ საბოტაჟი გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას და ჩვენს სახალხო კომისრებს უხდებოდათ საკუთარი ზურგით ეზიდათ მთელი სახელმწიფოებრივი მმართველობის სიმძიმე.

ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლისთავისათვის საბჭოთა ხელისუფლება საკმაოდ მტკიცეა იმისათვის, რომ უმტკივნეულოდ და დაუბრკოლებლივ აწარმოოს სახელმწიფოს მმართვა-გამგეობა. ამჟამად ჩვენი მიზანი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მმართვა-გამგეობის ყველა ბრძანებელი მაღლობები ჩავაბაროთ მუშათა კლასიდან გამოსულ მოღვაწეებს. ამიტომ არის, რომ მუშათა დაწინაურების საქმეს საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მაგრამ დაწინაურების დარგში ადგილი აქვს დეფექტებსაც. ხშირად დაწინაურების საქმეს ხელს უშლიან სხვადასხვა დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მოკალათებული ძველი მუშაკები, რომლებიც შიშობენ, რომ მათ ადგილს მუშები დაიჭერენ. პარტიისა და ხელისუფლების დავალებაა: გამოვასწოროთ ამ დარგში შემჩნეული ყველა დეფექტები, დავეხმაროთ მუშათა დაწინაურების საქმეს და შეუბრალებლად დავსაჯოთ ყველა ის, ვინც ხელს გვიშლის ამ დიდი ამოცანის შესრულებაში.

დასასრულ, ამხ. ყურულაშვილი თათბირს ესალმება პროფსაბჭოს სახელით და აღნიშნავს, რომ ამ თათბირზე ყველა დაწინაურებულმა მუშებმა მოურიდებლად და აშკარად უნდა განაცხადონ, თუ რა უშლის ხელს მათ მუშაობას და როგორი ზომები მიაჩნიათ მათ უფრო მიზანშეწონილად, რომ დაწინაურების საქმე წარმატებით მიდიოდეს.

შემდეგ სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ამხ. ა. ხვედელიძეს.

დაწინაურებულები და მათი მუშაობის პირობები

ამხ. ა. ხვედელიძე აღნიშნავს, რომ დაწინაურების საქმეს დიდ მნიშვნელობას აძლევს საბჭოთა ხელისუფლება, ვინაიდან სოციალისტურ აღმშენებლობას და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს მეტი ენერგიით მოეკიდება მხოლოდ მუშათა კლასიდან გამოსული მუშაკი.

დაწინაურების საქმე ამ რამოდენიმე წლის წინად სხვანაირი ფორმით მიმდინარეობდა. ადგილი ქონდა უმთავრესად მუშების პიროვნულად დაწინაურებას ამა თუ იმ თანამდებობაზე. ამ საქმეში არ იყო ფართოდ ჩაბმული მუშათა მასა. ეხლა კი მუშების დაწინაურება უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ მუშათა ფართო მასების კონტროლის ქვეშ.

ამ დარგში მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია სასტიკი ბრძოლა გამოეცხადოს პროტექციონიზმს და პირადი გავლენის სხვა ფორმებს. გარდა ამისა დაწინაურების საქმის გასაუმჯობესებლად მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ დაწესებულებების მუშაკებმა და პასუხისმგებელმა ამხანაგებმა ახალ თანამდებობებზე დანიშნულ მუშებს გაუწიონ შესაფერი დახმარება და მისცენ მათ ახსნა-განმარტებები ყოველ ცალკე შემთხვევისათვის.

იმ მიზნით, რომ დაწინაურებული მუშები მუდამ თავის სიმაღლეზე იდგენ და მეტი გამოცდილება მიიღონ, საჭირო არის მათი მუშაობის კონტროლი. ეს კონტროლი კი უნდა ხდებოდეს მხოლოდ ადგილობრივი მუშებისაგან. ამ მიზნით სისტემატიურად უნდა იმართებოდეს მუშათა საერთო კრებები, რომლებზედაც დაწინაურებული მუშები გამოვლენ საანგარიშო მოხსენებებით და მთელი თავისი მუშაობა-საქმიანობის ანგარიშს ჩააბარებენ დამწინაურებელ მუშათა მასას.

ამხ. ა. ხვედელიძის მოხსენების შემდეგ თათბირი უშუალოდ გადადის ადგილებიდან ჩამოსულ ამხანაგების მოხსენებების მოსმენაზე.

მოხსენებები ადგილებიდან

ამხ. **სტოეცკი** (ყოფ. მბეჭდავი) თათბირს მოუთხრობს, თუ როგორ უხდება მას მუშაობა თავის ახალ თანამდებობაზე. იგი დანიშნულია ამიერ-კავკასიის ფინსახკომის ადგილობრივ ფინანსთა განყოფილების გამგედ და თათბირის წევრებს აცნობს, რომ პირველ ხანებში მას ადგილობრივი მუშაკები არა თუ უწევდენ დახმარებას, არამედ პირიქით, ხელსაც უშლიდენ, მაგრამ მიუხედავად ამისა მან მაინც შესძლო დაკისრებული საქმის შესაფერისად გაძღოლა და ამჟამად სავსებით მომზადებულადაც სცნობს თავს უხელმძღვანელოს იმ საქმეს, რომელიც მას დააკისრეს.

მთავარ სახელოსნოების მუშა ამხ. **გარიბოვი**, რომელიც ამჟამად დანიშნულია თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი"-ს დირექტორად, თათბირს უამბობს, რომ მან ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ დიდი გამოცდილება შეიძინა, თამბაქოს ტრესტის პასუხისმგებელი მუშაკები მას შესაფერის დახმარებას უწევდენ, იგი გაგზავნეს მივლინებაში სხვა წარმოებების დასათვალიერებლად და მიღებული გამოცდილების შემდეგ მან შესძლო გაეუმჯობესებია თამბაქოს წარმოება მისდამი რწმუნებულ ქარხანაში.

ამხ. **ტომარაძე** (ბათომიდან) ამბობს, რომ მას დაწინაურების შემდეგ არა თუ არ აღმოუჩინეს რამე დახმარება, არამედ, პირიქით, მის მუშაობას მუდამ ხელს უშლიან და მოითხოვს, რომ პროფესიონალურმა კავშირებმა დაიცვან დაწინაურებულ მუშათა ინტერესები და გაუწიონ მათ ყოველგვარი დახმარება ასეთ შემთხვევებში.

შემდეგ სიტყვებით გამოდიან ამხ. **ბელმანი** (თემქადან), ამხ. **ჯიოევი** (თბ. აღმასკომიდან), ამხ. **კაჭახიძე** (სამტრედიიდან), ამხ. **დევიძე** (ქუთაისიდან) და სხვ. ყველა ორატორები მოითხოვენ, რომ ყურადღება მიექცეს დაწინაურებულ მუშათა მომზადების საქმეს, დაარსებულ იქნეს ე. წ. საქმიანი კლუბები ყველა მსხვილ საწარმოო რაიონებში და დაწინაურებული მუშები იგზავნებოდენ სხვადასხვა წარმოებების დასათვალიერებლად საბჭოთა კავშირის მსხვილ ცენტრებში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი დაწინაურებულ მუშათა მუშაობა-საქმიანობის გაუმჯობესების საკითხის ირგვლივ.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

საქართველოს ტექ. საზოგადოების გამოწვევით შემომაქვს ათი მანეთი ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

გ. მოგუჩავა.

ნუკრი ჯალაღანიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ჩემის მხრივ ვიწვევ: ჩოხატაურიდან — მათიკო ცინცაძეს, ლუტუნია და ბუხუტა მინდაძეებს; თბილისიდან—ლუტუნია გოგიბერიძეს და კუკუნია ჩხიკვიშვილს; ოზურგეთიდან—რუსუდან მაკალათიას და ნოდარ შავგირაძეს.

ნუნუ ჩხიკვიშვილი.

ქ. ონის პედაგ. ტექნიკუმის პედ. პერსონალს შემოაქვს ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ 15 მან. 30 კ.

გან. მუშაკთა კავშ. რაჭის განყოფილება.

შემომაქვს ქუთაისის აღდგენის ფონდის გასაძლიერებლათ ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს ნათლომე და ტატიანა კრავეიშვილებს, ვახტანგ მიქაძეს, გიორგი ჩიგოგიძეს და ჯ. ჩომახიძეს.

გიორგი ჯანჯალეიშვილი.

კუკუნია ფარქოსაძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შუქრუთიდან: ალიკო და რეზიკო ჩაჩანიძეებს.

პატბლენდონ კალმახელიძე.

რეზო მანჯგალაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხ. ლეკან აბრამიას, გივი ზუაძეს, გალინა, მანჯგალაძეს მიტუშა სტურუას, შოთა თხილავას:

შოთა ოდილავაძე.

ძველ აბაშის 7 წლედის მოწაფეებს (სენაკის მაზრა) შემოაქვთ თორმეტი მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ და იწვევენ: ონტოფოს, გეზათას, საშიქბოს, სეფიეთის, გეჯეთის, წყების 7 წლედის მოწაფეებს.

ქ. ონის (რაჭ. მაზრა) 2 წლ. ადკომში შემავალი პედაგ. პერსონალს შემოაქვს ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ 12 მ. 21 კ. და იწვევს: ქ. ონის გლეხ. ახალგ. სკოლას, პედაგ. ტექნიკუმს, ამბროლაურის 7 წლ. და რაჭის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმს.

განათლების მუშაკთა კავშირის რაჭის განყოფილება.

ელიავას და მეიფარიანის გამოწვევით ქუთაისის დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოთ შემოგვაქვს თითო მნეთი და ვიწვევთ შემდეგ ამხ. ლაურა გნოლიძეს, მერი ანტენს, როზა ბარსეგოვას და გივი მგალობლიშვილს.

ბიჭრიკო გლინსკი და გუდიკო გუდავაძე.

ქუთაისში ხანძრით დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოთ შემოგვაქვს 2 მანეთი და ვიწვევთ შემდეგ ბავშვებს: ფრიდონ და მურმან ბოკერიებს, შოთიკო გვილავას, ვასია კანდელაკს ვოვოჩქა სანიკიძეს, ეთერი ჟვანიას, ლია მაჩაბელს, ლიანა, ეორა და დოდო კალანდარიშვილებს ჯანიკო ჯაფარიძეს.

ოთარი და რევაზი ხოფერიები.

თინა გომართლის გამოწვევით, შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშების სასარგებლოთ და ვიწვევ შემდეგ პირებს: ლეილა ძიგრაშვილს, გივი ლომიძეს, ალიოშა გვიჩიას, ნათელა და დათუნი წერეთლებს, გენრი და მერი ამაშუკლებს.

ციალა ამაშუკელი.

შემომაქვს ქუთაისის ცეცხლით დაზარალებულთა ფონდში 10 მან. პლატონ გამრეკლიძის გამოწვევით და ჩემის მხრივ ვიწვევ: დ. ხერხეულიძეს. (ქუთაისის— რიონჰესი).

ირაკლი ჩიქოვანი.

ამხ. ანტონინა კალანდარიშვილის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოთ ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

სოსო წიფურია, ხელი ჯოჯუას, ლელი ფეოფილაქტოსს. თამარა ბოკუჩავას, გერონტი ჯაავას, სერიოჟა, ვალოდია და გივი აბულაძეებს.

მოწაფე თინათინ გვასალია.

დოდიკო ბაქრაძის გამოწვევით შემოგვაქვს თითო მანეთი და ვიწვევთ: ვალიკო კვირიკაძეს, ჟორა ოდლიაძეს, ჯანიკო იაშვილს, გივი ჩარექავას, თენგიზ სიხარულიძეს, ნინელ კიკნაძეს, ირაკლი სუხიშვილს, მარატიკ შტეპას, შოთა და ბაბულა მჭედლიშვილებს.

მიტუშა და ვალიკო სტურუა.

ქუთაისში დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოთ შემოგვაქვს 2 მან ამხანაგების დავალებით **ალ. ჟურული.**

1928 წ. 28 მაისს ხეთის რაიონის მასწავლებელთა კონფერენციაზე მასწავლებლობამ გაიღო თვიური ხელფასი 2 პროც. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, რომელიც უდრის 19 მანეთს; შემოგვაქვს რა აღნიშნული თანხა, ვიწვევთ: ხეთის ადგილკომში შემავალ მასწავლებლებს, დარჩელის, ცაიშის და ხობის ადგილკომებს.

ადგილკომის დავალებით **რ. ბუკია.**

ამხ. სამსონ კიკაჩეიშვილის გამოწვევით ქუთაისის აღსადგენ ფონდში შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: ქედიდან — გრიშა ნიკურაძეს, ხუსეინ სურმანიძეს, ეჟუბ ნაკაშიძეს, არკადი სალუქვაძეს, სოლომონ ბილიხოძეს, არჩილ ბირკაიას, სამუელ მეავანაძეს და მოსე გოგუაძეს.

იოსებ სტურუა.

ლადო ეორჟოლაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ და ვიწვევ: ინესა ტეპცოვს, თინიკო გეწაძეს, ცაცო ფუტკარაძეს და მორიკო ბლუაშვილს.

ზურაბ ნანეტაშვილი.

შემომაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ სამი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

გრიშა კიკაჩეიშვილს (თელავიდან), მარო კიკაჩეიშვილს (სიღნაღიდან), სილოვან დუნდუას (ყარაიდან), შალვა რობაქიძეს (ქუთაისიდან), ალექსანდრე კილაძეს (ქუთაისიდან).

გიორგი თვალავაძე.

მედიკო ჯაშის გამოწვევით შემოგვაქვს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ თითო მანეთი და ვიწვევთ შემდეგ ამხ. მიშა გიჟიმურელს, ავგუსტ კალანდარიას, დოქონა ბაბუნაშვილს ლეო ატოევს, კუსურა ელენტს, ბზიალა ნებიერიძეს ეგო მელიკიანს, ბათომიდან: კუკური და ბაქურა მგალობლიშვილებს, ფოთიდან: გოგონა მეავანიძეს.

ოთარი და ეთერი ღლონტები.

ნატრო და ბოჩიკო ცხაკაიას გამოწვევით ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოთ შემომაქვს ერთი მანეთი.

გოგი ბელქანია.

ნატრო და ბოჩიკო ცხაკაიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშთა სასარგებლოთ და ვიწვევ: ცაცა გორგიძეს, ბასკურა და რუსიკო გოგავას, ბაჩანა დემურიას, ლია ლაზარტყავას, თინა და აჩიკო ჩხეტიას, ლილიკო, იუზა და ზაალ კიკნაველიძეს.

ცაცა ჩხიკვიშვილი.

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ მარეხი გოძიაშვილს, ვოვა დანდურიას, გუგული ორაგველიძეს და ლენა მელვინიშვილსა.

ეთერი თავზავაძე.

გუშინ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 461 მან. 21 კ. სულ წინად შემოსულთან ერთად 18.001 მ. 04 კ.

მუშათა ცხოვრება

როგორ ვებრძოლოთ ლოთობას

შრომის ნაყოფიერების სისტემატიური ზრდა და მუშათა ეკონომიური და კულტურ. მდგომარეობის გაუმჯობესება, დიდათ არის დამოკიდებული ადგილობრივ პროფორგანოების სწორ და მიზანშეწონილ მუშაობაზე. თუ პროფესიონალური ორგანო სწორად და ურყევად ატარებს ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივებს მუშებში კულტურული და ორგანიზაციულ მუშაობის შესახებ, მაშინ მუშები უზრუნველყოფილი იქნებიან ეკონომიურად და წარმოებაც უფრო მეტი ნაყოფიერი იქნება.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას. პროფკავშირის ძირითადი ორგანოები, ფაბკარკომები, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდნენ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლას და ყოველგვარ ზომებს უნდა ღებულობდნენ ამ ულმობელ სენის მოსასპობად მუშებში. ეს ასეც ხდება, ადგილკომები მართლაც დიდ მუშაობას აწარმოებენ ლოთობისა და ამ ნიადაგზე სამუშაოს გაცდენის წინააღმდეგ, მაგრამ საქმე იმაში კი არ არის, თუ რამდენ მუშას გაუცხადებ საყვედურს ლოთობის გამო. არამედ იმაში, თუ როგორ და რა ხაზით აწარმოებ ამ ბრძოლას.

ზოგიერთი ქარხკომი ლოთი მუშების გამოსასწორებლად არავითარ კულტურულ მუშაობას არ აწარმოებს და ლოთობის აღმოსაფხვრელად პირდაპირ ადმინისტრატიულ ზომებს მიმართავს. ამას წინად რკინის გზელთა პროფკავშირის ხაშურის სახაზო კომიტეტმა ლოთობის გამო კავშირიდან გამორიცხა მემუხრუჭე გოგნაძე. ეს არ იკმარა სახაზო კომიტეტმა და დააყენა საკითხი მისი სამსახურიდან მოხსნის შესახებ. ასევე მოიქცა მელითონეთა კავშირის ამხ. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის ადგილკომიც. უკანასკნელმა ლოთობის გამო სამუშაოდან მოხსნა ერთი ხარატი.

ჩვენის აზრით პროფორგანოების ასეთი მიდგომა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისადმი, ეს არის პროფესიონალური მუშაობის დამახინჯება.

ადმინისტრატიული ზომებით ლოთობის აღმოფხვრა მუშებში ყოვლად შეუძლებელია. პირიქით, ასეთი ზომებით, ჩვენ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩავაგდებთ მუშას და მის ოჯახს და ვაიძულებთ განაგრძოს ლოთობა.

ერთად ერთი საუკეთესო საშუალება ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლველად, ეს არის ლოთ მუშებში კულტურული მუშაობის გაცხოველება: ლიტერატურული გასამართლება, ლექციები, საუბრები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოუსწორებელ ლოთის საზოგადო, საჩვენებელი გასამართლება და სხვა.

კავშირიდან გამორიცხვას, რომელიც უდიდესი სასჯელია მუშისათვის, უნდა მივმართოთ უკიდურეს შემთხვევებში, ისიც დროებით, გამოსწორების მიზნით და არა სამსახურიდან მოხსნით, როგორც ეს ჰგონია ხაშურის სახაზო კომიტეტს.

მელითონე.

სურამში გადაიტანოთ

რამდენადაც ვიცით, რკინის გზის მმართველობას განზრახული აქვს ხაშურის საყუდე, სივიწროვის გამო, გადაიტანოს სხვა, ფართე ალაგას. ასეთ ალაგათ გათვალისწინებულია ოსიაურის მიდამო, ხაშურის ქვედა მხარე. განზრახვა დიდად მიზანშეწონილია, მაგრამ უფრო მიზანშეწონილი იქნება, თუ საყუდე გადატანილი იქნება ხაშურსა და სურამს შუა ადგილებში. უკეთესი იქნება იმიტომ, რომ ხაშური [illegible], სამი მხრიდან იღებს მატარებლებს, რომელთა მიმოსვლაც საყუდეთან მჭიდროდ არის დაკავშირებული; მეორეს მხრივ საყუდის სურამისკენ გადატანას, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

რკ. გზების სამმართველომ გულდასმით უნდა განიხილოს ეს საკითხი და ხაშურის საყუდე გადაიტანოს ისეთ ადგილას, სადაც უფრო ხელსაყრელია, როგორც რკ. გზის მოსამსახურეთა, ისე მუშებისა და ადგილობრივ მცხოვრებლებისათვისაც. ასეთი ადგილი კი ჩვენის აზრით, ეს არის სურამის მიდამოები.

მიხ. დევაძე.

რათ ხსნიან ვაგონებს

ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა რკინის გზაზე დატვირთული რონოდების უსაფუძვლოდ დაყოვნება. რონიდები, რომლებიც დატვირთულია მაზუთით, ბენზინით, კარტოფილით ან შეშით, ზოგიერთი სადგურის უფროსები თვითნებურად ხსნიან და იჭერენ სადგურზე დიდი ხნით. ეს გარემოება კი იწვევს საკმაოდ დიდ ხარჯებს, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება რკინისგზის ტრანსპორტს.

სად. კარადაგის უფროსმა სერგეევმა, № 200 მატარებელს მოხსნა კარტოფილით დატვირთული ვაგონი № 929836 და დაიჭირა სადგურზე 10 დღის განმავლობაში, რა მიზეზით ნაიდინა მან ეს და რისთვის შეაჩერა ვაგონი სადგურზე, არავინ იცის. როდესაც მას მოსწყინდა ვაგონზე ყურება და თანაც გაიგო, რომ ვაგონს გატეხას უპირებდნენ, იკადრა ვაგონის პირველი მატარებლით გაგზავნა.

ასეთივე შემთხვევას ადგილი ჰქონდა სად. ძეგამში. ძეგამის უფროსმა, კულიევმა, მატ. № 102 მოხსნა სად. ბაქოდან მომავალი ნავთით და მაზუთით სავსე ცისტერნები № № 340070, 340165, 342926 და 341809, რომლებსაც დანიშნულება ქონდათ სად. ჯულფა და ლენინაკანი.

სადგურის უფროსმა აღნიშნული ცისტერნები სადგურზე დააკავა 30 დღე. ამავე დროს კი სად. ჯულფაში და ლენინაკანში, ორთქლმავლები, ნავთისა და მაზუთის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებაში განიცდიდნენ.

საჭიროა სათანადო ორგანომ გამოიკვლიოს რა მოსაზრებებით და საბუთით იქნა აღნიშნული ვაგონები მოხსნილი ისეთ სადგურებზე, სადაც მათ არ ქონდათ დანიშნულება.

რკინისგზის გამგეობამ ეს საკითხი უნდა მოაგვაროს და ერთხელ და სამუდამოდ სადგურებს უნდა აუკრძალოს მსგავსი მოქმედებანი.

რკინისგზელი მუშა.

რკინის გზა ზარალობს

სად. ნავთლუღში და გარდაბანში მუშაობენ მიმართველების და მიმწოლი ორთქლმავლის გუნდები; მათი ნორმალური მუშაობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ საათს, მაგრამ ისინი ხშირად დღეში 17—18 საათს მუშაობენ. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მემანქანეს, რომელიც მუშაობს ორთქლმავალზე, თავის დროზე არა ყავს გამომცვლელი, მეორეც თუ ცვლა მოუვიდა, მაინც არა აქვს საშუალება თავის დროზე წამოვიდეს, რადგან მატარებელი არ არის. სადგურზე ტყვილა გარჩენა კი მემანქანეს ეთვლება და საგზაო ფურცლის ჩაბარების დროს გამოუდის ზედმეტ მუშაობა, რის ჯილდოსაც იგი ღებულობს. ამით კი რკ. გზა საგრძნობლად ზარალობს.

ამ ზარალის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გუნდის გამოცვლის დროს დაინიშნოს მუშა - მატარებელი სად. გარდაბანამდე, ეს მატარებელი მიიყვანს, როგორც გამომცვლელ გუნდს, ისე წამოიყვანს გამოცვლილ გუნდსაც და მუშაობაც ნორმალური იქნება.

ოხნარელი.

მუშკორთა წერილებიდან

შრომის კანონს არ იცავენ. ტუბდისპანსერში, დამლაგებელი ქალი, პლატონი ოვასი დღეში 10—12 საათს მუშაობს: სამუშაოზე მიდის დილით 7 ნახ. საათზე და მუშაობს საღამოს 8 საათამდე. ამ ხნის განმავლობაში დამლაგებელს სადილად ეძლევა მხოლოდ ნახევარი საათი. შრომის ინსპექტორო, მიაქციე ყურადღება.

შ. ტურაულელი.

ავტომობილი № 47. 3 ივნისს, ავტომობილი № 47, ვიღაც მოქეიფე ხალხით დატვირთული მიქროლავდა წმინდა ბარბარესაკენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ იმავე ავტომობილმა ე. წ. მაჩუკუნის სოფელის კოოპერატივიდან წაიღო ღვინო და სხვა სასმელები. ვისი იყო ის ავტომობილი?

მ. ვ. ლიახველი.

რად ხდება ასე? კლარა ცეტკინის ქუჩაზე, (მუშათა სახლი № 60) მუშამ, ს. წულაძემ ერთი თვის განმავლობაში: 11 აპრილიდან 12 მაისამდე დახარჯა სამი კილოვატი ელექტრო ენერგია, მაგრამ გადახდევინეს კი ხუთი კილოვატისა. ასეთივე ბედი ეწვიათ სხვებსაც რად ხდება ასე?

ნიკოლკა.

თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმის საიუბილეო კომისიის სხდომა

გუშინ, დილის 10 საათზე ამხ. ფილიპე მახარაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმის საიუბილეო კომისიის სხდომა.

სხდომაზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ამხ. ფ. მახარაძემ, რომელმაც აღნიშნა შემდეგი: ვინაიდან ამჟამად თბილისში არსებულ ინდუსტრიალურ ტექნიკუმს საფუძველი ჩაეყარა და დაარსებულ იქნა 1878 წელს რკინის გზის დაბალი ტექნიკუმის სახით, იუბილე გადახდილ იქნება არა მისი ინდუსტრიალურ ტექნიკუმად გადაკეთებიდან 10 წლის შესრულების გამო, არამედ მისი პირველად დაარსების დღიდან 50 წლის შესრულების აღსანიშნავად.

სხდომამ დაადგინა აღნიშნულ ტექნიკუმის ინდუსტრიალურ ტექნიკუმად გადაკეთებიდან ათი წლის შესრულების იუბილეს ნაცვლად მიმდინარე წლის 24 ივნისს გაიმართოს მისი დაარსების 50 წლის იუბილე.

შემდეგ ამხ. ფ. მახარაძის წინადადების თანახმად კომისია ერთხმად ადგენს, იმის აღსანიშნავად, რომ ყოფ. დაბალი ტექნიკური სასწავლებელი ამჟამად თბილისის ინდ. ტექნიკუმად წოდებული, დამთავრებული აქვს აბელ ენუქიძეს თბილისის ინდუსტრიალურ ტექნიკუმს ეწოდოს ამხ. აბელ ენუქიძის სახელობის ინდუსტრ. ტექნიკუმი.

ამხ. ფ. მახარაძეს დაევალა კომისიის დადგენილება დეპეშით აცნობოს ამხ. ენუქიძეს.

ამის შემდეგ კომისიამ მოისმინა სახელმწიფო, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებები იმის შესახებ, თუ რა სახით აპირებენ ისინი იუბილეში მონაწილეობის მიღებას.

განათლების კომისარიატის სახელით ამხ. **მარიამ ორახელაშვილმა** განაცხადა, რომ იუბილესთან დაკავშირებით განათლების კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს ტექნიკუმის საჭიროების მიხედვით მოაწყოს ტექნიკუმთან ახალი სახელოსნო და ლაბორატორია. გარდა ამისა კომისარიატი უღარიბეს მოწაფეთათვის ნიშნავს 3 სტიპენდიას.

ა.-კ. რკინის გზის გამგეობის სახელით ამხ. **გ. ჩხეიძე** აცხადებს, რომ რკინის გზის ტექნიკუმს გადაეცემა მისთვის საჭირო მანქანები, ჩარხები და სხვადასხვა მასალები და შეეცემა ფულადი დახმარება.

კომისიამ დაადგინა ეთხოვოს რკინის გზის გამგეობას, გარდა მანქანა-მასალებისა, ტექნიკუმს მისცეს დახმარების სახით 5.000 მანეთი.

ამხ. **ვ. ავაქოვის** განცხადებით სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს გადაწყვეტილი აქვს ტექნიკუმს მიაწოდოს მისთვის საჭირო მოწყობილებანი და 2.500 მანეთი ფულად.

თბილისის აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. **ქაცარავა** აცხადებს, რომ თბილისის აღმასკომი ტექნიკუმს გადასცემს გამოთხოვილ ინვენტარს, ჩამოუწერს კომუნალურ დავალიანებას და ფულად დახმარების სახით მისცემს 5.000 მანეთს.

„სამშენი"-ს წარმომადგენელის ამხ. **იორამაშვილის** განცხადებით „სამშენი" ტექნიკუმს დახმარების სახით მისცემს 1000 მანეთს. გარდა ამისა, „სამშენი" ნიშნავს 2 მუდმივ სტიპენდიას, რისთვისაც ტექნიკუმს ყოველწლიურად გადასცემს 600 მან.

პროფ. **ნ. მუსხელიშვილი** კრებას აუწყებს, რომ დღეს შესდგება სახ. უნივერსიტეტში სხდომა, რომელზედაც გამოირკვევა, თუ რა სახით მიიღებს უნივერსიტეტი მონაწილეობას იუბილეში..

დასასრულ კომისიამ დაადგინა დაევალოს თბილისის აღმასკომს, ვინაიდან ამჟამად ტექნიკუმი ცუდ მდგომარეობაშია ბინის სივიწროვის გამო, გამონახოს მისთვის შესაფერი შენობა იმავე ქუჩაზე.

კომისიამ აგრეთვე დაადგინა მოითხოვოს დანარჩენ სათანადო დაწესებულებებს წარმოადგინონ იუბილეში თავიანთი მონაწილეობის გეგმა.

კომისიის დადგენილებით იუბილე გაიმართება კვირას, 24 ივნისს დღის 12 საათზე ტექნიკუმის შენობაში. (კამის ქ. № 7).

გაზაფხულის თესვის კამპანიის შედეგები

(სახალხო კომისართა საბჭოს მასალების მიხედვით)

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების გეგმით, წელს საქართველოში უნდა დათესილიყო სულ 460.000 დესეტინა მიწა. აქედან საგაზაფხ. ნათესების სივრცე განსაზღვრული იყო—436.800 დეს., და მას ემატებოდა 23.500 დესეტინა—შემოდგომაზე დაუთესავი მიწა.

საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს მასალების მიხედვით, დასახული გეგმა ვერ იქნა შესრულებული მთლიანად, რაც გამოიწვია ხანგრძლივმა ზამთარმა, წყალდიდობამ, ნივთიერ და სასურსათო საშუალებათა სიმცირემ, სათესლე ფონდის და მუშა-საქონლის ნაკლებობამ, საქონლის საკვების მიწოდების საქმის მოუწესრიგებლობამ და სხვ.

თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად საქართველოს ფარგლების გარედან სულ შემოზიდული იქნა 20 ვაგონი სათესლე სიმინდი, 20 ვაგონი ხორბალი, 10 ვაგონი ქერი. მიუღებელი დარჩა 18 ვაგონი სიმინდი და 10 ვაგონი ქერი.

ადგილობრივ, რესპუბლიკის ფარგლებს შიგნით დამზადებული იქნა „სოფლის კავშირის" მიერ 46.150 ფუთი სიმინდი, 52.000 ფ. ხორბალი და 11.000 ქერი.

სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თესვის კამპანიის დროს კრედიტების სახით სულ გასცა 972.600 მანეთი. აქედან კოლექტიურ მეურნეობებს და ღარიბ გლეხებს გაუნაწილდა — 644.650 მან.; სათესლე მასალის დასამზადებლად გაცემულ იქნა 124.200 მანეთი; საქონლის საკვების დასამზადებლად—126.400 მან.; მუშა-საქონლის შესაძენად—77.400 მან.

თესვის კამპანიის დროს მაზრებს შორის განაწილებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო მანქანები შემდეგი რაოდენობით: 2.444 გუთანი და კულტივატორი, 193 ფარცხი, 144 სათესი მანქანა, 26 ტრაქტორი, 23.000 ფუთი მიწის სასუქი და 332 ფ. საქონლის საკვები.

საერთოთ გაზაფხულის თესვის კამპანიის შედეგები დამაკმაყოფილებელია. სათესლე და საკვებ მასალის მიწოდების საქმემ, მართალია, მთლიანად ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება, მაგრამ პირვანდელ გეგმას მაინც გადააჭარბა. სუსტად იქნა შესრულებული მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების მიწოდების გეგმა. სამეურნეო მანქანების მიწოდებაში შემჩნეული იყო ბევრი არანორმალური მოვლენები, მაგალითად აფხაზეთში მიიღეს ერთი მარკის მანქანები სხვა მარკის მანქანების ნაწილებით, ზოგან მანქანებს ვერ იღებდენ თავის დროზე და სხვ.

კრედიტები კი, როგორც კოლმეურნეობებს, ისე გლეხობას თავის დროზე ეძლეოდა.

გლეხკომების მეორე ყრილობა

გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა

მეორე დღე

ყრილობის მუშაობის მეორე დღეს, დილის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კ. ხომერიკი.

თავის მოხსენებაში ამხ. ხომერიკმა ვრცელი მიმოხილვა გაუკეთა გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის მთელ საქმიანობას 1925 წლიდან დაწყებული დღემდე. გლეხკომების პირველი ყრილობის დადგენილებით ცენტრ. კომიტეტთან დაარსდა მუდმივი საქმიანი პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებდა ყოველგვარ საორგანიზაციო მუშაობას. რამოდენიმე თვის შემდეგ გამოირკვა, რომ პრეზიდიუმს არ შეუძლია გლეხკომების მუშაობის ხელმძღვანელობა, ვინაიდან პრეზიდიუმის წევრები თბილისში არ იმყოფებოდენ და ყოველ ცალკე შემთხვევაში მათი შეკრება ძნელდებოდა. ამიტომ საჭირო გახდა მუდმივი სამდივნოსა და მტკიცე აპარატის შექმნა. ცენტრალურ კომიტეტში მუდმივი მუშაკის მიწვევის შემდეგ მუშაობას შესამჩნევი გაუმჯობესება დაეტყო.

გლეხკომების მიმდინარე საქმიანობაში ადგილი ჰქონდა მრავალ, მუშაობისათვის ხელისშემშლელ გარემოებებს: გასული წლების განმავლობაში ხშირი იყო ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელთა და გლეხკომების ჩარევა ერთი-მეორეს ფუნქციებში. იყო შემთხვევა, რომ გლეხკომი ხიდს აგებდა და აღმასკომის წარმომადგენლები ამაში მათ არ ეხმარებოდენ. უკანასკნელად კი დამოკიდებულება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსა და გლეხკომებს შორის გამოსწორდა და ადგილი არა აქვს არავითარ გაუგებრობას. იყო აგრეთვე ერთი მავნე გადახრა გლეხკომების მუშაობაში,—ეს ის, რომ გლეხკომები ძალიან იყვნენ გატაცებული სავაჭრო საქმიანობით. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო ოზურგეთის და სიღნაღის მაზრებში. აქაური გლეხკომები ხშირად ეწეოდენ კოოპერაციის მაგივრობას და მათი მუშაობა მხოლოდ ვაჭრობაში გამოიხატებოდა. ამავე დროს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა შრომითი დახმარების საქმეს, ღარიბებს გლეხთა გაერთიანებას საზოგადოებრივ აღმშენებლობის და სხ. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დეფექტი აღმოფხვრილია და გლეხკომებიც თავიანთ მუშაობას შესაფერისად უძღვებიან.

1925—26 საანგარიშო წელში მთელ რესპუბლიკაში არსებობდა 2.000 გლეხკომი. იმავე წელში მოხდა მათი მუშაობის გამოკვლევა, რამაც გამოარკვია, რომ გლეხკომები ყველგან ვერ მუშაობდენ შესაფერისად. ეს აიხსნება ერთი მხრივ იმით, რომ გლეხკომებში არ იყვნენ შესაფერად მომზადებული მუშაკები და მეორეს მხრივ კი იმით, რომ ცენტრი ადგილებს ვერ უწევდა საჭირო ხელმძღვანელობას. ყველა ამ მოსაზრებებით მოხდა გლეხკომების რიცხვის შემცირება. 2.000 გლეხკომიდან დატოვებული იქნა მხოლოდ 750 გლეხკომი.

გლეხკომების საერთო შემოსავალი, მომხსენებლის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებით, იძლევა შემდეგ სურათს: 1925—26 წლის განმავლობაში სულ შემოსულა 450.000 მანეთი. ამაში შედის 67.000 მან. საწევრო გადასახადი და 96.000 გლეხკომების წარმოებების შემოსავალი, 1926—27 წელს კი სულ შემოსულა 430.000 მანეთი. ამაში შედის 83.000 საწევრო გადასახადი, 55.000 ადგილ-მამულების დამუშავებიდან და სხვ. საწევრო გადასახადის შეკრების საქმე დღემდე კიდევ ვერაა შესაფერისად მოგვარებული, მაგრამ ერთგვარი გაუმჯობესებას აქაც აქვს ადგილი, ვინაიდან საწევრო გადასახადის შეკრება წლიდან-წლამდე მატულობს.

დასასრულ ამხ. ხომერიკი ჩერდება გლეხკომების მუშაობის უმთავრეს დეფექტებზე და აღნიშნავს, რომ გლეხკომებში ადგილი არა აქვს კოლეგიალურ მუშაობას, არ სწარმოებს ფონდებისა და მუშაობის სწორი აღრიცხვა, გლეხკომების მუშაობაში არ არიან ჩაბმული გლეხი-ქალები, ყურადღება არ ექცევა საწევრო გადასახადების შეკრებას, სუსტადაა დაყენებული შრომით დახმარების საქმე და სხვა.

კამათი

ამხ. ხომერიკის მოხსენების შემდეგ 17 ივნისის საღამოს სხდომაზე გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 40-მდე გლეხმა. ამხ. **ჩერქეზიშვილი** (თბილისი) აღნიშნავს, რომ საჭირო იყო გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ხშირი მოწვევა და ინსტრუქტორების შტატის გადიდება, რომ მუშაობა უფრო გაცხოველებულად ჩაგვეტარებია ადგილებზე.

ამხ. **გ. ჭყონია** (ახალციხის მაზრიდან) ეხება გლეხკომების წარმოებების მუშაობას და გამოსთქვამს აზრს, რომ საჭიროა, გლეხკომების შრომით მოწყობილი საწარმოები დარჩეს ისევ გლეხკომთა განკარგულებაში და მოითხოვს აეკრძალოს ადგილობრივ აღმასკომებს გლეხკომებისათვის წარმოებების ჩამორთმევა.

ამხ. **ჟორჟოლიანი** (ქუთ. მაზ.) ეხება ქუთაისის სამაზრო გლეხკომის მუშაობას და მოითხოვს, რომ ადგილებზე ხშირად იგზავნებოდეს ინსტრუქტორები და ყურადღება მიექცეს ადგილებთან ცოცხალი კავშირის გაძლიერებას.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. გევენლია, ჩიტაძე, მოდებაძე, კვარაცხელია, ცარციძე, კახნიაძე, ისლამოვი, ნური-ოღლი მატინიანი, ფოფხაძე და სხვები.

მესამე დღე

18 ივნისის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ხომერიკის მოხსენების გარშემო. გამოსული ორატორი-გლეხები ეხებიან ადგილობრივი გლეხკომების საქმიანობას და მოითხოვენ შემდეგში ცოცხალი კავშირის გაძლიერებას მათთან, ჩამორთმეული საფონდო მიწების დაბრუნებას და სხვა.

ამხ. კ. ხომერიკის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. კ. ხომერიკი უპასუხებს ყველა გამოსულ ორატორებს და განმარტავს, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ხშირი მოუწვევლობა აიხსნება მხოლოდ თანხების უქონლობით. ამავე მიზეზით არ მოხერხდა ინსტრუქტორების შტატის გადიდება.

რეზოლიუციების მიღება

საბოლოო სიტყვის მოსმენის შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც გლეხკომების ცენტრალური კომიტეტის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად. მოხსენების გარშემო შესაფერ პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად ყრილობამ გამოჰყო კომისია 21 კაცის შემადგენლობით.

რადიო მიმღები აპარატები სოფლად

ბოლო დროს მეტად გახშირდა რადიო-მიმღები სადგურების მოწყობა, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. იმ რადიო-მიმღებ სადგურებმა, რომელნიც მოეწყო ქალაქებში თავის დანიშნულება 90 პროცენტით გაამართლა, სოფლებში მოწყობილი რადიო-მიმღები სადგურები კი 10 პროცენტითაც ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას, ისინი უმეტეს შემთხვევებში არ მოქმედებენ. იმ სოფლებში, სადაც რადიო-მიმღები კარგათ მუშაობს, უამრავი ხალხი ესწრება გადაცემებს.

სოფელ წილკანში (დუშეთის მაზრა), რომელზედაც საქ. სახელმწიფო პოლიტ-სამმართველოს შეფობა აქვს აღებული. ამ თემში შეფს მოუწყვია რადიო-მიმღები სადგური, რომელიც კარგათაა მოვლილი, მუშაობს შეუჩერებლივ. ამ რადიო-სადგურს აუარებელი ხალხი ეხვევა და დიდი სიამოვნებით უსმენს. რადიო-მიმღების ახლო (ორ საჟენის მანძილზე) არის ეკლესია, რომელშიაც ეხლა არავინ დადის, რადიო-სადგური ეხლა მეტად იზიდავს ხალხს, ვინემ ეკლესია.

რადიო-მიმღები სადგურები ძლიერი და მძლავრი იარაღია კულტურულ რევოლუციის გასატარებლად, მხოლოდ საჭიროა მათი მიზანშეწონილი გამოყენება, წინააღმდეგ შემთხვევაში უმჯობესია ასეთები სულ არ მოეწყოს.

რა მიზეზია, რომ სოფლებში დადგმული რადიო-მიმღები სადგურები არ მუშაობენ?

— ყველა ამის მიზეზია ჩვენი უთადარიგობა. აუცილებლად საჭიროა, რომ როგორც ცენტრში, ისე მაზრაში ერთ რომელიმე განსაზღვრულ დაწესებულებას დაეკისროს და დაევალოს სოფლად დადგმულ რადიო-მიმღებ სადგურების მოვლა და მეთვალყურეობა. სრულიად საკმარისია მაზრამ იყოლიოს ერთი გამოცდილი და მცოდნე ტექნიკი, რომელიც სისტემატიურად შემოივლის მაზრაში დადგმულ რადიო-მიმღებ სადგურებს, აეწყობს და შეამოწმებს მათ, და ამავე დროს რადიოზე მომუშავე პირებს მისცემს საჭირო რჩევა-დარიგებას. მართალია პირველ ხანებში ასეთი ტექნიკის ყოლა გამოიწვევს ხარჯებს, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ გაწეული ხარჯები ერთიორად იქნება ანაზღაურებული.

ასეთ მდგომარეობას დროზე უნდა მოეღოს ბოლო. კულტურული იარაღი აუცილებლათ მიზანშეწონილათ უნდა იქნეს გამოყენებული.

კ. ხომერიკი.

ბრძოლა მფლანგველების წინააღმდეგ

ამიერ-კავკ. პროფსაბჭომ საკავშირო თანხების გაფლანგვის გახშირების გამო საქართველოს, აზერბეიჯანისა და სომხეთის პროფსაბჭოებს მიმართა წერილით, რომელშიც აღნიშნავს, რომ მიუხედავად პროფორგანიზაციების მიერ მიღებულ ღონისძიებებისა, საკავშირო თანხების გაფლანგვის შემთხვევები არ მცირდება, ზოგიერთ ადგილებზე კი შემჩნეულია მათი ზრდა, რასაც უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ამიერ-კავკ. რესპუბლიკებში აღმოჩენილ იქნა 38 გაფლანგვა. გაფლანგული თანხა უდრის—8.655 მან. 95 კაპ. აქედან სომხეთის პროფორგანიზაციაზე მოდის 14 გაფლანგვა (2639 მან. 51 კაპ.) აზერბაიჯანის პროფორგანოებზე 18 გაფლანგვა (3670 მ. და 96 კ.), ხოლო საქართველოს პროფორგანიზაციებზე 6 გაფლანგვა (2.344 მანეთი და 66 კაპ.). აღნიშნული ციფრები ცხადჰყოფს, რომ გაფლანგვებთან ბრძოლის საკითხი ჯერ კიდევ მწვავედ სდგას პროფორგანოების წინაშე და რომ მათ არ მიუღიათ სათანადო ზომები გაფლანგვების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის საწარმოებლად.

საკავშირო თანხების გაფლანგვების შესამცირებლად ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია ყველა პროფორგანიზაციებში შემუშავებულ იქნეს საკავშირო თანხების დახარჯვის წესი, სასტიკი კონტროლი გაეწიოს ანგარიშ-ვალდებულ პირს დახარჯული თანხების შესახებ ანგარიშების თავის დროზე წარმოდგენის მხრივ. პროფკავშირთა ფინანსიურ საქმიანობაში მიღებულ უნდა იქნეს ერთგვარი წესი, რომლის თანახმად ორგანიზაციას წინასწარ უნდა ეცნობოს ფულის გაგზავნის შესახებ. მიმღები კი თავის მხრივ ვალდებულია შეატყობინოს გამგზავნს ფულის მიღება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პროფკავშირთა ხაზინადრების შერჩევას, რათა აღნიშნულ თანამდებობაზე არჩეულ იქნეს გამოცდილი და სანდო ამხანაგები. სარევიზიო კომისიებში არჩეულ უნდა იქნეს ამ მუშაობისათვის სათანადოდ მომზადებული და ავტორიტეტის მქონე ამხანაგები. გარდა ამისა, სარევიზიო კომისიებმა უნდა გააძლიერონ მათ მიერ ჩატარებული რევიზიების ხარისხი, ხოლო რევიზიები უნდა ჩაატარონ უფრო ხშირად. გაფლანგვის აღმოჩენის დროს პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული არა მარტო თვითონ გამფლანგველი, არამედ ადგილობრივ პროფორგანოს მთელი შემადგენლობა (საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტი, ცენტრალური გამგეობა, ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს საჭი იქნეს მიცემული მთელი შემადგენლობა იმ პროფორგანოსი, სადაც აღმოჩენილ იქნება საკავშირო თანხების არა წესიერად დახარჯვა ან არა პირდაპირი დანიშნულებისათვის გაწეული და ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯები.

გაფლანგვების შესამცირებლად, გარდა ამისა, ამიერ-კავკ. პროფკავშირთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია ა.-კ. ს.ფ.ს.რ. პროფორგანოებმა უფრო სასტიკი ზომები მიიღონ გამფლანგველთა წინააღმდეგ. გამფლანგველნი გამორიცხულ უნდა იქნან კავშირიდან. უნდა მოხსნან თანამდებობიდან და მათი საქმე გაფლანგვების შესახებ უნდა გადაეცეს საგამომძიებლო და სასამართლოს ორგანოებს. რესპუბლიკების იუსტიციის სახ. კომისარიატების წინაშე აღძრულ უნდა იქნეს აგრეთვე შუამდგომლობა საკავშირო თანხების გაფლანგვების შესახებ საქმეების სასწრაფოდ გასარჩევად და გამფლანგველთა მიმართ სასამართლოს ძიების გასაძლიერებლად.

საწარმოო ძალთა შემსწავლელი ბიურო

საქართველოს სახკომსაბჭოს და ეკონომიურ საბჭოს გაერთიანებული სხდომის დადგენილების თანახმად საქართველოს სახ. საგეგმო კომისიასთან არსდება საქართველოს საწარმოო ძალთა შემსწავლელი ბიურო.

ბიუროს ევალება მთელ იმ სამეცნიერო მუშაობას გეგმიანი ხელმძღვანელ. გაუწიოს, რომელიც ჩატარდება საქართველოში ბუნებრივ-საწარმოო ძალთა შესწავლის მიზნით და სოციალ-კულტურულ და ეკონომიკის საკითხების შესწავლის დარგში.

სხვათა შორის ბიუროს ევალება: ბუნებრივ საწარმოო ძალთა შესწავლის გეგმების შედგენა; ისეთი ცალკე სამეცნიერო საკითხების დამუშავება, რომლებიც სახელმწიფო აღმშენებლობისთვის აქტუალურ ინტერესს წარმოადგენენ; იმ ღონისძიებათა განხილვა, რომლებსაც საგეგმო და საუწყებო ორგანიზაციები ისახავენ სახალხო მეურნეობის რეორგანიზაციის მიზნით.

გარდა ამისა ბიუროს ევალება ყრილობებისა და კონფერენციების მოწვევა საწარმოო ძალთა შესწავლის მიზნით; მხარეთმცოდნეობის საზოგადოებათა მოწყობა და სხ.

ბიუროში არჩეული არიან: სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ამხ. მ. ტოროშელიძე (ბიუროს თავმჯდომარე), საქ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. კვირიკაძე (ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე), განათლების სახ. კომისარი ამხ. დ. კანდელაკი, ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ს. კასიანი, პროფ. თვალჭრელიძე, პროფ. გეხტმანი, პროფ. კ. ამირაჯიბი, პროფ. ნათიშვილი, პროფ. გ. ახვლედიანი, ა.-კ. კომუნივერსიტეტის რექტორი ამხ. გულოიანი, ამხ. ს. სეფი, საქ. სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს თავმჯდომარე ინჟ. ბეს. ჭიჭინაძე, ამხ. არჩილ მიქაძე და გეოლოგი კონიუშევსკი.

ა. კ. შრომის კომისარიატში

კონფლიქტების მოსაწესრიგებლად

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით მომრიგებელ-საკონფლიქტო ორგანოების და სამედიატორო სასამართლოების დადგენილებების განხორციელების მეთვალყურე ორგანოებში მუშაობის ერთნაირ ფორმების შემოსაღებათ, დაადგინა: შრომის სახ. კომისარიატებთან და მათ ადგილობრივ ორგანოებთან არსებულ მომრიგებელ კამერათა და სამედიატორო სასამართლოების დადგენილებების ცხოვრებაში გატარების მეთვალყურეობა დაევალოს სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებებს.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიების დადგენილებებს მეთვალყურეობას გაუწევენ რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატების ადგილობრივი ორგანოები, როგორიც არის: ავტონომიურ რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები, შრომის სამაზრო ორგანოები და შრომის სამაზრო და რაიონული ინსპექტორები.

შრომის დაცვის ადგილობრივ ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნას რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატების სატარიფო-საკონფლიქტო განყოფილებებში. ამ უკანასკნელის დადგენილება საბოლოოა და არ შეიძლება გასაჩივრდეს.

ბრძოლა უბედურ შემთხვევებთან

ამიერ-კავკასიის შრომის სახ. კომისარიატის გეგმით, უბედურ შემთხვევებთან საბრძოლველად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს თვით ამ შემთხვევათა სწორ აღრიცხვას და მათ გამომწვევ მიზეზების შესწავლას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა წარმოებებში უბედურ შემთხვევათა მიზეზების სწორათ გამორკვევის საქმეს, ვინაიდან ზოგიერთ სამეურნეო და სამრეწველო წარმოებების ხელმძღვანელები, უბედურ შემთხვევას ხსნიან თვით დასახიჩრებულ მუშის „გაუფრთხილებლობით", რის გამო ხშირად შეცდომაში შედის შრომის ინსპექციაც.

ტრავმატიზმთან ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად, მიღებული იქნება ღონისძიებები პროფესიონალურ სნეულებათა თავიდან ასაცილებლად. ამ მიზნით სისტემატიურად იწარმოებს მუშათა ჯანმრთელობის გამოკვლევა, წარმოებების ჰაერის შესწავლა და სხ.

ხე-ტყის ექსპორტი

ა. კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, ახლო აღმოსავლეთის და იტალიის ბაზრებზე საგრძნობლად გაიზარდა მოთხოვნილება ჩვენს ხე-ტყის მასალაზე. ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობას იტალიიდან მიღებული აქვს დაკვეთები კაკლის ძელების და ფანერის დიდ პარტიებზე. ჩეხო-სლოვაკიის ბაზარზე უზრუნველყოფილია ჩვენი საექსპორტო ხე-ტყის მასალის დიდი რაოდენობის რეალიზაცია. მიმდინარე წლის საექსპორტო გეგმის შესრულება წარმატებით მიმდინარეობს. დღემდე შესრულებულია წლიური გეგმის 85 პროცენტი.

უცხოეთის ბაზარზე ჩვენი ხე-ტყის მასალის მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით ა. კ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობა საზღვარგარეთ აგზავნის ხე-ტყის ექსპორტის ხელმძღვანელს ინჟ. შულიაცკის, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს უცხოეთის ბაზრის ტევადობა და ამ ბაზრის მოთხოვნილება ჩვენს ხე-ტყის მასალაზე.

სამხედრო-სამოსწავლო ლაშქრობა

სამხედრო-სამოსწავლო ლაშქრობაში, რომელიც ჩატარებული იქნა 15—16 ივნისს, მონაწილეობას იღებდა 800 კაცი. ლაშქრობაში მონაწილეობდენ აგრეთვე ა. კ. ქვეითი ჯარის სკოლის მეთაურთა შემადგენლობა და კურსანტები.

ამხ. კლემენტიევი ჯამს უკეთებს ლაშქრობას

ლაშქრობის „შტაბში" შედიან ამხ. ჯავახიძე, (ა. ლ. კ. კ. ცკა), სოკოლოვსკი (ა. კ. ქვეითი ჯარის სკოლა), მაქსიმოვი (თავდაცვა-ავიაქიმი), აზარაშვილი და ხაჩიკიანი (ა. ლ. კ. კ. თბილ. კომიტეტი). ლაშქრობის სარდალი ამხ. კლემენტიევია.

ჩვენ გავიყავით ორ ლეგიონად— „წითლებად" და „ლურჯებად", „წითლები" წავედით წავკისში, ჩვენმა „მოწინააღმდეგემ" კი გასწია კოჯორისაკენ. სოფელში მივედით გვიან საღამოთი.

დილით, როგორც კი გამოჩნდა მზის პირველი სხივები, დავიბანეთ ცივი წყლით პირი, ვისაუზმეთ და თავი მოვიყარეთ ველზე. მოვიდა „შტაბი" და ამხ. კლემენტიევმა მოკლედ აგვიხსნა ამოცანა. დავირაზმეთ და წავედით მანევრებზე.

გავემართეთ „მტრის" წინააღმდეგ, ზოგი პირდაპირი გზით და ზოგიც შემოვლით.

„ლურჯები" გამაგრდენ ზევით— კოჯორში.

ჩვენს მიზანს შეადგენს გავარღვიოთ ფრონტი და „ავიღოთ" კოჯორი.

ჩვენ ვიმალებით ბუჩქებში, თხრილებში და ვცდილობთ არ გავაფუჭოთ ნათესი. მეთაურები გზა-და გზა გვიხსნიან მანევრების ამოცანას და გვაცნობენ სამხედრო ტაქტიკას.

ჩვენ ავცდით ბორცვებს და თანდათან უახლოვდებით მტერს. გავარდა თოფი, ჯერ აქა-იქ, შემდეგ სროლა სულ უფრო და უფრო გახშირდა. „წითლების" მოწინავე რაზმები გაუსწორდნენ „მტერს".

— იერიშზე! გაბედულად!—გაისმის ხმა მაღალი განკარგულება.

„ურა"! „წითლები" უკვე ზევით არიან, „ლურჯები" გარბიან ან გვნებდებიან. ბრძოლა გათავებულია „წითლებმა" გაიმარჯვეს.

შეუერთდით „ლურჯებს" და დავეშვით წავკისისაკენ.

გზაზე ვსაუბრობდით და ვიხსენებდით ბრძოლის ეპიზოდებს. წავკისში კოოპერატივმა „მებრძოლმა" დაგვახვედრა ცხელი საჭმელი. მშიერ-მწყურვალნი ხარბად დავეწაფეთ სასმელ-საჭმელს.

სადილის შემდეგ ავედით მთაზე, დაიწყო ლაშქრობის გარჩევა და შეფასება. ყველამ სული განაბა.

პირველად ლაპარაკი დაიწყო ამხ. მაქსიმოვმა, რომელმაც აღნიშნა თავდაცვა-ავიაქიმის რაზმის შეცდომები. მომავალში ყველა ეს შეცდომები თავიდან იქნება აცილებული და აღარ განმეორდება.

ამხ. ჯავახიძე შეჩერდა ლაშქრობის ნაკლზე და მიღწევებზე. მუშათა ახალგაზრდობა, სწავლობს რა სამხედრო საქმეს, თანდათან ეჩვევა დისციპლინას, მაგრამ მაინც არიან ისეთი კომკავშირელები, რომლებიც თავისი მოქმედებით სახელს გვიტეხენ ჩვენ. კომკავშირელი არამ კაზაროვი (მე-8 რაიონის მშენებლთა უჯრედი) ქუჩური სიტყვით იგინებოდა, ამისათვის ჩვენ ვკიცხავთ მას. ჩვენ აუცილებლად უნდა აღმოვფხვრათ მონური წყობილების სამარცხვინო ნაშთი—ლანძღვა-გინება.

მუშა—მსროლელი

წყალს სვამენ წყაროსთან

ამხ. კლემენტიევმა, რომელსაც რამდენჯერმე მქუხარე ტაშით აწყვეტინებდნენ სიტყვას, დაწვრილებით გაარჩია ამოცანის შესრულება.

ჩვენს რიგებში,—სთქვა მან,—არიან კომკავშირელი ქალები და პიონერები. ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა, ახალგაზრდა ქალებმა ბევრ კომკავშირელ ვაჟზე უფრო ამტანნი აღმოჩნდნენ, ისინი თოფით ხელში ვაჟებთან ერთად მიდიოდენ პირველ რიგებში. 13 წლის პიონერმა ნაუმ მესტეცკიმ დისციპლინისა და სიმტკიცის მაგალითი მოგვცა.

ყველა მქუხარე ტაშით მიესალმა მორცხვობისაგან გაწითლებულ პიონერს.

ამხ. ჯავახიძემ მთელი კომკავშირის სახელით მადლობა გადაუხადა ლაშქრობის სარდლობას და ა. კ. ქვეითი ჯარის სკოლის მეთაურთა შემადგენლობასა და კურსანტებს. ამხ. ჯავახიძის სიტყვას გამოეხმაურენ ლაშქრობის ყველა მონაწილენი და მხურვალედ მიესალმენ არმიის წარმომადგენლებს.

ლაშქრობის გარჩევა დამთავრდა. კვლავ ჩავმწკრივდით რიგებში და გამოვსწიეთ თბილისისაკენ.

ი. შ.

ქუთაისი

(ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თათბირი სამაზრო აღმასკომის საორგ. განყოფილებასთან

16 ივნისს სამაზრო აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან შესდგა თათბირი, რომელმაც შეიმუშავა სამწლიანი კალენდარული გეგმა, გეგმის მიხედვით ყოველ ორ კვირაში ერთხელ მოწვეული იქნება საორგანიზაციო თათბირი, რომელსაც მორიგეობით დაესწრებიან საბჭოს სექციათა ხელმძღვანელები თავისი სექციის მუშაობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად.

ორგთათბირმა აღმას. ინსტრუქტორებს წინადადება მისცა შეისწავლონ და ახლო ხანში გამოარკვიონ მდგომარეობა შემდეგი თემების: გორდის, დვალიშვილების, გურნის და პატრიკეთის.

სახლების შეკეთების შემოწმება

კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ გამოყოფილი კომისია პოლიტბიუროს და პროკურატურის წარმომადგენელთა მონაწილეობით უკვე მეორე კვირაა აწარმოებს იმ კერძო შენობათა შესწავლა-აღრიცხვას, რომელთაც შეკეთება სჭირდებათ და დღემდე არ არის შეკეთებული, თუმცა ზოგ მათგანს არა ერთხელ ქონია მიცემული გაფრთხილება. ასეთი შენობები ჩამორთმეული იქნება. კომისია 20 ივნისისათვის დაამთავრებს მუშაობას.

საბინაო ამხანაგობების მოწყობა

საბჭოთა სახლებში კომუნალური მეურნეობის განყოფილება უკვე შეუდგა საბინაო ამხანაგობების მოწყობას. მუშაობა დამთავრდება ამ თვის დამლევამდე.

ამხ. ე. ღვამიჩავას გამგზავრება რაიონებში

სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ე. **ღვამიჩავა** მოგზაურობს მაზრაში რაიონების შესასწავლად. ამჟამად იგი ეცნობა სვირის რაიონში შემავალ თემაღმასკომების საქმიანობას.

მუშაობა წყალსადენის გასაყვანად

გაცხოველებული მუშაობაა ამჟამად ქუთაისის წყალსადენის საწნეო აუზზე. მისასვლელი გზები უკვე გაყვანილია. ყოველგვარ საჭირო მასალით სამუშაოები უზრუნველყოფილია. სამი თვით. დაახლოებით 1-ლი ივლისიდან შეუდგებიან დასაწნევ აუზის კეთებას. დასაწნევ აუზზე იმუშავებს 200 კაცი.

წყალტუბოში

გადაუღებელ წვიმების გამო წარსულ კვირაში შეწყდა ავადმყოფების დენა წყალტუბოს აგარაკზე, მაგრამ 17 ივნისიდან ისევ დიდძალი ავადმყოფი მოაწყდა, რადგან კარგი დარი დაიჭირა. მგზავრობას ხელმძღვანელობს „ზაკავტოპრომტორგი", მაგრამ მუშაობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ „ზაკავტოპრომტორგს" არა აქვს საკუთარი კიოსკი, რომ მგზავრებს საშუალება ჰქონდეთ დაიცადონ და ბილეთები წინასწარ შეიძინონ, რამდენად დიდია მგზავრების რაოდენობა ეს იქიდანაც სჩანს, რომ მარტო 17 ივნისს გადაყვანილ იქნა 365 მგზავრი. აგრეთვე დიდ შევიწროვებას განიცდიან მოაგარაკენი წყალსადენის უქონლობის გამო. აგარაკის დირექციის ხარჯთაღრიცხვით, წყალსადენის გაყვანა დაჯდება 17.000 მანეთი.

სასამართლოს შენობის გაქურდვა

როგორც ჩვენი გაზეთის 16 ივნისის ნომერში ვსწერდით, დაბა ხრესილში გაქურდეს სახალხო სასამართლოს შენობა. ამჟამად ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია, იგი აღმოჩნდა სასამართლოს მდივანი გიორგაძე.

მიმოსვლის განახლება

მიმოსვლა ხონსა და ქუთაის შორის, რომელიც შეწყვეტილი იყო დიდი წვიმებისა და მდინარეების ადიდების გამო, განახლდა.

მევახშე ჟორჟოლიანი დაპატიმრებულია

ჩვენი გაზეთის 6 მაისის ნომერში, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მოთავსებული იყო (ინსპექციის ფურცელში) წერილი სათაურით „ყოფნა არ ყოფნა". წერილი შეეხებოდა ქუთაისელ მევახშე შამლეტ ჟორჟოლიანს, რომელიც ცოლის სახელით გაჭირვებულ მოქალაქეებზე ასესხებდა ფულებს ზღაპრულ პროცენტებში. მაგ. მოქ. ზუაჩიძეს ასესხა 1.000 მან. და წლიური პროცენტის სახით გადაახდევინა 720 მანეთამდე.

თქვენს თანამშრომელს აცნობეს, რომ შამლეტ ჟორჟოლიანი დაპატიმრებულია და პასუხისგებაშია მიცემული.

საგლეხო სესხის ტირაჟი დასრულდა

(წერილი ქუთაისიდან)

კვირა დილაა. ამინდი ვერ არის კარგი და ამიტომ ზანტად იკრიბება ხალხი დილის გათამაშებაზე. მაგრამ შუადღიდან უკვე საბოლოოდ გამოიდარა და საბჭოთა მუშაკების კლუბსაც უამრავი ხალხი მოაწყდა.

სრულ 5 საათზე გაისმის თავმჯდომარის ზარი. კომისიის უკანასკნელ საზეიმო სხდომას გახსნილად აცხადებს ქუთაისის სამაზრო აღმასკომის სახელით ამხ. სერაფიონ ნამჩავაძე, რომელიც მოკლე სიტყვას უძღვნის საგლეხო სესხის მნიშვნელობას.

მის შემდეგ ტრიბუნას იკავებს პროფკავშირთა წარმომადგენელი, მტვირთავი მუშა ამხ. სხირელი, რომელიც სხვათა შორის ამბობს: „ის მოვლენა, რომ როგორც ინდუსტრიალიზაციის სესხმა მუშებში, ისე საგლეხო სესხმა გლეხობაში სწრაფი და ფართე გავრცელება ჰპოვა, მოწმობს, რომ საბჭოთა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში კვლავ ხელიხელჩაკიდებული ივლიან მუშები და გლეხები და მით უზრუნველყოფენ სოციალიზმის გამარჯვებას".

ადგილობრივი სამაზრო პარტკომის სახელით დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ამხ. ს. მინდაძემ.

КМОСК
ГОСБАНКА
სახელმწიფო ბანკის კიოსკი, სადაც სწარმოებს მოგებათა გაცემა და ცნობების მიცემა

— გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-51 სერიის ტირაჟი ქუთაისში,—ამბობს ამხ. ს. მინდაძე,—საუკეთესო მაჩვენებელია იმის, რომ საქართველოს მშრომელი მასები, კერძოთ კი ქუთაისის მაზრის მშრომელი გლეხები საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებთან ერთად მჭიდრო კავშირში აშენებენ სოციალისტურ მეურნეობას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა დიდ კავშირს უხდება ცხოვრება კაპიტალისტურ გარემოცვაში, ჩვენი სახალხო მეურნეობა მაინც ვითარდება და მტკიცდება, მტკიცდება იმიტომ, რომ სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს არა მარტო მუშათა კლასი, არამედ მშრომელი გლეხობაც. ამის საუკეთესო ილიუსტრაციაა თუნდა ქუთაისი და მისი მაზრა, რომელმაც როგორც ინდუსტრიალიზაციის, ისე საგლეხო სესხის რეალიზაციის საქმეში ზოგ სხვა მაზრებთან ერთად პირველი ადგილი დაიკავა; აქ დამსწრე დელეგატი გლეხები მოძმე რესპუბლიკებიდან შინ დაბრუნებისას აუხსნიან თავიანთ თანამოძმე კავ-სახნისზე მომუშავე გლეხებს, თუ რამდენად უკეთესია და სასარგებლო გლეხთა საერთო მეურნეობისათვის ობლიგაციათა დიდი ხნით შენარჩუნება და ცდა, რომ იგი ხელთ არ ჩაუვარდეს სოფლად ბოზოლებსა და კულაკებს".

შემდეგ სიტყვებით გამოვიდენ რკინის გზის მუშებიდან—ამხ. კუკულავა, წითელი არმიიდან ქასრაშვილი, სიღნაღელ გლეხთა დელეგატი ამხ. ქადაგაშვილი, ბარიტის ქარხნიდან—ჩაჩატუროვი, საკავშირო ფინსახკომის წარმომადგენელი ამხ. არეფიევი, ა.-კ. ფინსახკომიდან საფარიანი და აზერბეიჯანის გლეხთა სახელით ამხ. ალი ტანბერი ვერდი-ოღლი, რომელმაც შემდეგი სიტყვებით მიმართა საზოგადოებას: „ამხანაგებო, ჩვენ კიდევ ამ 7-8 წლის წინად არ ვიცნობდით ერთმანეთს, არ ვიზიარებდით ერთმანეთის ჭირ-ვარამს, რადგან ამიერ-კავკასიის მოძმე ქვეყნებს შორის წყეული ბურჟუაზია, მეფის მთავრობა და მენშევიკ-მუსავატ-დაშნაკლები იდგენ. დიდი ოქტომბრის მეოხებით დღეს ჩვენ ძმურად ვართ და ძმურადვე ხელიხელ ჩაკიდებული ვეწევით თავისუფალსა და ნაყოფიერ მუშაობას მოძმე რესპუბლიკებისა და მთელი მსოფლიო მშრომელი კლასის საკეთილდღეოდ. დღეს ყველაფერი, რასაც აქ ვხედავთ, განა საკმაო დამამტკიცებელი საბუთი არაა იმისა, რომ პოლიტიკურად აწ ჩვენ ვერავინ განგვათვისებს და ეკონომიურადაც ვერ დაგვაქვეითებს! გაუმარჯოს ჩვენს ფედერაციას! გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს! გაუმარჯოს სოციალიზმს!—დაამთავრა სიტყვა ამხ. ტანბერი ვერდიმ.

სიტყვები შესწყდა. იწყება 500 და 1000 მანეთიან მოგებათა გათამაშება.

ხუთი მოგება 500-500 მანეთიანი ხვდა ნომრებს: 286,421; 077,504; 186,320; 119,478; 092,951.

1000 მანეთიანი მოგება ხვდა 111,526 ნომერს.

ადგილობრივი სამფინგანის სახელით, როგორც დამსწრე საზოგადოებას, ისე კომისიის წევრთ და ტექნიკურ შემადგენლობას მადლობას უცხადებს ამხ. ვ. ჯანელიძე, რის შემდეგ სხდომა იხურება.

კიდევ დიდ ხანს არ იშლებიან შეკრებილი გლეხები და მუშა-მოსამსახურენი.

ყველა კმაყოფილია. მივდივარ საკავშირო ფინსახკომის რწმუნებულ ამხ. არეფიევთან; თქვენი აზრი?

— ო, დღევანდელივით დარი რომ გუშინ და გუშინ წინ ყოფილიყო, უკვე ვიცი, თუ რა იქნებოდა,—მრავალმნიშვნელოვნად ამბობს იგი.

ნელ-ნელა იშლება ხალხი, ხმა-მაღლა უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.

გ. რიონიძე.

ქუთაისი, 17 ივნისი.

საქართველოს მოსახლეობის ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს ცნობით უკანასკნელ წლების განმავლობაში საქართველოს ქალაქების მოსახლეობა შესამჩნევად გაიზარდა.

1922 წელს საქართველოს ქალაქებში ირიცხებოდა 502.268 სული. 1926 წელს კი, საკავშირო აღწერის დროს, ითვლებოდა 579.428 სული. ამრიგად ოთხი წლის განმავლობაში ქალაქების მოსახლეობა გაიზარდა 15 ნახევარ პროცენტით.

ეროვნებების მიხედვით 1922 წ. ქალაქების მოსახლეობის 46 პრ. შეადგენდა ქართველობა, სომხები შეადგენდენ 27 პროც., თურქები — 1 პროც., რუსები, უკრაინელები და ბელორუსები 12 პროცენტს, დანარჩენი ეროვნებების— 12 პროცენტს.

საკ. აღწერის დროს საქართ. ქალაქების მოსახლეობის 48 პროც. შეადგენენ ქართველები, 24 პროც. სომხები, 1 პროც. თურქები, 13 პროც.—რუსები, უკრაინელები და ბელორუსები; დანარჩენი ეროვნებანი—14 პროც.

საქართველოს სოფლის მოსახლეობის საერთო რიცხვი სასოფლო-სამეურნეო აღწერის დროს—1923 წელს უდრიდა 1.936.672 სულს, ხოლო 1926 წელს,—2.072.231 სულს. სამი წლის განმავლობაში სოფლის მოსახლეობის რაოდენობა გაზრდილა 7 პროც.

სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს სოფლის მოსახლეობის ასე მცირე რაოდენობით ზრდა, აიხსნება იმით, რომ სოფლად მიწების სივიწროვის გამო გლეხები ეტანებიან ქალაქს,—რაც იწვევს ქალაქის მოსახლეობის სწრაფ ზრდას სოფელთან შედარებით.

გეოლოგიური და ჰიდროლოგ. სამუშაოთა გეგმა

ა.-კ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დადგენილებით, ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის უწყება-დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ გეოლოგიურ, ჰიდრო-გეოლოგიურ და გეოლოგიურ-კვლევითი სამუშაოებს, ვალდებული არიან ამ სამუშაოთა გეგმები ყოველწლიურად წარადგინონ სათანადო რესპუბლიკის საგეგმო კომისიაში 1 მარტისთვის.

გეგმაში აღნიშნული უნდა იყვეს სამუშაოთა ობიექტების სია; იმ რაიონების აღწერა, რომელშიაც სწარმოებს ეს მუშაობა; დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვა და მუშაობის წარმოების წესი, ხარჯთაღრიცხვაში ნაჩვენები უნდა იქნეს გეოლოგიური პერსონალის და მუშების შესანახავი ხარჯები, საგზაო და დღიური ხარჯები, გეოლოგიური ინსტრუმენტების, ხელსაწყოს და წიგნების შეძენის და გამოკვლევითი ნაშრომების გამოცემის ხარჯები.

გეგმას უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, რომელშიაც დასაბუთებული უნდა იყვეს განზრახული სამუშაოთა შესრულების აუცილებლობა.

რესპუბლიკანური საგეგმო კომისიები ვალდებული არიან აღნიშნული გეგმები წარადგინონ ა.-კ. საგეგმო კომისიაში 1 აპრილისთვის. ხოლო ა.-კ. საგეგმო კომისია ამ გეგმებს წარადგენს დასამტკიცებლად ა.-კ. ეკონომსაბჭოში 15 აპრილისათვის.

საკურორტო სეზონი ბორჯომში

ბორჯომის საკურორტო სამმართველოს ცნობით, საკურორტო სეზონის გახსნისათვის მზათ არის ბორჯომის საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში მყოფი ყველა სამკურნალო დაწესებულებანი. დამთავრებულია ფიზიოტერაპევტიული ინსტიტუტის შენობის აგება. ეს ინსტიტუტი მოწყობილია საზღვარგარეთიდან მიღებულ საქიმიო აპარატებით. ინსტიტუტთან მოწყობილია რენტგენოლოგიური, ელექტრო-სამკურნალო და ინგალატორული კაბინეტები. ინსტიტუტთანვე იწარმოებს ჰიდროპატიური პროცედურები; იმუშავებს მინერალური, ნახშირმჟავა და ტალახის აბანოები.

მიმდინარე სეზონში ფიზიოტერაპევტიული ინსტიტუტი ჩაატარებს 60.000 პროცედურას. საკურორტო სამმართველოს ბორჯომში მოწყობილი აქვს კუჭის სანატორიუმი 80 საწოლით, 2 პანსიონატი და სასტუმრო; 15 ივნისიდან აამუშავდება პოლიკლინიკაც.

გარდა ამისა ბორჯომის საკურორტო სამმართველოს განკარგულებაში იმყოფება ერთი პანსიონატი კვებით 50 საწოლით წაღვერში და ერთი 50 საწოლიანი ტუბერკულოზის სანატორიუმი პატარა-ცემში. პანსიონატებსა და სანატორიუმებში მიმდინარე სეზონში გატარებული იქნება დაახლოვებით 750 კაცი.

აღნიშნულ სამკურნალო დაწესებულებებში ავადმყოფებს აგზავნიან საბჭოთა რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებთან არსებული საკურორტო ბიუროები.

ყოველგვარ სამკურნალო დახმარების ფასები წელს გასულ სეზონთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია.

ქრონიკა

მუშკოოპის მიტინგი-გამოძახება

მუშკოოპის მიტინგ-გამოძახების საერთო ს. ქალაქო კრების ჩამტარებელი ცენტრალური საქალაქო კომისია აცხადებს ყველა უჯრედების ბიუროების, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების, კოოპერატიულ კომისიების, ეკონომ-კომისიების, ქალთა კომისიების და ახ. ლ.კ.კ. აქტივის საყურადღებოთ, რომ დღეს 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში შესდგება მოხსენება კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ; კრება მოწვეულია საპაიო კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით.

ახალი სატრიკოტაჟო ფაბრიკა

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა სცნო, რომ ამიერ-კავკასიაში სატრიკოტაჟო ფაბრიკის ასაგებად ყველაზე უფრო მოსახერხებელი პუნქტია თბილისი.

ფაბრიკაში დამზადებული იქნება აბრეშუმის წინდები. ფაბრიკა შეუდგება აგრეთვე წინდების დამზადებას ადგილობრივი მატყლიდან.

კრედიტები კოლმეურნეობებს

ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა აუცილებლად სცნო კოლმეურნეობათათვის კრედიტების მიწოდების ფონდები დაარსებული იქნეს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკებთან.

ძეგლი ზაჰესის აღმშენებლობაზე დალუპულ მუშებს

აღმშენებელთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გადასწყვიტა ზაჰესის აგების დროს სხვადასხვა შემთხვევების გამო დალუპულ მუშებს აუგოს ძეგლი ზაჰესის ახლოს. ამ მიზნით გამგეობამ სათანადო შუამდგომლობა აღძრა ზაჰესის დირექციის წინაშე.

საბინაო მშენებლობა

საქართველოში საბინაო მშენებლობის გასაძლიერებლად საკავშირო საშუალებებიდან გადადებული იქნა 1.215.000 მანეთი. ეს თანხა ადგილებს შორის განაწილებული იქნება შემდეგი სახით: 100.000 მანეთი გადაეცა სატყეო მრეწველობის ტრესტს ბორჯომში მუშათა სახლების ასაგებათ; აბრეშუმის ტრესტს ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის მუშების სახლის ასაგებათ მიეცა 50.000 მ.; თბილისის აღმასკომს—640.000 მ.; სოხუმის—50.000 მან.; ბათუმის—50.000 მან.; ცხინვალის—30.000 მ.; ქუთაისის—50.000 მან.; გორის—50.000 მან., გარდა ამისა საბინაო კოოპერაციას მიეცა—195.000 მან.

შრომის სახ. კომისარიატს დაევალა პროფსაბჭოსა და საბინაო კოოპერაციასთან ერთად შეიმუშაოს აღნიშნულ თანხების საბინაო-კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის განაწილების პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სახკომსაბჭოს.

ინსტრუქტორთა ყრილობა

25 ივნისს თბილისში მოწვეულია საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ინსტრუქტორთა რესპუბლიკანური ყრილობა.

ყრილობა განიხილავს შემდეგ საკითხებს. კოოპერაციის საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები, სავაჭრო აპარატის და საქონლის გამტარებელი ქსელის რაციონალიზაცია, ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება. საპაიო კამპანიის შედეგები, კულტურული მუშაობის საკითხები და სხ.

ამ საკითხებს გარდა, ყრილობა მოისმენს მოხსენებებს სამომხმარებლო კოოპერაციის მთელი სისტემის და ინსტრუქტორების მუშაობის შესახებ.

ახალი სანატორიუმი

ამიერ-კავკასიის სოცდაზღვევის მთავარმმართველობა აბასთუმანში აგებს ახალ სანატორიუმს 150 საწოლით. სანატორიუმის აგება და მოწყობა დამთავრდება მიმდინარე წლის ბოლოს.

ცნობების მიღების გასააღვილებლად

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა 18 ივნისიდან ა.-კ. შრ. სახ. კომისარიატში შემოიღოს კომისარიატის კოლეგიის წევრების და პასუხისმგებელ თანამშრომლების მორიგეობა: მუშაობის დღეებში—საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე, ხოლო კვირა-უქმე და დასასვენებელ დღეებში—დილის 11 საათიდან 1 საათამდე.

ეს ზომა მიღებულია მშრომელთა ფართო მასებისათვის შრომის, სოცდაზღვევის და სხ. საკითხების შესახებ ცნობების მიცემის გაადვილების მიზნით.

თათბირი მებამბეობის საკითხებზე

25 ივნისს თბილისში გაიხსნება თათბირი ამიერ-კავკასიის მებამბეობის საკითხების შესახებ. თათბირში მონაწილეობას მიიღებენ ა. კ. ყველა რესპუბლიკანურ მებამბეობის კომიტეტების წარმომადგენლები, ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის ბამბისა და ზეთსახდელ ქარხნებისა და ამიერ-კავკასიის მებამბეობის სხვა დიდ წარმოებათა გამგეები.

შაქრის ჭარხალი

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, შაქრის ჭარხლის გასაშენებლად გორის მაზრაში გადადებულია 16.000 მანეთი.

ჭარხლის საცდელ მეურნეობებისათვის გორის მაზრაში გამოყოფილია შემდეგი ნაკვეთები: გომში—3 დესეტინა, მოხისში—ერთი მერვედი დესეტინა, წნორში—ერთი მეოთხედი, ნადარბაზევში ერთი მეოთხედი, ქვენატკოცაში—ნახევარი, გორის მიდამოებში—ერთი მერვედი, ახალსოფელში—ერთი მეოთხედი, და შავშებში—ერთი მერვედი დესეტინა.

თბილისის აღმასკომში

◆ **გარე უბნების განათება.** თბ. აღმასკომმა დაამტკიცა გარე უბნებში განათების მოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

◆ **ტაბახმელის სკოლის** შენობის ასაგებათ თბილისის აღმასკომმა გადასდო 1,575 მანეთი.

◆ **მუშათა თეატრის** შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 6.962 მანეთი.

◆ **ახალი აგარაკი.** ნორიოს თემში აგარაკის მოსაწყობათ გადაიდო 2.680 მანეთი.

პროფკავშირებში

◆ **აფხაზეთის შრომის სასახლის** შესაკეთებლად პროფსაბჭომ სახკომსაბჭოსაგან გამოითხოვა 6.000 მანეთი.

◆ **კვალიფიციურ მუშა-ხელის** მოსამზადებლად პროფსაბჭომ გამოჰყო ცალკე კომისია.

◆ **ავტო-კლუბის საზაფხულო ბაღის** მოსაწყობათ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირმა გადასდო 1.000 მანეთი.

◆ **რკინისგზელთა ყრილობა.** ამიერ-კავკ. რკინისგზელთა ყრილობა შესდგება სექტემბრის შუა რიცხვებში.

განათლების კომისარიატში

◆ **ახალი სკოლა.** განათ. კომისარიატი სოფ. სანორავიო-სანაყოფიოს თემში აგებს შენობას 4 წლედისათვის.

◆ **სკოლის შენობის განთავისუფლება.** განათლების კომისარიატმა დაადგინა სკოლის შენობებიდან გამოსახლებული იქნეს კერძო მდგმურები მომავალ სასწავლო წლიდან სკოლების გაფართოების მიზნით.

სხვადასხვა

◆ **ებრაელთა მიწადმომწყობი საზოგადოება** 18 ივნისიდან შეუდგა იმ მშრომელ ებრაელთა აღრიცხვას, რომელთაც სურთ ხელი მოჰკიდონ სასოფლო მეურნეობას. აღრიცხვა სწარმოებს ველიამინოვის ქ. № 20.

◆ **მუშათა ახალი სახლი.** დიდუბეში დაიწყო რკინისგზელთა ახალი სახლის აგება.

◆ **გამოფენა.** თბ. 1-ლ სამრეწველო-ეკონომიურ (კეცხოვ. ქ. № 12) გაიხსნა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც გაგრძელდება 24 ივნისამდე. დათვალიერება შეიძლება დღის 10 ს. საღამოს 5 ს.

შემთხვევები

რეციდივისტების დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა: სარქის ბოღოსის ძე ნაზაროვი (მცხ. უნივერსიტეტის ქ. № 16), მიშა მურადოვი (უბინაო), რუსტამ მეჯა-ოღლი და ალექსი არშაკის ძე კარახანოვი, რომლებსაც ბრალდებათ ბინებისა და მაღაზიების გაქურდვა.

თვითმკვლელობა

გუშინწინ, ღამით, იაკობ ისმაილის ძე ეცზიროვმა (მცხ. ზებუთოვის ქ. № 22) თავის ბინაზე „ბრაუნინგის“ რევოლვერით მოიკლა თავი. თვითმკვლელობის მიზეზი ირკვევა.

თვითმკვლელობის განზრახვა

— გუშინწინ, ანეტა სიმონის ასულმა სიმონიამ (მცხ. დუხოვის ქ. № 3) თვითმკვლელობის მიზნით დალია მარგანეცის ხსნარი. სიმონიას ქალს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში. თავის მოწამვლის მიზეზი—ოჯახური უსიამოვნებაა.

— გუშინ იოდით თავი მოიწამლა ქსენია ილარიონის ასულმა ნათელაშვილმა (მცხ. ზელინსკის ქ. № 35). ნათელაშვილი სიკვდილს გადაარჩინეს. თავის მოწამვლის მიზეზი ირკვევა.

— კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა ხინა სტეფანიანცმა (მცხ. ურიცკის ქ. № 7). სტეფანიანცს პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

დაჭრა ბანქოს თამაშის დროს

გუშინ დილის 5 საათზე ბანქოს თამაშობის დროს „ჟოკეი-კლუბში“ (ყოფ. „არტო“) სანდრო ჩიქოვანმა რევოლვერით მარჯვენა ხელში დასჭრა ესტატე ბარგას ძე მონიავა (მცხ. ელბაქიძის დაღმართზე № 9).

ჯიბგირობა

გუშინწინ, დილისით, ვასილ ქათამაძეს ვიღაც ჯიბგირმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა ოქროს საათი; გაიანე ტატილოვას ხაზინის შენობაში რედიკულიდან მოჰპარეს 70 მანეთი,—ალექსანდრე ნარზაროვს ვიღაც უცნობმა პირმა ამოაცალა 245 მანეთი და სხვადასხვა საბუთები.

ქურდობა

გუშინწინ, გაქურდეს პარმენ არჩვაძის რესტორანი (ლენინის ქ. № 32), წაიღეს 170 მანეთი და ოქროს ბეჭედი;გაქურდეს ნატალია ნაუმოვას ბინა (გოგოლის ქ. № 66), წაიღეს 622 მანეთის ნივთები;—გაქურდეს წითელ ჯვრის კლუბი „კაზინო“ (რუსთაველის პროსპ. № 21), წაიღეს 250 მანეთის ნივთები.

გუშინწინ, ღამით, გაქურდეს ილია ტიმოფეევის ბინა (ლენინის ქუჩა № 14), წაიღეს სხვადასხვა ნივთები;—გაქურდეს დავით კახენელაძის რესტორანი (რუსთაველის პროსპ. № 10), წაიღეს 70 მანეთის ნივთები—გაქურდეს მირზა ოღლის ბინა (მერკვილაძის ქუჩა № 20), წაიღეს 100 მანეთი.

სასამართლო

„ნუ მომკლავთ და ყველაფერს ვიტყვი“!

ეს სამწუხარო ამბავია, უსათუოდ. მკითხველს გაუჭირდება იმის დაჯერება, რომ ასეთი აღმაშფოთებელი ამბავი ხდება საბჭოთა ხელისუფლების დროს და რომ ასეთ სისაძაგლეს ჩადიან მილიციის პასუხისმგებელი მუშაკები.

დავიწყოთ თავიდან.

ამა წლის იანვრის ბოლო რიცხვებში ქ. თელავში გაქურდეს კოოპერატივი. თელავის მილიცია შეუდგა ბოროტმოქმედთა აღმოჩენას.

ეჭვით დაპატიმრებულ იქნა ვართან გულიევი. უფროსმა მილიციელმა **სერგო ლანდიამ** იკისრა გულიევის გამოტეხა და საქმის გახსნა.

მომართა მაუზერი და ხახაში ჩაუდო გულიევს.

— თუ იტყვი, რომ შენ გაქურდე კოოპერატივი, გადარჩები სიკვდილს, არა და ხომ იცი, რამდენი შენისთანა გამიგზავნია საიქიოს.

— როგორ ვსთქვა, როცა არაფერი ჩამიდენია!...

ლანდიამ მაუზერი ფეხზე შეაყენა და ერთი მაგარი სილა უთავაზა გულიევს.

— ნუ მომკლავთ და ყველაფერს ვიტყვი!.. მე მოვიპარე, მე გავსტეხე კოოპერატივი,—კანკალით ლაპარაკობს შეშინებული გულიევი.

—მარტო ხომ ვერ წაიღებდი ამდენ საქონელს?ეხლა დაასახელე ვინ იყო კიდევ შენთან.

რა ქნას, ვინ დაასახელოს! როცა არაფერი იცის! გაჩერდა მოქალაქე. ვერავის ვერ ასახელებს. ამ დროს მაუზერის ლულა ცხვირში მოხვდა გულიევს. ითქრიალა სისხლმა.

— არმაკა სარქისოვი... სერგო არუთინოვი. ბუდაღა აბგაროვი...,—დაასახელა უდანაშაულო პირები გულიევმა. გაუჭირდა, „სული მწარეა!“

ყველა ზემოდ დასახელებული პირები ლანდიამ მორეკა სამაზრო მილიციაში. სადაც იმ დროს ბრძანებლობდა მარქაფის უფროსი **მიხეილია საკისძე ხახუტაშვილი.**

აიყვანეს პატიმრები ზემო სართულში. ხახუტაშვილმა და ლანდიამ გაინაწილეს შრომა პატიმრების გამოსატეხად. ერთი ურტყამდა შუბის ნაჭერს, მეორე თოფის კონდახს. პატიმრები შეიღებენ სისხლით, მაგრამ კიდევ ჰყოფნით გამძლეობა და არ „ტყდებიან“.

— აბა თოკები!—დაიძახა ლანდიამ. უნტროსმა თანამშრომელმა **შავაძემ** თვალის დახამხამებაში შეკრა ყველა პატიმრები და დასაჭედ ხარებივით დააგორა იატაკზე.

ეხლა უკვე „გამოტეხა“ დაიწყო სხვადასხვა „მეთოდებით“: ნემსების ჩხვლეტით, თმების წიწკნით, ფეხებით შედგომით.

— ნუ მომკლავთ; ჩვენ ვქენით ყველაფერი!—ბღაიან გაბაწრული პატიმრები.

შეტანილ იქნა ოქმში: „სცნეს რა თავი დამნაშავედ“ და სხვ.

— აბა ეხლა დაასახელეთ, ვის მიჰყიდეთ ნაქურდალი საქონელი?

დაიწყო ისევ წამება, ცემა.

— არავინ გყავს შორებელი ნაცნობი? დაასახელე თორემ ხომ ხედავ არ გზოგავენ!

პატიმრებმა დაასახელეს: მესხიშვილი, ბაბუეი, კონაშვილი და სხვ.

მორეკეს ისინიც საპატიმროში. ისინიც „გამოსტეხეს ასეთივე „მეთოდებით“.

სულ ყველა ერთად დარაზმული გადაუგზავნეს მაზრის პროკურორს. გამომძიებელი ჭკუიდან კინაღამ შეიშალა, როცა დაინახა ამდენი დალურჯებული და დასისხლიანებული ხალხი.

პატიმრებმა უამბეს თავიანთი თავგადასავალი და ითხოვეს შველა.

„გამოტეხილ“ გლეხების მაგიერ, საბრალდებლო სკამზე წამოსკუპდნენ მილიციელები: **ლანდია, ხახუტაშვილი და შავიძე.**

თელავის მაზრის სასამართლომ ლანდიას და ხახუტაშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა სამ-სამი წლით. მათ სამუდამოდ ეკრძალებათ ადმინისტრატიულ თანამდებობის დაკავება. შავიძეს მიესაჯა პირობითი სასჯელი 2 წლის ვადით.

გერ.

ვის გამოერთვა სახლები

(16 ივნისს გამოტანილ გადაწყვეტილებებით)

ქსენია ზედგინიძეს (დავითაშვილის ქ., 28), ეკატერინე ვასილიევას (ამაღლების ალმ., 4); ოგანეს მებიიანს და ტერ-არუთინოვს (დავითაშვილის და ჯულაშვილის ქუჩ. კუთხე, 2-23), ნინა სამარჩიანცს (კოჯორის ქ., 6); პავლე ასტვაცატუროვს და სხვ. (ოქროყანის ქ., 27); არშან, ანა, ავეტის და მარია ნაზარეტიანებს (ჭონქაძის და ლერმონტოვის ქ. კუთხე, 13-26); მარია დემენტიევას (კოჯორის ქ., 13); ანასტასია მარენიანს კოჯორის ქ., 4); ნინა ეგიაზაროვს (ელიავას ქ., 4); თამარა კაკიევას და სხვ. (დავითაშვილის ქ., 3); იოსებ ნონიკაშვილს, ონისიმე ფანცულაიას და სხვ. (ვაჟა-ფშაველას და ჭონქაძის ქ. კუთხე 16-8); თამარა ჯორჯაძეს (დავითაშვილის ქ., 17); სვიმონ ორდუხანოვს (ლერმონტოვის და ჯულაშვილი ქ. კუთხე, 23-2); ნატა თუმანოვს (სოლოლის შესახ., 2); ფერდინანდ ოტენს (აღმასკომის, ყოფ. სოლოლაკის ქ., 8); იაკობ ზუბალოვს (რუსთაველის პროსპ., 8, შენობა, რომელშიაც მოთავსებულია გაზ. „ზარია ვოსტოკა“); მიკირტიჩ თამამშევს (მახარაძის ქ., 5); იოსებ არამიანცს (მაჩაბლის ქუჩა, 6); მარიამ კარაჯაევს (მახარაძის ქ., 12); კონსტანტინე მდივანს (რუსთაველის პროსპ., 12); ადამ შახბარონოვს (აღმასკომის, ყოფ. სოლოლაკის ქ., 10); გრიგოლ მაკაროვს (მახარაძის ქ., 3); მაჩეხინს და ფილერს (ფოთის ქ., 7); ამალია შვირბლისს (ფოთის ქ., 10); ბერტა ვილსს (პლეხანოვის პრ., 185); ფრანკენ ბრუნოს (1-ლი თუმანოვის, 23); ფრიდრიხ პალს (პლეხანოვის პრ., 35).

ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული

ფიზკულტურის წრეების ხელმძღვანელთა საყურადღებოთ

საქართ. პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებული ფიზკულტურის ბიურო კავშირების ფიზკულტურის წრეების ხელმძღვანელთა საყურადღებოთ იტყობინება, რომ ოთხშაბათს, 20 ივნისს, დილის 10 საათზე მოწვეულია ფიზკულტურის წრეების ხელმძღვანელთა თათბირი.

მეზობელ რესპუბლიკების ფიზკულტუროსნების შეხვედრა

პარასკევს, 22 ივნისს, დილის 10 საათზე თბილისის სადგურზე მოხდება ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილეობის შესაძლებად მეზობელ რესპუბლიკებიდან ჩამოსულ ფიზკულტუროსნების შეხვედრა. ყველა თავისუფალი ფიზკულტუროსნები ფორმაში გამოწყობილნი თავს იყრიან სადგურზე დილის 9 ნახ. საათზე.

ბირთვის კამერა

ამავე დღეს, ნაშუადღევის 5 საათზე ლენინის სახ. სტადიონზე შესდგება საერთო რეპეტიცია თავისუფალ ვარჯიშში. აღნიშნულ დროისათვის ყველა წრეები უნდა გამოცხადდენ მოედანზე.

დღესასწაულის მონაწილენი

ა. კ. ფიზკულტურის დღესასწაულში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ა. კ. ფედერაციაში შემავალ ცალკე რესპუბლიკების ფიზკულტუროსნების ჯგუფებს (საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის). უცხოეთის მუშათა სასპორტო ორგანიზაციები და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები დღესასწაულში მონაწილეობას იღებენ როგორც სტუმრები.

აღნიშნულ დღესასწაულში სამივე რესპუბლიკებიდან მონაწილეობას მიიღებენ როგორც პროფკავშირები, აგრეთვე წითელი არმიის ნაწილები, საჰაერო და საზღვაო ფლოტი, უმაღლესი სასწავლებლები, პირველი და მეორე საფეხურის სკოლები, პიონერთა ორგანიზაციები და „დინამო“. თვითეულ რესპუბლიკებიდან დღესასწაულში მონაწილეთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს 250, ხოლო არ უნდა იყოს 200 კაცზე ნაკლები.

დღესასწაულში მასიურ სანახაობით ნაწილში ა. კ. რესპუბლიკებს უფლება აქვთ გამოჰყონ მონაწილეთა იმდენი რაოდენობა, რამდენიც საკმაო იქნება ეროვნული ან სხვა განსაკუთრებული ფიზკულტურული ხასიათის დემონსტრაციისათვის. თუ დღესასწაულში მონაწილეთა რაოდენობა ცალკე რესპუბლიკებიდან აღემატება 250 კაცს, მაშინ მათი გაგზავნა ხდება გამგზავნი რესპუბლიკის ხარჯზე.

სავალდებულო შეჯიბრებებში ა. კ. რესპუბლიკები გზავნიან თითო ნაკრებ გუნდს, ნაკრებ გუნდის შემადგენლობა თითოეული რესპუბლიკისათვის არ უნდა იყოს 150 კაცზე მეტი. არა სავალდებულო შეჯიბრებებში ა. კ. პირველობაზე თითოეულ რესპუბლიკას შეუძლია გამოიყვანოს 90 კაცი.

სანახაობა

ა. კ. ფიზკულტურის დღესასწაულის სანახაობითი ნაწილი შეიცავს მასიურ თავისუფალ ვარჯიშს, სპორტის ეროვნული სახეების, ჯგუფურ ვარჯიშის, ცეკვის და სხვადასხვა სპორტიულ თამაშობათა დემონსტრაციას, რომლითაც უნდა გაიხსნას დღესასწაულის ცილობანი.

შეჯიბრებანი

სავალდებულო ჯგუფური შეჯიბრებების პროგრამაში შეტანილია ფიზკულტურის შემდეგი დარგები:

ფეხბურთი, კალათბურთი, (ვაჟთა და ქალთა), ფრენბურთი (ვაჟთა და ქალთა), ტენისი, მსუბუქი მძლეოსნობა (ვაჟთა და ქალთა) ველოსპორტი (ვაჟთა), ცურაობა (ვაჟთა და ქალთა). მძიმე მძლეოსნობა (გირები, ჭიდაობა, ბაწრის მოზიდვა).

დაჯილდოვება

სავალდებულო შეჯიბრში გამარჯვებულ გუნდს მიეცემა ამიერ-კავკასიის ცაკის გარდამავალი ჯილდო. გარდა ამისა, მას მიეცემა აგრეთვე 8 მუდმივი ჯილდო კომპლექსურ ვარჯიშის ყველა იმ დარგში, რომელიც აღრიცხული იქნება ამიერ კავკასიის პირველობის გამოსარკვევად.



ბადროს ტყორცნა

ინდივიდუალურ შეჯიბრში (არა სავალდებულო ნაწილში) მონაწილენი, რომელნიც პირველ სამ ადგილს დაიკავებენ პროგრამის ცალ-ცალკე ნომრებში, დაჯილდოვებული იქნებიან სათანადო დიპლომებით.

დღესასწაულში მონაწილე ფიზკულტუროსნები სახსოვრად მიიღებენ ა. კ. ფიზკულტურის დღესასწაულის ნიშნებს.

სატირის თეატრი

თბილისის სატირის თეატრის კოლექტივი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. კოლექტივში ირიცხება 18 კაცი; კოლექტივის შემადგენლობა: **ვ. სიხარულიძე, მ. ვარდოშვილი, მ. გულიაშვილი, კ. დოლიძე, რ. მაღალაშვილი, ლ. როთვეული, ივ. კიკაჩეიშვილი, ტ. გაგუა, [illegible] ილურიძე.**

ქალები: **ი. იდილი, ნ. გერმანელი, თ. მარიჯანი, თ. ჭავჭავაძე** (აკომპანიმენტი).

კოლექტივის რეჟისორი და სამხატვრო ნაწილის გამგე **ნ. კახიძე,** რეჟისორის თანაშემწე—**ა. ციციაშვილი.**

კოლექტივის ხელმძღვანელია—**გ. ბუხნიკაშვილი.** მხატვარი—**კარველი.**

თეატრი ამ დღეებში პლეხანოვის სახ. კლუბში გამართავს საჯარო საჩვენებელ წარმოდგენას.

ამ თვის ბოლო რიცხვებში კი თეატრი წარმოდგენების გასამართავათ მიემგზავრება პროვინციაში. პირველი წარმოდგენა გაიმართება გორში.

თეატრი პროვინციაში წარმოდგენებს გამართავს ზაფხულის განმავლობაში. შემოდგომაზე თეატრი დაბრუნდება და მუდმივათ იმუშავებს თბილისში.

თეატრს აქვს საკუთარი დეკორაციები, ბუტა-ფორია და კოსტიუმები.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 19 ივნისი

დღეს, 19 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

გლეხთა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.

საუბარი მონადირეობაზე—ქართულ ენაზე.

მოხსენება ბავშთა უპატრონობაზე—ქართულ ენაზე.

როგორ უნდა იქნეს გამოყენებული საზაფხულო დასვენება და ფიზკულტურა ჯანმრთელობის აღსადგენად—მოხსენება რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

ემზადეთ მუშა, გლეხ. სამხედრო და ახალგაზრდა კორესპონდენტების საკავშირო მეოთხე თათბირისათვის—მოხსენება რუსულ ენაზე.

გაზეთი „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

მეცნიერება და ტეხნიკა

კალია კალიის წინააღმდეგ

კალიასთან ბრძოლის თანამედროვე საშუალებები (კალიის დაშინება ხმაურობით, კალიით შესეულ ადგილების შემოთხრილვა, ჩანასახების მოსპობა და სხვ.) ყოველთვის ვერ აღწევენ მიზანს. უფრო მიზანშეწონილია კალიის მოსპობის ის მეთოდი, რომელიც უკანასკნელ ხანებში შემუშავდა სამოქალაქო ავიაციის განვითარებასთან ერთად და რომელიც მდგომარეობს კალიის მოსპობაში შხამიან ნივთიერებათა საშუალებით. მაგრამ ეს წესი ძლიერ ძვირი ჯდება და მისი გამოყენება ყოველთვის შეუძლებელია.

საბერძნეთში ყოველწლიურად დიდძალი ნათესები იღუპება კალიის წყალობით. ამიტომ, საბერძნეთის მთავრობა შეფიქრიანებული ყოველწლიური მრავალმილიონიანი ზარალით, უკვე დიდი ხანია შესაფერ საცდელ ლაბორატორიებში აწარმოებს ცდებს კალიასთან ბრძოლის საუკეთესო მეთოდების შესამუშავებლად.

ამ ცდების პროცესში საბერძნეთის მიწადმოქმედების სამინისტრო შეჩერდა ერთ მეტად საინტერესო მეთოდზე: კალიისთან საბრძოლველად გამოიყენეს არგენტინიდან გამოყვანილი ერთი ჯიშის კალია, რომელიც ნათესებს კი არ იკვებება, არამედ ისევ კალიას სჭამს. არგენტინის კალია ტანით დიდია და არაჩვეულებრივათ მსუნაგი, რის გამო დიდის რაოდენობით სპობს თავის ევროპიელ „თანამოძმეებს“.

ნარევი

მექანიკური ნოქარი

ნიუ-იორკის ერთმა დიდმა თამბაქოს მაღაზიამ შემოიღო საქონლის გაცემის მექანიკური წესი. ეს სისტემა გაცილებით სჯობნის ევროპაში და ამერიკაში ამჟამად ფართოდ გავრცელებულ ავტომატებს წვრიმალ საგნების გასაყიდათ. ნიუ-იორკის თამბაქოს მაღაზიაში შემოღებულ სისტემაში მექანიკურად ხდება ყველაფერი—ხურდის მიცემაც კი. მყიდველი ავტომატის ბუფეტში უშვებს ფულს და იქვე მოწყობილ სანიშნებელ დაფაზე აჭერს ხელს შესაფერ ფოლაქზე, რომლებითაც აღნიშნავს საჭირო საქონელს და მის რაოდენობას. ამის შემდეგ მანქანა მყიდველს აწვდის საჭირო საქონელსა და ხურდას. ამავე დროს ფონოგრაფი ამბობს: „მადლობას მოგახსენებთ“. ახალი სისტემის შემოღების შემდეგ შესაძლებელი შეიქნა ნოქრების რიცხვის შემცირება 75 პროცენტით. მექანიკური ვაჭრობა დიდ ინტერესს იწვევს შეერთებული შტატების სამრეწველო და სავაჭრო წრეებში, რომლებიც მასში ხედავენ სავაჭრო ხარჯების შემცირების ერთ-ერთ საშუალებას.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 19 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ: კვალიფიციურ მუშაკთა **პირველი სექციიდან:** სოფიო კაპანაძე, გიორგი ოქროპირიძე, კონსტანტინე კობახიძე, გიორგი შოშიანი, მ. მასურაძე, გიორგი მამევლაშვილი, სერგო გამსუფი, ალექსი სამხადიანი, აკაკი მელქულოვი, ელენე სუნდუკიანი, შალვა შალიკიანი, აბრამ მამულაშვილი, გიორგი ჩოფიკაშვილი, ნიკოლოზ ბრეგვაძე, ნიკოლოზ ძურთიევი, კარლო პოლსკი, ოგანეს მიქაელიანი, გიორგი შუბლაძე, ელენე ლორთქიფანიძე, ანნა აბრამია, ბარბალე ბეგუმოვა, ხატალია ალექულაშვილი, ალექსი უშვერიძე, ნიკოლოზ სურმანიძე, გურგენ გევორკოვი, ერმალოზ უნგაძე, გრ. ვართანიანი, ზაქარია ნახუცრიშვილი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** დავით ქომარია, ივანე ნაკაიძე, გიორგი სტეპანოვი, ოლღა ნიჟარაძე-კალანდაძისა,ვლადიმერ კუროჩკინი, ქეთევან კერესელიძე, მარიამ მიქაბერიძე, ვერა მინდაძე, ანასტასია ტრაიანოვა, დავით შარვაშიძე, ტერეზა პოტოვსკაია, ოლღა კუზნეცოვა, ანა მიქელაძე, ირინე სიტნიკოვა, ნინო ნინოშვილი, ანიდა აბრამიანი, სოფიო ტროიცკაია, დიმიტრი დიდებულიძე, აბრამ გიგაური, სოლომონ ნავროზაშვილი, იოსებ კაჭახიძე, პარმენ მიქელაძე, ვალერიან გაგნიშვილი, ანაირა ფეოდოსიევა, სურენ ბაღდასაროვა, ამასთან სექციას სჭირდება ერთი მემანქანე, უცხო ენების მცოდნე, ადლერის სისტემის მანქანაზე სამუშაოდ, მსურველებმა უნდა მიმართონ მეორე სექციაში ამხ. ნიკოლაიშვილს. **მედიკურ მუშაკთა სექციიდან:** ელენე ნიკოლაიშვილი, სოფიო ილურიძე, ელენე ჟუჟიაშვილი, და სირანუშ მეგრაბიანი. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ილია ნარჩემაშვილი, ვასილ ნოსოვსკი, ალექსი სანაკოევი, პეტრე დონდუა და ბორის მეგრაბიანი.

პარტიული კალენდარი

დღეს, 19 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის, კომუჯრედისა და კომკავშირის გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად

—:—

დღეს, 19 ივნისს, დღის 1-ლ საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტის ბიუროს სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ პროფკომის ფრაქციის წევრები და კომკავშირის უჯრედის მდივნები.

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების (ქ. დუშეთში) პიონერთა ახალშენის ხელმძღვანელნი: მაკალათია ბაქრაძე ნ., კვაზირიძე ე., ღლონტი ა., [illegible] ბერიძე ე., ჭოლოკავა ქ. და მეჟევიძე ე. მწუხარებას გამოსთქვამენ დაუვიწყარ [illegible]გის ამავე ახალშენის ხელმძღვანელ-აღმზრდელის

ქეთო მოსიკოს ასულ ცინცაძე-მეგრელიშვილის

უდროოთ გარდაცვალების გამო. 2774

თბილისის აღმასკომის განათლების განყოფილების საბავშვო ახალშენის (ქალაქ დუშეთი) პედაგოგიური კოლექტივი, კომკავშირის ბიურო და პიონერთა საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს ახალშენის აღმზრდელ-ხელმძღვანელის პედსაბჭოს წევრის

ქეთევან მოსიკოს ასულ ცინცაძე-მეგრელიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო. სამოქალაქო პანაშვიდი 19 ივნისს ახალშენის დარბაზში, დღის 1-ლ საათზე. 2775

დუშეთის საბავშვო ახალშენთან არსებული განათლების მუშაკთა კავშირის მე-2 ადგილკომი 74 თანამშრომელთა სახელით მწუხარებას გამოსთქვამს ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილ ხელმძღვანელ

ქეთო მოსიკოს ასულ ცინცაძე-მეგრელიშვილის

გარდაცვალების გამო და აუწყებს ყველას, რომ სამოქალაქო პანაშვიდი ახალშენის დარბაზში, დასაფლავების დღეს 19 ივნისს. 2773

გულმოკლულნი მშობლები: ფედოსი და მასიკო, დები: მანონ—ქმარშვილით, დარიკო, ფაჩა; ძმები: აკაკი—ცოლშვილით, კოლია, დიმიტრი; ბიძა ივანე, პიცოლა პელაგო—ბიძიკოთი აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა საყვარელი

კეთევან ცინცაძე-მეგრელიშვილისა

დაკრძალვა 19 ივნისს, დ. ჩოხატაურში. 2782

დამწუხრეაულნი: დედ-მამა იოსები და ფატმანი, დები: ანეტა, ვერიჩკა, ნინა, ოლღა მეუღლეებით და ოლიმპიადა, ბიძები: ალექსი, კოსტა, ტარასი ფარჯანაძეები, გიგო და სპირიდონ დვალები, ბიცოლები: პოლინე, კოწია, ეფროსინე, რიფსიმე აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ

ივლიანე იოსების ძე დვალის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება პატარა-ონში (რაჭის მაზრა) ა | წ. 20 ივნისს 2788

ჭრებალოს საექიმო უბნის გამგე ექიმი აპოლონ ძნელაძე და თანამშრომლები—ბებია ქალი თამარა კანდელაკი და აგრაფინა ხუციძისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ და მუდამ ჟამს დაუვიწყარ მედსანშრომის კავშირის თავმჯდომარეს ფარმაცევტ.

ივლიანე იოსების ძე დვალის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ა | წ. 20 ივნისს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე სოფელ პატარა ონში (დეპ)

მწუხარებით გულმოკლული მშობლები: ივანე და მარო ცხომელიძეები, შვილებით: დუდანა და მედეათი, ბებიები: პოლინე და კესა, ბიძები: პროკოფი მეუღლით და კოტე, მამიდები: პისტი და პოლია, დეიდები: ანეტა, კასინე, ეფრო, ჩატუ და ნინა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასეს და მუდამ დაუვიწყარ

პატარა ნათელა ივანეს ასული ცხომელიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვის დღე დანიშნულია სამშაბათი, 19 ივნისი, ქ. ოზურგეთში. 2771

---

16 ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

იასონ ილიას-ძე ამაშუკელი

რასაც მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მეუღლე ლიდა, შვილები: ნინა, ოლღა და პაშა, ნიკოლოზი, გერასიმე და პეტრე, რძლები: ეკატერინე და სონია, სიძეები პეტრე და გრიგოლ, შვილიშვილები: ვახტანგი, ირაკლი დ თემურაზი. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, მეორე თუმანოვის ქ. № 36. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2780

დამწუხრებული სეილან ივანეს ძე გოგიაძე შვილებით: გიორგი, აგრაფინა, ოლია და სიძე აკაკი გაბუნია აუწყებენ საზოგადოებას რომ დაუვიწყარ მასწავლებლის

ნადია სეილანის ასული გოგიაძის

ხსოვნის აღსანიშნავად ა | წ. 22 ივნისს პარასკევს 5 საათზე ქ. ქუთაისში ოლასკურას სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ნ. 1282

დამწუხრებულნი მეუღლე კესარია ალექსანდრეს ასული, შვილები იუსტინა, მიხეილი, თომა, გიტო, გიორგი, კალენიკე და ივანე ნინიძეები მეუღლებით და შვილებით აუწყებენ ნათესავთ, და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 16 ივნისს ნაგომარში (გურია) გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

ლევან გიორგის ძე ნინიძე

დაკრძალვა მოხდება 21 ივნისს, 2 საათზე, ნაგომარში. 2787

თავზარდაცემულნი: დედა სოფიო და ნინო ფარჩუკაშვილები, ბიძა აბრამ და ბიცოლა ტერტერაშვილები აუწყებენ საზოგადოებას მათთვის დაუვიწყარ

ივანე (ვანუშა) ფარჩუკაშვილის

გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება რკ. გზის საავადმყოფოდან ბინაზე—სანაპირო ქ. 44, სამშაბათს, 19 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე—ოთხშაბათს, 20 ივნისს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათ. (ე)

დღეს და ყოველდღე

ეთერი საზაფხულო კინო-თეატრებში დარბაზი

კუინჯი და კუტუზოვი მხატვრულ დრამაში „კვანძი“

ანონსი: ამ დღეებში „ბედნიერების ძიებაში“

პირველად თბილისში მხატვრული ფილმი „ცოლი“ პაპოვას, ბატალოვის და კუტუზოვის მონაწილეობით.

ნ. 1281

სახკინმრეწვის კინოები	განთიადი (ნაძალადევში)	მხატვრული ფილმი „მიწა ტყვეობაში“ სიმფონიური ორკესტრი
	საზაფხულო ეთერი	კუინჯი და კუტუზოვი მხატვრულ დრამაში კვანძი
	მინიონი	კარმენ ბონი საუკეთესო სურათში მშვიდობით ახალგაზრდობავ
	აპოლო	დადგმის მეორე კვირა არაჩვეულებრივი ფილმი დიადი გზა
	საზაფხულო დარბაზი	პოპოვა ბატალოვი, კუტუზოვი თანამედროვე მხატვრულ დრამაში ცოლი
	საზაფხულო პალასი	დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან მეჩეთის თაღებ ქვეშ
	სოლეი	მხატვრული ფილმი დახურული ფურგონი
	პროლეტარი ავლაბარი	საიდუმლოებათა კუნძული 3 და 4 სერია

ანონსი: მალე გრანდიოზული ფილმი ბულატ ბატირ 0—16

მუშათა ახალი კლუბი (კომინტერნის ქ. № 5)

დღეს, 19 ივნისს,

სასწრაფო სიმფონიური კონცერტი

სახ. მსახიობის მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით

სახელმწიფო ოპერის მსახიობის მესნიაევის მონაწილეობით.

შესრულებულ იქნება ფრ. შუბერტის ნაწარმოებნი.

გალში კინო

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. წვიმიანი ამინდი კონცერტს ხელს ვერ შეუშლის

ხვალ, 20 ივნისს, კონცერტი საბჭოთა სავაჭრო მუშაკების კლუბში

მიღებულია გრანდიოზული ისტორიული ფილმი ეკატერინე მეორის ეპოქიდან

„ბულატ ბატირ“

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს.

ნ. 1281

ქ. ჭიათურასა და მის რაიონში გაზ. „კომუნისტი“-ს კონტრაგენტათ დანიშნულია

ვასილი ჯალაღანია

მთავარი კანტორა. 3—1

„ზაკგოსტორგი“

აცხადებს ა. წ. 23 ივნისს დღის 12 საათზე ქ. თბილისში თავისივე შენობაში მუზეუმის ქ. № 2 ოთახი № 28

დახურულ საჯარო ვაჭრობას

ხილის საწყობის და ფარდულების აგებაზე, გორის, ახალციხის, ოზურგეთის და ზუგდიდის მაზრებში. ცნობების მიღება იქვე 9—2 საათამდე. ნ. 1283 3—1

ქუთ. მე-2 უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

დ. აშორდია

აცხადებს, რომ 23 ივნისს 1928 წ. დილის 11 საათზე ადგილობრივ ქალ. ქუთაისში ჭავჭავაძის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ლუკა და ვანიჩკა ტუკაძეების მოძრავი ქონება 3 სელის სკამები, 3 სტოლი, ერთი სასწორი 15 კილოიანი, ერთი სამოვარი, ერთი შკაფი, ერთი ძროხა და ერთი სარკე ალექსანდრე გაბუნიას ვალის დასაკმაყოფილებლად, ნივთები შეფასებული არის სულ 137 მან. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. შეუძლია მსურველებს მონაწილეობა მიიღოს. ნ. 1282

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

სამკურნალო

სახწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ჯალალოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. ღამითი—5—8 ქალების: დილით 8—9 საღ.—4—5 მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს, 6—7 ქალებს.

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 7 ივლისს 1928 წლ. დილის 11 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის გიორგი და დუნია ქოიავების დარაბას და სახლს მდებარე ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე, რომელიც შეიცავს ერთ თვალს დარაბას და ორ საცხოვრებელ ოთახს, დახურულს კრამიტით შეფასებულს 450 მანეთად. ბესარიონ მოსიავას ვალის დასაკმაყოფილებლად, საიდანაც დაიწყება ვაჭრობა, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები სამოქ. კოდ. 311 და 312 მუხ. თანახმათ და საწინდარი 10 პროც. ნ.

ქუთაისის მე-3 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი

დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 25 ივნისს 1928 წლ. დილის 11 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ერმალო გაბრიელის-ძე სალდაძის ნახევარნაწილ სახლს, მდებარე ქ. ქუთაისში, ნინოშვილის ქუჩაზე № 1, რომელიც შეიცავს სულ ერთ ქვითკირის ორ თვალ საცხოვრებელ ოთახს, დახურულს კრამიტით შეფასებულს ნახევარი ნაწილი 400 მანეთათ, მარიამ სალდაძის ვალის დასაკმაყოფილებლათ, რა თანხიდანაც დაიწყება ვაჭრობა; ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს მან უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული სამ საპრ. კოდ. 311 და 312 მუხ. და საწინდარი 10 პროც. ნ. 1282

ექიმი

კ. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუსილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 აათამდე. ქალების მიღება ცალკე, დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12 — საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ 2—15

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ●●● ●●● ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიქინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი

დარეჯან ე.

თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე.

მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემინონოვის) № 16. 21—1

სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორად მორგება

უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ

„სახმედვაჭრობა“

პლეხანოვის პროსპ. № 106

აქვე ხელოვნურ თვალების არჩევა. 25—1

თმის მკურნალობა

საექიმო-კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეთი

ნ. გ. კონტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი

ი. ი. ზერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი—ნინო ლევანის ასული საყვარელიძეს სახელზე, ჩ. გ. 2778

დავკარგე: მანდატი № 58 გაცემული თბილისის კომიტეტის მიერ, ტერ-ოგანოვის სახელზე, ჩ. გ. 2772

დავკარგე: სამხედრო სამსახურის მოწმობა № 14 ფორმა № 4 ანდრო აზობაძის სახელზე, ჩ. გ. 2776

დავკარგე: კავშირის წიგნაკი სიმონ ჩაჩანიძეს სახელზე, ჩ. გ. 2767

დავკარგე: პირადობის მოწმობა და სამხ. დრო სააღრიცხვო ბარათი—ვლადიმერ კაჭახიძეს სახელზე, ჩ. გ. 2768

დავკარგე: საქონლის მისაღები (Заборная) წიგნაკი „ზაკტპოსი“ № 3637 აკაკი ზესაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2786

დავკარგე: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 3286 მარია აროშელიძის სახელზე, ჩ. გ. 2784

დავკარგე: ტრამვაის უფასო წიგნაკი, ლომბარდის ქვითარი № 88819, სამხედრო წიგნაკი და დისპანსერის ქაღალდი ბიქტორ სვანიძეს სახელზე, ჩ. გ. 2769

დავკარგე: სამხ. ბარათი № 999, მოცემული ქუთაისის მე-5 ლეგიონის მე-3 ასეულის მიერ კირილე გვიბიანის სახელზე, ჩ. გ. 2777

დავკარგე: პირადობის მოწმობა მოცემული ორბელის თემიდან ალექსი ლეფსვერიძის სახელზე, ჩ. გ. 2777

დავკარგე: სამხედრო სააღრიცხო ბარათი № 3263 გაცემული ქ. თბილისის მეორე უბნის სამხ. მაგიდის მიერ, ხუსეინ ნაკაიძის სახელზე, ჩ. გ. 2779

დავკარგე: იარაღის პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი და კოოპერატივის წიგნაკი ანტონ დიასამიძეს სახელზე, ჩ. გ. 2781

დავკარგე: აღმასრულებელ ფურცელი № 5779 მოცემული მე-3-მე უბნის სახ. სასამართლოს მიერ ონისიმე ივანეს-ძე ჯიმკარიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1282

დავკარგე: გაქორწინების მოწმობა № 46 გაცემული ქუთაისის მმაჩის განყოფილებიდან სიმონ რევაზის-ძე მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1282

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 2647, საბჭოთა კავშირის წიგნაკი № 17934 და თამასუქი 200 მანეთიანი მარკოზ ეფრემის-ძე ტყეშელაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1282

დავკარგე: პროფკავშირის წიგნაკი №№ 826—827 გრიბნიკინის და მიხეილ რუდონოვის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1282

მთავლიტი № 904. პოლიგრაფტრესტის [illegible]